

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე
2011, №3

ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო
პ რ ო ც ე ს ი

(ზოგადი დებულებანი)

საძიებელი

1. **სასამართლო შეტყობინება** დაუსწრებელი გადაწყვეტილება
 - მისამართის შეცვლა საქმის წარმოების დროს
 - სასამართლო უწყების გაგზავნა
 - სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელება
 - უწყების მიღებაზე უარის თქმა
 - უწყების ჩაბარება თანამონაწილესათვის
 - უწყების ჩაბარება წარმომადგენლისათვის
 - უწყების ჩაბარების დღე
 - შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში
 - ხარვეზის შეუვსებლობა
2. **სარჩელის გამოხმობა**
3. **მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე**
4. **საპროცესო უფლებამონაცვლეობა**
5. **პირები, რომლებიც შეიძლება იყვნენ წარმომადგენლებად სასამართლოში**
6. **მტკიცებულებები**
 - მტკიცების ტვირთი
 - მტკიცებულებათა მიუღებლობა; თანდართული დოკუმენტის დაბრუნება
 - მტკიცებულებათა შეფასება

1. სასამართლო შეტყობინება

უწყების ჩაბარება თანამონაწილესათვის

განჩინება

1ას-1110-1374-09

11 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

ქ. თ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ., ა., მ. დ-იების, ნ. ფ-იასა და ხ. ქ-შვილის მიმართ მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან ქ.თბილისში, ... 170 ბინის გამოთხოვის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: სადავო ბინა ეკუთვნის მოსარჩელეს, თუმცა მას ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობენ მოპასუხეები და თავისი ნებით არ ათავისუფლებენ.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მიიჩნიეს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილებით ქ.თ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა – ქ.თბილისში, ... 170 ბინა გამოთხოვილ იქნა ლ., ა., მ. დ-იების, ნ. ფ-იასა და ხ. ქ-შვილის უკანონო მფლობელობიდან და მოსარჩელეს ჩაჰბარდა გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ლ., ა., მ. დ-იებმა, ნ. ფ-იამ და ხ. ქ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით მოწინააღმდეგე მხარის – ქ. თ-მის შუამდგომლობა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ დაკმაყოფილდა – ლ., ა., მ. დ-იების, ნ. ფ-იასა და ხ. ქ-შვილის სააპელაციო საჩივარი, აპელანტთა გამოუცხადებლობის გამო, დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემული სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2009 წლის 27 ოქტომბრისათვის, რის შესახებ სატელეფონო შეტყობინებით ეცნობა აპელანტ ლ. დ-იას. საქმის განხილვაზე აპელანტები არ გამოცხადდნენ და არც თავისი გამოუცხადებლობის მიზეზი სასამართლოს არ აცნობეს. მოწინააღმდეგე მხარემ კი იშუამდგომლა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 372-ე მუხლით, 229-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მიიჩნია, რომ ქ.თ-მის შუამდგომლობა დასაბუთებელია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ლ. დ-იამ, ნ. ფ-იამ და ხ. ქ-შვილმა შეიტანეს კერძო საჩივარი, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის განხილვის თარიღი აცნობა მხოლოდ ლ. დ-იას, ხოლო დანარჩენი აპელანტები სასამართლოში საქმის განხილვის დროის შესახებ კანონით დადგენილი წესით გაფრთხილებული არ ყოფილან. ლ. დ-იასათვის სააპელაციო საჩივრის განხილვის თარიღის შეტყობინება სასამართლომ ყველა აპელანტის გაფრთხილებად არასწორად მიიჩნია, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლის შესაბამისად ლ.დ-იასათვის ნ. ფ-იასა და ხ. ქ-შვილს საკუთარი სახელით მოქმედების უფლებამოსილება არ მიუნიჭებიათ. სადავო ურთიერთობაზე არ უნდა გავრცელდეს არც ამავე კოდექსის 73-ე და 74-ე მუხლების პირველი ნაწილები, ვინაიდან ადრესატის ოჯახის წევრისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა თავად გამოსამახებელი პირი არსებულ მისამართზე არ იმყოფება, ხოლო სატელეფონო შეტყობინების გამოყენება შესაძლებელია სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, რაც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს. აღსანიშნავია, რომ ა. და მ. დ-იების არასრულწლოვანების გამო, კერძო საჩივარი შეტანილ იქნა კანონიერი წარმომადგენლის მიერ მათი სახელითაც. 2009 წლის 23 ოქტომბერს ლ. დ-იამ აპელანტ ხ.ქ-შვილის კუთვნილ ნომერზე, რომლითაც დროებით თავად სარგებლობდა, მობილურ ტელეფონზე მიიღო ლ.ს-შვილის მიერ გაგზავნილი ორი ტექსტური შეტყობინება სააპელაციო საქმეზე მიღებული განჩინების მისაღებად ორი დღის ვადაში სასამართლოში გამოცხადების თაობაზე. 2009 წლის 26 ოქტომბერს ხ. ქ-შვილი გამოცხადდა სააპელაციო სასამართლოში, დაუკავშირდა ტექსტურ შეტყობინებაში მითითებულ პიროვნებას – ს-შვილს და ჰკითხა უნდა გამოცხადებულიყო თუ არა მომდევნო დღეს საქმის განხილვაზე. დასახელებულმა პირმა განუმარტა, რომ აპელანტი პროცესზე არ უნდა მისულიყო, ხოლო შეტყობინებაში აღნიშნული სასამართლო განჩინება მიუვიდოდა ფოსტით.

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოში ლ., ა. და მ. დ-ების, ნ. ფ-იასა და ხ. ქ-შვილის სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2009 წლის 27 ოქტომბერს, რის შესახებაც აპელანტ ლ. დ-იასა და ქ. თ-მეს ეცნობა სატელეფონო შეტყობინებით. აღნიშნულზე შედგა სათანადო აქტები.

სასამართლოს მიერ დადგენილ დროს აპელანტები საქმის განხილვაზე არ გამოცხადდნენ და არც თავისი გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ სასამართლოს არ აცნობეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. დ-იას, ნ. ფ-იასა და ხ. ქ-შვილის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. მითითებული ნორმა შესაძლებლობას აძლევს სააპელაციო სასამართლოს, იხელმძღვანელოს საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისათვის განსაზღვრული წესებით, თუ სადავო ურთიერთობა სცდება კანონმდებლის მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის სპეციალურად დადგენილ ნორმათა რეგულირების სფეროს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. ამავე კოდექსის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი სასამართლო სხდომაზე აპელანტის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის განხილვის დრო გამოუცხადებელ მხარეს კანონით დადგენილი წესით ეცნობა.

განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორთა მოსაზრებას, რომ სააპელაციო საჩივრის განხილვის თარიღი აპელანტ ნ. ფ-იასა და ხ. ქ-შვილს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით არ ჩაჰბარებიათ, კერძოდ, აპელანტებისათვის საქმის განხილვის დროის შეტყობინებად სააპელაციო პალატამ ჩათვალა საქმის მასალებში წარმოდგენილი აქტი ლ. დ-იასათვის პროცესის დროისა და ადგილის თაობაზე ტელეფონით შეტყობინების შესახებ. სხვა აპელანტებისათვის კი საქმის განხილვის დანიშვნის ინფორმაცია სასამართლოს არ მიუწოდებია. ამასთან, ზემოხსენებული აქტით არ ირკვევა, რომ ლ. დ-იას სასამართლო პროცესის თარიღის დანარჩენი აპელანტებისათვის შეტყობინების ვალდებულება დაკისრებოდა.

დასაბუთებულია კერძო საჩივრის არგუმენტი, რომ ლ. დ-იასათვის სააპელაციო საჩივრის განხილვის დროის თაობაზე შეტყობინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლისა და 74-ე მუხლების პირველი ნაწილის საფუძველზე აღნიშნული ინფორმაციის ნ. ფ-იასა და ხ. ქ-შვილისათვისაც შეტყობინებულად მიჩნევის საფუძველი ვერ გახდება, ვინაიდან აპელანტებს ლ. დ-იასათვის სასამართლოში თავიანთი სახელით საქმის წარმოება არ მიუწოდებიათ, აპელანტთა რაოდენობა მოცემულ საქმეზე ათზე მეტი არ არის, ხოლო რაც შეეხება ამავე კოდექსის 74-ე მუხლს, იგი არეგულირებს სასამართლო უწყების ჩაბარების წესს იმ მხარისათვის, რომელსაც სასამართლო უწყება გაეგზავნა, თუმცა ადრესატი შესაბამის მისამართზე არ აღმოჩნდა. განსახილველ შემთხვევაში კი სააპელაციო პალატას აპელანტ ნ. ფ-იასა და ხ. ქ-შვილისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება საქმეში მითითებულ მისამართზე არ უცდია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კანონით დადგენილი წესით საქმის განხილვის დროისა და ადგილის შეუტყობინებლობის პირობებში აპელანტთა გამოუცხადებლობის საბაბით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებით სააპელაციო პალატამ დაარღვია მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით მხარეთათვის მინიჭებული საპროცესო უფლებები საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღებისა და სასამართლოს მიერ საპროცესო მოქმედებათა შეტყობინების შესახებ. აღნიშნული კი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ლ. დ-იას, ნ. ფ-იასა და ხ. ქ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ოქტომბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო უწყების ჩაბარება წარმომადგენლისათვის

განჩინება

1ას-1103-1367-09

21 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა და შესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 27 ივნისს გარდაბნის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ფ. მ-ოვამ მოპასუხეების: მ. მ-შვილის (გარდაბნის რაიონის ნოტარიუსის) და ს. მ-ოვას მიმართ და მოითხოვა სადავო სამკვიდრო ქონებაზე 2003 წლის 27 ოქტომბერს მ. მ-ოვის სახელზე გაცემული 12-24 სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, ასევე, შ. მ-ოვას დანაშაუტ ქონებაზე შესაკუთრედ ცნობა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ შ. მ-ოვა, რომელიც იყო მისი ბებია მამის მხრიდან, გარდაიცვალა 2001 წლის 17 აპრილს. მის სახელზე ირიცხებოდა ქ. გარდაბანში 0,12 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და საცხოვრებელი სახლი. გარდაცვალებამდე იგი, მამამისი და ბიძა მ. მ-ოვი ცხოვრობდნენ შ. მ-ოვას სახლში.

ბებია მას ანდერძით დაუტოვა თავის სახელზე რიცხული უძრავ-მოდრავი ქონება. 1999 წელს ავადმყოფობის გამო იგი იძულებული გახდა, გამგზავრებულიყო რუსეთში, საიდანაც დაბრუნდა 2003 წელს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მიაკითხა ბებუის სახლს, მაგრამ ბიძამისმა იგი არ შეუშვა სახლში. როგორც შემდეგში გაირკვა, ბიძამისს, როგორც პირველი რიგის მემკვიდრეს, აღნიშნული სახლი გადაუფორმებია თავის სახელზე. მან აღნიშნული ბინა ანდერძით გადასცა თავის ცოლს, რომელთანაც არ იმყოფებოდა ქორწინების რეგისტრაციაში. ვინაიდან ბებუამისმა შ. მ-ოვამ მას უანდერძა აღნიშნული ბინა, ნოტარიუს მ. მ-შვილს უფლება არ ჰქონდა, მ. მ-ოვის სახელზე გაეცა სამკვიდრო მოწმობა.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით ფ. მ-ოვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა ფ. მ-ოვამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 თებერვლის განჩინებით ფ. მ-ოვას სააპელაციო საჩივარი, დაუშვებლობის გამო, დატოვებულ იქნა განუხილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 თებერვლის მითითებული განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრების შედეგად საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2009 წლის 30 აპრილის განჩინებით ფ. მ-ოვას წარმომადგენლის – ზ. ქ-შვილის კერძო საჩივარი დააკმაყოფილა და საქმე დასაშვებობის სხვა კრიტერიუმების შესამოწმებლად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის განჩინებით ფ. მ-ოვას სააპელაციო საჩივარი დარჩა გაუხილველი.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ფ. მ-ოვამ. მან მიუთითა, რომ 2009 წლის 15 სექტემბრის მთავარ სხდომაზე სააპელაციო სასამართლო კვლავ დაუბრუნდა დასაშვებობის წინაპირობების განხილვას. ამ დროს გასული იყო საჩივრის შეტანიდან 7 თვე, ხოლო საჩივრის განსახილველად მიღების განჩინების გამოცემიდან 3 თვეზე მეტი. სასამართლოს აზრით, გარდაბნის რაიონის სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება ფ. მ-ოვას წარმომადგენელ – მ. ლ-იანს ჩაჰბარდა 2008 წლის 24 სექტემბერს, რის გამოც დასაშვებობის წანამძღვრებიდან დაირღვა 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები. ამით სააპელაციო სასამართლო შეეცადა, სსსკ-ის 374-ე მუხლის დარღვევით, იმავე საფუძველით, კვლავ დაბრუნებოდა საჩივრის დაუშვებლობის საკითხს. გარდა ამისა, ფ. მ-ოვას კანონით დადგენილი წესით არ ჩაჰბარებია გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება და მისმა ყოფილმა წარმომადგენელმა არ აცნობა მას გადაწყვეტილების ჩაბარების შესახებ. კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოებაში მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ფ. მ-ოვას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს.

ამავე კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილით წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი, შესაბამისად, ფ. მ-ოვასათვის გადაწყვეტილების გასაჩივრების 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2008 წლის 25 სექტემბრიდან და ამოიწურა 2008 წლის 8 ოქტომბერს.

დადგენილია, რომ გარდაბნის რაიონულ სასამართლოში მოსარჩელის ფ. მ-ოვას ინტერესებს იცავდნენ მ. ლ-იანი და ნ. ტ-ძე. საქმეში წარმოდგენილი რწმუნებულებები გაცემულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, რომელთა თანახმად, ნ. ტ-ძის სახელზე გაცემულია რწმუნებულება ერთი წლის ვადით და ძალაშია 2009 წლის 17 ოქტომბრამდე. მ. ლ-იანის სახელზე რწმუნებულება გაცემულია სამი წლის ვადით და ძალაშია 2010 წლის 27 ივნისამდე. რწმუნებულებით დგინდება, რომ ფ. მ-ოვას მ. ლ-იანისათვის სხვა უფლებებთან ერთად მინიჭებული აქვს მარწმუნებლის სახელით სასამართლოს ყველა აქტის (გადაწყვეტილება, განჩინება) გასაჩივრებისა და სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილება.

ასევე, დადგენილია, რომ გარდაბნის რაიონულ სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება პირადად ჩაბარდა ფ. მ-ოვას წარმომადგენელ მ. ლ-იანს 2008 წლის 24 სექტემბერს.

ფ. მ-ოვას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 99-ე მუხლის შესაბამისად არ შეუწყვეტია უფლებამოსილება თავისი წარმომადგენლისათვის, ასევე არ არსებობს ამავე კოდექსის მე-100 მუხლის საფუძველზე მ. ლ-იანის მიერ გაცხადებული უარი თავისი უფლებამოსილების განხორციელებაზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მას კანონით დადგენილი წესით არ ჩაბარებია გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება და მისმა ყოფილმა წარმომადგენელმა არ აცნობა მას გადაწყვეტილების ჩაბარების შესახებ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებისას ფ. მ-ოვას მიერ მ. ლ-იანის სახელზე გაცემული რწმუნებულება ძალაში იყო. რწმუნებულებაში პირდაპირ იყო მითითებული სასამართლო გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილება. რწმუნების გაუქმების შემთხვევაში მარწმუნებელი ვალდებულია, ამის შესახებ აცნობოს სასამართლოს. მოცემულ შემთხვევაში, რწმუნებულება არ ყოფილა გაუქმებული არც მარწმუნებელ ფ. მ-ოვასა და არც წარმომადგენელ მ. ლ-იანს მიერ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას. თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ფ. მ-ოვას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 15 სექტემბრის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში

განჩინება

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია**

დავის საგანი: თანხების დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

სს „- ბანკმა“ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების – თ. ვ-ძის და ც. მ-ძის მიმართ საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავალიანებების **11019.47** აშშ დოლარის გადახდის შესახებ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს **2009** წლის **15** სექტემბრის გადაწყვეტილებით სს „- ბანკის“ სარჩელი დააკმაყოფილა – თ. ვ-ძეს სს „- ბანკის“ სასარგებლოდ დაეკისრა თანხის – **11019.47** აშშ დოლარის გადახდა. ასევე დაეკისრა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – **550** ლარის გადახდა და პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე სესხის დარჩენილი ძირითადი თანხის – **10465.78** აშშ დოლარის **0.2%**, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე **2009** წლის **10** ივლისიდან სესხის სრულ დაფარვამდე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ვ-ძემ და მოითხოვა სსსკ-ის **85**-ე მუხლის საფუძველზე აპელანტი თ. ვ-ძის არასათანადო მოპასუხედ ცნობა და მის ნაცვლად სათანადო მოპასუხედ საქმეში გ. ჯ-შვილის ჩაბმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს **2009** წლის **5** ნოემბრის განჩინებით თ. ვ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

თ. ვ-ძის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ კი ხარვეზის შევსების მიზნით დაევალა სახელმწიფოს ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტისა და თ. უ-ძეზე გაცემული მინდობილობის წარმოდგენა, სადაც ასახული იქნებოდა, რომ თ. უ-ძეს გააჩნდა სასამართლო აქტების ჩაბარების უფლებამოსილება.

აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად აპელანტს **2009** წლის **16** ოქტომბრის ხარვეზის განჩინებით განესაზღვრა ვადა, განჩინების ასლის ჩაბარებიდან **7** დღე და განემარტა, რომ თუ აღნიშნულ ვადაში ხარვეზს არ შეაგებდა, საჩივარი დარჩებოდა განუხილველი.

საქმეზე წარმოდგენილი სასამართლო გზავნილითა და საფოსტო განყოფილებიდან დაბრუნებული შეტყობინებით ირკვევა, რომ თ. ვ-ძეს და მის წარმომადგენელს **2009** წლის **16** ოქტომბრის ხარვეზის განჩინების ასლი გაეგზავნათ და ჩაჰბარდათ კანონით დადგენილი წესით. კერძოდ, თ. ვ-ძეს გაეგზავნა **2009** წლის **20** ოქტომბერს და ჩაჰბარდა **2009** წლის **22** ოქტომბერს სიდედრს – ვ. კ-ძეს, თ. უ-ძეს გაეგზავნა **2009** წლის **20** ოქტომბერს და ჩაჰბარდა პირადად **2009** წლის **23** ოქტომბერს.

შესაბამისად პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საცივრის ავტორს ხარვეზის გამოსასწორებლად ვადა ჰქონდა **2009** წლის **29** ოქტომბრის ჩათვლით, ხოლო ხარვეზი მან გამოასწორა **2009** წლის **30** ოქტომბერს – ერთი დღის ვადის დარღვევით.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა თ. ვ-ძემ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, რადგან მისთვისაც და მისი ადვოკატისთვისაც უცნობი იყო ის ფაქტი, რომ წინა დღით სასამართლო კურიერმა ანალოგიური დოკუმენტი ჩააბარა ფაქტობრივად შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს, ვადის ათვლა დაიწყო მისი ადვოკატისთვის განჩინების ჩაბარების დღიდან. გამოთვლით კი მე-7 დღე უწევდა **30** ოქტომბერს. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, **23**-დან **30** ოქტომბრამდე უმთავრესად დაკავებული იყო სახელმწიფო ბაჟისათვის განკუთვნილი თანხის მოძიებით და ამ პერიოდში ქუთაისში არ ყოფილა.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, მართალია, კანონი მტკიცედ ამბობს, რომ დოკუმენტაცია ჩაბარებულად ითვლება, თუ ერთ-ერთმა მხარემ ჩაიბარა იგი, მაგრამ როდესაც მხარემ ამის შესახებ არაფერი იცის, ეს არის იმის საფუძველი, რომ ჩაბარებულად არ უნდა ჩაითვალოს დოკუმენტი.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი სიდედრი ვერ მოახდენდა რეაგირებას განჩინებაზე, მან ფაქტობრივად ჩაიბარა და არ გადასცა განჩინება მას. ამის მიზეზი კი მისი ხანდაზმულობით გამოწვეული ავადმყოფობაა. მისი განმარტებით იგი საქმის არსს სრულად მხოლოდ მაშინ ჩაეწვდა, როცა **2009** წლის **5** ნოემბრის განჩინებას გაეცნო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსთვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო თ. ვ-ძის კერძო საჩივარს, საქმის მასალებს, და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს **2009** წლის **5** ნოემბრის განჩინებით თ. ვ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, თ. ვ-ძეს სააპელაციო საჩივარზე განესაზღვრა ვადა ხარვეზის შესავსების მიზნით. აღნიშნული გაჩინება აპელანტს ჩაჰბარდა 2009 წლის 22 ოქტომბერს, კერძოდ კი განჩინება თ. ვ-ძეზე გადასაცემად ჩაიბარა მისმა სიდედრმა. მხარეს დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად თუ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს, ხოლო 374-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ მისი მიერ ხარვეზის შეუვსებლობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე ხანდაზმულმა სიდედრმა არ უზრუნველყო მისთვის ხარვეზის თაობაზე განჩინების გადაცემა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა თავის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, რაც ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად. შესაბამისად მოცემულ შემთხვევაში უწყების სიდედრისთვის ჩაბარება, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია უშუალოდ მხარისათვის ჩაბარებად. რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის აპელირებას, რომ მისი სიდედრი წარმოადგენდა შეზღუდული ქმედუნარო, სკლეროზით დაავადებულ პირს, აღნიშნულის თაობაზე მხოლოდ მხარის სიტყვიერ მითითებას სასამართლო ვერ გაიზიარებს. პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად ცნობას შესაბამისი სამართლებრივი პირობების არსებობა სჭირდება და მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ხდება პირის ასეთად მიჩნევა. შესაბამისად, თუ არსებობდა ასეთი გარემოება, შესაბამისად, მხარე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, უფლებამოსილი იყო, წარმოედგინა აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც კერძო საჩივრის ავტორს არ გაუკეთებია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი ვადის ათვლა უნდა მომხდარიყო მისი წარმომადგენლისათვის – თ. უ-ძისათვის განჩინების ჩაბარების დღიდან. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს. კონკრეტულ შემთხვევაში, თ. ვ-ძეს (ოჯახის წევრს) განჩინება ჩაჰბარდა 22 ოქტომბერს და ხარვეზისთვის დადგენილი ვადის ათვლაც სწორედ აქედან დაიწყო. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თ. ვ-ძემ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ შეავსო ხარვეზი, რის გამოც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად დაკარგა აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ თ. ვ-ძის მიერ ხარვეზის დროულად შეუვსებლობა წარმოადგენდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სამართლებრივ საფუძველს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

თ. ვ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ნოემბრის განჩინება.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში

განჩინება

1ას-1241-1500-09

1 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ვალდებულების ვადამდე შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

რ. ა-ოვმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ზ. შ-ია ო.-ს მიმართ სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ვადამდე შესრულების დავალდებულების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2008 წლის 1 აგვისტოს მოსარჩელემ მოპასუხეს ასესხა 4000 აშშ დოლარი 2010 წლის 1 აგვისტომდე. ამჟამად რ. ა-ოვის მატერიალური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, მის მიმართ აღძრა სისხლის სამართლის საქმე და მოსარჩელე დაკავებულ იქნა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ რ. ა-ოვის დაკავების ფაქტი მისი მატერიალური მდგომარეობის გაუარესებას არ ადასტურებს.

გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით რ. ა-ოვის სარჩელი არ დაკმაყოფილდა – რაც რ. ა-ოვმა გასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით რ. ა-ოვის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი აპელანტს ჩაჰბარდა 2009 წლის 19 სექტემბერს, სააპელაციო საჩივარი კი შეტანილ იქნა 2009 წლის 8 ოქტომბერს. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიიჩნია, რომ მხარემ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა დაარღვია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე რ. ა-ოვმა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება შემდეგი საფუძვლებით: დაუსაბუთებელი სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ რ. ა-ოვს პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება 2009 წლის 19 სექტემბერს ჩაჰბარდა. საფოსტო გზავნილი, რომელსაც სასამართლო დაეყრდნო, ხელმოწერილია მხარის თანასოფლელის – ზ. ა-ოვის მიერ. ფაქტობრივად კი გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი მას გადაეცა მეზობლის – ი. ა-ოვისაგან 2009 წლის 2 ოქტომბერს. ამდენად, სააპელაციო საჩივარი შეტანილ იქნა კანონის მოთხოვნათა დაცვით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. ა-ოვის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო უწყების მხარისათვის ჩაბარებულად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ იგი ჩაჰბარდეს პირადად მხარეს ან ამავე კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით – მასთან მცხოვრებ ოჯახის სრულწლოვან წევრს. ამასთან, ამავე ნორმის შესაბამისად, კანონის ხსენებული დანაწესით გათვალისწინებულ პირთა წრის მიერ სასამართლო უწყების მიღებისას უწყების მიმღები ვალდებულია, უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება.

განსახილველ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილ შპს «სკს-ს» გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათზე რ. ა-ოვის ნაცვლად ხელს აწერს ვინმე ზ. ა-ოვი, რომელიც ადრესატთან თავის დამოკიდებულებაზე არ უთითებს და აღნიშნული არც სხვა რაიმე მტკიცებულებით არ დასტურდება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ ზ. ა-ოვისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების თანახმად, რ. ა-ოვისათვის მის ჩაბარებად ვერ ჩაითვლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის გადაცემის მომენტიდან 14 დღის განმავლობაში.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით რ. ა-ოვის სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არასწორად აითვალა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დაადგინა:

რ. ა-ოვის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ოქტომბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს რ. ა-ოვის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში

განჩინება

1ას-1129-1393-09

4 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით გ. ა-ევას სარჩელი მოპასუხე ა. ა-ის მიმართ ზიანის ანაზღაურების, კერძოდ, მოსარჩელის კუთვნილი წილი სამკვიდრო ქონების გაყიდვით მიყენებული ზიანის – 50 000 ლარის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა – მოპასუხე ა. ა-ის გ. ა-ევას სასარგებლოდ დაეკისრა 50 000 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ა-იმ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატის 2009 წლის 5 ნოემბრის განჩინებით ა. ა-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად გასაჩივრების ვადის გაშვების გამო.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ა. ა-ის წარმომადგენელმა მ. ბ-ანმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის განხილვის განახლება იმ მოტივით, რომ გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა არ დაურღვევია, ვინაიდან მან სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოში კანონით დადგენილ ვადაში შეიტანა, ვინაიდან მას, როგორც წარმომადგენელს, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიუხედავად მრავალი მოთხოვნისა, ჩაჰბარდა მხოლოდ 2009 წლის 6 ოქტომბერს და, შესაბამისად, სასამართლოს ვადის ათვლა მითითებული თარიღიდან უნდა დაეწყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადააგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ა. ა-ის წარმომადგენელ მ. ბ-ანის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არის 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

ამავე კოდექსის 75-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ადრესატმა ან ამ კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულმა სუბიექტმა, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისისა, უარი განაცხადა უწყების მიღებაზე, მისი მიმტანი პირი სათანადო აღნიშვნას აკეთებს უწყებაზე, რომელიც სასამართლოს უბრუნდება. ასეთ შემთხვევაში უწყება ადრესატისათვის ჩაბარებულად ითვლება და სასამართლოს შეუძლია განიხილოს საქმე. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სუბიექტის უარის შემთხვევაში სასამართლო უწყება არ ჩაითვლება მოპასუხისათვის ჩაბარებულად, თუ მას პირველად ეგზავნება უწყება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა უწყება გაგზავნილი იქნა მოპასუხის მიერ პასუხში (შესაგებელში) მითითებულ მისამართზე.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებაზე ა. ა-ის ოჯახის წევრებმა უარი განაცხადეს 2009 წლის 15 მაისს, ხოლო მისმა წარმომადგენელმა კი გადაწყვეტილების ასლი ჩაიბარა 2009 წლის 6 ოქტომბერს. ზემოაღნიშნული მუხლების შესაბამისად, უწყება ჩაბარებულად ითვლება 2009 წლის 15 მაისს, მაშინ, როდესაც ა. ა-ის ოჯახის წევრებმა უარი განაცხადეს გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებაზე. ა. ა-ის წარმომადგენელმა სააპელაციო საჩივარი აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ შეიტანა 2009 წლის 16 ოქტომბერს, ანუ კანონით დადგენილი გასაჩივრების 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, რადგანაც სააპელაციო საჩივრის შეტანის ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლების მე-2 ნაწილების თანახმად, იყო 2009 წლის 29 მაისი.

ა. ა-ის წარმომადგენელი მ. ბ-ანი განმარტავს, რომ, ვინაიდან მას, როგორც წარმომადგენელს, გასაჩივრებული გადაწყვეტილება, მიუხედავად მრავალი მოთხოვნისა, ჩაჰბარდა მხოლოდ 2009 წლის 6 ოქტომბერს, სასამართლოს ვადის ათვლა მითითებული თარიღიდან უნდა დაეწყო. აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უწყება სწორად ჩათვალა ჩაბარებულად 2009 წლის 15 მაისს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამოწვევის შემთხვევა, ვინაიდან, მართალია, სასამართლოს მიერ უწყება პირველად იყო გაგზავნილი მხარისათვის, მაგრამ იგი გაგზავნილი იქნა მის მიერ შესაგებელში მითითებულ მისამართზე.

ამდენად, ა. ა-ის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება გასაჩივრებულია გასაჩივრების კანონით დადგენილი წესის დარღვევით და, შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული საჩივარი სწორად ცნო დაუშვებლად და არ არსებობს განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ა. ა-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატის 2009 წლის 5 ნოემბრის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სასამართლო უწყების გაგზავნა;
დაუსწრებელი გადაწყვეტილება**

განჩინება

1ას-114-108-2010

15 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დავალიანების დაკისრება, ნივთის აუქციონზე რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

სს «- ბანკმა» სარჩელი აღძრა სასამართლოში ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «შ-ს», გ. წ-ის, გ. კ-რის, შპს «ს-ს», მ. კ-ძისა და მ. ხ-იანის მიმართ 2007 წლის 8 აგვისტოს მოსარჩელესა და ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «შ-ს» შორის გაფორმებული საკრედიტო პროდუქტით მომსახურების შესახებ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, თანხის დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული საგნის რეალიზაციის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2007 წლის 8 აგვისტოს სს «- ბანკმა» და ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «შ-ს» შორის გაფორმდა 1777189 ხელშეკრულება საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ, ხოლო 2008 წლის 8 აგვისტოს – საბანკო კრედიტის შესახებ. არა ერ-

თგზის გაფრთხილების მიუხედავად მოპასუხეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არ შეუსრულებია.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მიიჩნიეს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით სს «- ბანკის» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «შ-ს», შპს «ს-სა» და მ. კ-ძეს სოლიდარულად 2008 წლის 27 ნოემბრამდე სს «- ბანკის» სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრათ 388284,18 აშშ დოლარი, სს «- ბანკს» უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «შ-ს», შპს «ს-სა» და მ. კ-ძის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე 2008 წლის 27 ნოემბრამდე პირგასამტეხლოს 7380 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში, ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «შ-ს», შპს «ს-სა» და მ. კ-ძეს სს «- ბანკის» სასარგებლოდ 2008 წლის 27 ნოემბრიდან დავალიანების სრულ დაფარვამდე სოლიდარულად გადასახდელად დაეკისრათ ზიანის ანაზღაურება – თვეში 5160,56 აშშ დოლარი, ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «შ-ს», შპს «ს-სა» და მ. კ-ძეს სს «- ბანკის» სასარგებლოდ 2008 წლის 27 ნოემბრიდან დავალიანების სრულ დაფარვამდე სოლიდარულად გადასახდელად დაეკისრათ პირგასამტეხლო – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 255 აშშ დოლარი, გადაწყვეტილებით დაკისრებული დავალიანების დაფარვის მიზნით აუქციონზე სარეალიზაციოდ მიეცა იპოთეკით დატვირთული, მ. ხ-იანის კუთვნილი უძრავი ქონება (სარეგისტრაციო ზონა – თბილისი 01, სექტორი – ... 14, კვარტალი – 02, ნაკვეთი 013/032, ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი – 2000.00 კვ.მ (დაზუსტებული), ნაკვეთის წინა ნომერი – 13, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – '01/14/02/13/032, მისამართი – ქ. თბილისი, ... მე-3 მ/რ, სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ), იპოთეკით დატვირთული, გ. წ-იას კუთვნილი უძრავი ქონება (სარეგისტრაციო ზონა – მცხეთა 72, სექტორი – ... 08, კვარტალი – 05, ნაკვეთი 201, ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო, ფართობი – 30000.00 კვ.მ (დაზუსტებული), ნაკვეთის წინა ნომერი – 72.08.05.103, 72.08.05.104 მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – '72.08.05.201, მისამართი – მცხეთა, ... ტერიტორია), იპოთეკით დატვირთული, გ. წ-იას კუთვნილი უძრავი ქონება (სარეგისტრაციო ზონა – მცხეთა 72, სექტორი – ... 08, კვარტალი – 05, ნაკვეთი – 202, ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო, ფართობი – 20000.00 (დაზუსტებული), ნაკვეთის წინა ნომერი – 72.08.05.106, 72.08.05.107 მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – '72.08.05.202, მისამართი – მცხეთა, ... ტერიტორია), იპოთეკით დატვირთული, გ. კ-რის კუთვნილი უძრავი ქონება (სარეგისტრაციო ზონა – გარდაბანი 81, სექტორი – კოჯორი 01, კვარტალი – 98, ნაკვეთი 926, ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო, ფართობი – 86329.00 კვ.მ (დაზუსტებული), ნაკვეთის წინა ნომრები – 810198379, 810198365, 810198378, 810198377, 810198376, 810198375, 810198374, 810198373, 810198372, 810198371, 810198370, 810198369, 810198368, 810198367, 810198366, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – '81.01.98.926, მისამართი – ქ.თბილისი, ..., სოფელი ...), იპოთეკით დატვირთული, გ. კ-რის კუთვნილი უძრავი ქონება (სარეგისტრაციო ზონა – გარდაბანი 81, სექტორი – ... 01, კვარტალი – 98, ნაკვეთი – 927, ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო, ფართობი – 5.2379.00 კვ.მ (დაზუსტებული), ნაკვეთის წინა ნომრები – 810198398, 810198380, 810198383, 810198382, 810198381, 810198384 მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – '81.01.98.927, მისამართი – ქ.თბილისი, ..., სოფელი ...), იპოთეკით დატვირთული, გ. კ-რის კუთვნილი უძრავი ქონება (სარეგისტრაციო ზონა – ... 72, სექტორი – ... 08, კვარტალი – 01, ნაკვეთი 099, ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო, ფართობი – 15146.00 კვ.მ (დაზუსტებული), ნაკვეთის წინა ნომერი – 72.08.01.096 მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – '72.08.01.099, მისამართი – ..., სოფელი ...), იპოთეკით დატვირთული, გ. კ-რის კუთვნილი უძრავი ქონება (სარეგისტრაციო ზონა ... 72, სექტორი – ... 08, კვარტალი – 01, ნაკვეთი 112, ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო, ფართობი – 51999.00 კვ.მ (დაზუსტებული), ნაკვეთის წინა ნომერი – 72.08.01.087 მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – '72.08.01.112, მისამართი – ..., სოფელი ...), იპოთეკით დატვირთული, გ. კ-რის კუთვნილი უძრავი ქონება (სარეგისტრაციო ზონა – მცხეთა 72, სექტორი – წეროვანი 08, კვარტალი – 01, ნაკვეთი 102, ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო, ფართობი – 112183.00 კვ.მ (დაზუსტებული), ნაკვეთის წინა ნომერი – 72.08.01.088 მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – '72.08.01.102, მისამართი – ... სოფელი ...), გ. კ-რის კუთვნილი უძრავი ქონება (სარეგისტრაციო ზონა – ... 72, სექტორი – ... 08, კვარტალი – 01, ნაკვეთი 108, ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო, ფართობი – 10000.00 კვ.მ (დაზუსტებული), ნაკვეთის წინა ნომერი – 72.08.01.087 მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – '72.08.01.108, მისამართი – ..., სოფელი ...), იპოთეკით დატვირთული, გ. კ-რის კუთვნილი უძრავი ქონება (სარეგისტრაციო ზონა – გარდაბანი 81, სექტორი – ... 02, კვარტალი – 95, ნაკვეთი 474, ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო, ფართობი – 45640.0 კვ.მ (დაზუსტებული), ნაკვეთის წინა ნომრები – 8102995015, 8102996147,571, 810295570, 810295272, 810295572, 810295833, 810295574, 8102997160, 8102997162, 8102998161, 8102988160, 810298279 მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – '81.02.95.474, მისამართი – ქ.თბილისი, სოფელი ...), სს «- ბანკს» უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე შპს «სს-სა» და მ. კ-ძის კუთვნილ მთელ ქონებაზე გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის შესახებ მოთხოვნის ნაწილში.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გ. კ-რმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 დეკემბრის განჩინებით გ. კ-რის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2009 წლის 1 დეკემბრის სასამართლო სხდომა გადაიდო იმ მოტივით, რომ აპელანტ გ. კ-რის, მოპასუხეების – მ. ხ-იანისა და შპს «ს-ს» წარმომადგენელმა დ. ტ-ძემ უარი განაცხადა წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელებაზე, რის შესახებ მარწმუნებელთათვის ცნობილი არ იყო. მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელ დ. გ-ძეს ნება დაერთო, უზრუნველყო აპელანტ გ. კ-რისათვის სააპელაციო პალატის 2009 წლის 1 დეკემბრის სხდომის ოქმისა და 2009 წლის 23 დეკემბერს საქმის განხილვის დაწინაურების შესახებ სასამართლო უწყების ჩაბარება. 2009 წლის 23 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე გ. კ-რი, ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «შ-ა», მ. კ-ძე, გ. წ-ია, შპს «ს-ი» და მ. ხ-იანი არ გამოცხადდნენ. მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა დ. გ-ძემ კი მოითხოვა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი, მე-3 ნაწილებით და მიიჩნია, რომ აპელანტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, ამავე კოდექსის 229-ე მუხლის პირობათა დაცვით გამოიტანოს არა მარტო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, არამედ განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი, რაც სამოქალაქო კოდექსის 276-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგს უკავშირდება. პალატამ დაადგინა, რომ გ. კ-რს სასამართლო სხდომის ოქმის ასლი და უწყება 2009 წლის 23 დეკემბრის სხდომის თაობაზე გაეგზავნა როგორც ძირითად, ისე ალტერნატიულ მისამართზე. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლზე და თბილისის სააპელაციო სასამართლოს კურიერის 2009 წლის 8 დეკემბრის აქტით დადასტურებულად ჩათვალა, რომ ალტერნატიულ მისამართზე – ქ.თბილისში, ... 3-ის მე-2 მკ/რ-ის '30/83'-ში ადრესატი არ ცხოვრობს. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მითითებულ ალტერნატიულ მისამართზე გ. კ-რის დეიდაშვილ ნ. კ-ძეს ჩაჰპარდა 2009 წლის 10 სექტემბრის სასამართლო განჩინება სააპელაციო საჩივრის ხარვეზის თაობაზე, რის შემდეგ აპელანტმა ხარვეზი დადგინებულ ვადაში შეავსო. ამასთან, 2009 წლის 16 დეკემბერს სწორედ ნ. კ-ძეს ჩაჰპარდა გ. კ-რისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება და გზავნილი, თუმცა ამ შემთხვევაში მას ადრესატთან თავის დამოკიდებულებაზე არ მიუთითებია. შპს «თნთ-ს» დირექტორის მიერ გაცემული ცნობებითა და საფოსტო დოკუმენტებით პალატამ დაადგინა, რომ აპელანტის მიერ საქმეში მითითებულ ძირითად მისამართზე გაგზავნილი სასამართლო უწყებები და გზავნილი ვერ ჩაჰპარდა ადრესატს სახლში არყოფნის გამო. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის, 73-ე მუხლის 1¹ ნაწილის მიხედვით, პალატამ ჩათვალა, რომ გ. კ-რს სასამართლო უწყება 2009 წლის 23 დეკემბერს საქმის განხილვის შესახებ და 2009 წლის 1 დეკემბრის სასამართლო სხდომის ასლი კანონის მოთხოვნათა დაცვით ჩაჰპარდა. პალატის მითითებით, გ. კ-რმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა როგორც შპს «ს-სათვის» თანხის დაკისრების ნაწილში, ისე გ. კ-რის ქონებაზე აღსრულების მიქცევის ნაწილში, გადაწყვეტილებით კი შპს «ს-ს» თანხა დაეკისრა სოლიდარულად «შ-თან» და მ. კ-ძესთან ერთად, რის გამოც სააპელაციო პალატამ 2009 წლის 23 დეკემბრის სხდომაზე მიიწვია მოპასუხეებიც. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე, 76-ე მუხლებით, 73-ე მუხლის 1¹ ნაწილით და მიიჩნია, რომ შპს «ს-სთვის» სასამართლო უწყება კანონის მოთხოვნათა დაცვით ჩაბარებულად ითვლება, ვინაიდან მხარის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ორჯერ უშედეგოდ გაიგზავნა. სასამართლო უწყება და სხდომის ოქმის ასლი პალატამ მ. კ-ძის, გ. წ-იასა და ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «შ-სათვისაც» ჩაბარებულად ჩათვალა, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო უწყება და გზავნილი ჩაჰპარდა მათ წარმომადგენელ კ. ბ-ძეს. სააპელაციო პალატამ საქმის მასალებით დაადგინა, რომ მ. ხ-იანს სადავო უწყება და გზავნილი ჩაჰპარდა პირადად. სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტისათვის საქმის განხილვის შესახებ შეტყობინების მიუხედავად, იგი სასამართლოში არ გამოცხადდა და არც თავისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი აცნობა, რის გამოც მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე კანონიერია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე გ. კ-რის წარმომადგენელმა მ.ს-ძემ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, აპელანტ გ. კ-რის საქმის განხილვაზე გამოუცხადებლობისას სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო, მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის შემთხვევაში მიეღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ არასწორად მიიჩნია, რომ ზემოხსენებული მუხლის მე-3 ნაწილი სააპელაციო სასამართლოს უფლებას ანიჭებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი, ვინაიდან 229-ე მუხლი ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ მიიღება. მოცემულ შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ არ უშუამდგომლია. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების უფლება არ გააჩნდა. დაუსაბუთებელია სასამართლოს მითითება გ. კ-რის მიერ საქმის განხილვის პროცესში თავისი მისამართის შეცვლის თაობაზე სააპელაციო პალატისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობის შესახებ, ვინაიდან საქმის მასალებით დასტურდება, რომ აპელანტს საქმის განხილვისას თავისი მისამართი არ შეუცვლია. ქ.თბილისი, ... 3-ის მეორე მკ/რ-ის 30-ე კორპუსის 183 ბინა გ. კ-რის მისამართი არასდროს ყოფილა. სს «–

ბანკმა» მოითხოვა აღნიშნულ მისამართზე მისთვის გადაეგზავნა გ. კ-რისათვის განკუთვნილი კორესპონდენცია, ხოლო აპელანტმა იგი მიუთითა სააპელაციო საჩივარში ალტერნატიულ მისამართად. რაც შეეხება ძირითად მისამართს, სააპელაციო საჩივარშიც და შესაგებელშიც მხარემ დაასახელა რუსეთის ფედერაცია, მოსკოვის ოლქის ქ. ..., ... ქ. 15ა, ბინა 196. გ. კ-რს არასოდეს უცხოვრია არც ნ. კ-ძის მისამართზე, რაც დასტურება ნ. კ-ძის მინაწერით სასამართლო გზავნილზე, კერძოდ, რომ გ. კ-რი მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს და იგი არის ქ. მოსკოვის მაცხოვრებელი. გ. კ-რისათვის სასამართლოს მიერ გაგზავნილი დოკუმენტების ჩაბარებულად მიჩნევის საფუძველი ვერ გახდება 2009 წლის 18 დეკემბრის კურიერის მიერ შედგენილი აქტი, რომ, 182 ბინის მაცხოვრებლის განმარტების შესაბამისად, ქ. თბილისში, ... 3-ის მეორე მკ/რ-ის 30-ე კორპუსის 183 ბინაში ადრესატი არ ცხოვრობს. მოცემულ შემთხვევაში დაცული არ ყოფილა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა და არ არსებობს მითითება ადრესატის – გ. კ-რის ან ნ. კ-ძის დაბრუნების სავარაუდო დროზე. აპელანტის ძირითად მისამართზე სასამართლო გზავნილი მოწინააღმდეგე მხარემ გააგზავნა 2009 წლის 17 დეკემბერს და 12 დეკემბერს, თუმცა მათი ჩაბარება ვერ მოხერხდა იმ მომენტისათვის, დროებით, სახლში მცხოვრებ პირთა არყოფნის გამო. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა არც ამ შემთხვევაში არ არის დაცული. სასამართლო არ განუხორციელებია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები და არ დაუცვია 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა. 2009 წლის 16 დეკემბერს ნ. კ-ძისათვის სასამართლოს უწყების ჩაბარება გ. კ-რის მიერ მის ჩაბარებად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან უწყება განკუთვნილი იყო შპს «ს-სათვის», ხოლო ნ. კ-ძეს გ. კ-რისათვის შპს «ს-ს» სახელზე მიღებული უწყების თაობაზე არ უცნობებია. გ. კ-რს გონივრული ვადა არ მიეცა 2009 წლის 1 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე დ. ტ-ძის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებაზე უარის თქმის შემდეგ უზრუნველყო თავისი მონაწილეობა საქმის განხილვაში ახალი წარმომადგენლის მიერ, რადგან აპელანტის მიერ სასამართლო უწყებისა და სხდომის ოქმის ასლის 2009 წლის 16 დეკემბერს ჩაბარების შემთხვევაშიც გ. კ-რი ვერ მოახერხებდა ამავე წლის 23 დეკემბერს საქმის განხილვისათვის სათანადოდ მომზადებას, რაც სასამართლოს არ გაუთვალისწინებია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. კ-რის წარმომადგენელ მ. ს-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო პალატას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, აპელანტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში უფლება არა აქვს, დააკმაყოფილოს მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

დასახელებული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა შესაძლებლობას აძლევს სააპელაციო სასამართლოს, მთავარ სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობის შემთხვევაში, იხელმძღვანელოს საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისათვის განსაზღვრული წესებით, თუ სადავო ურთიერთობა სცდება კანონმდებლის მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის სპეციალურად დადგენილ ნორმათა რეგულირების სფეროს. კანონმდებელი ზუსტად განსაზღვრავს სააპელაციო სასამართლოში აპელანტისა და მისი მოწინააღმდეგე მხარის არასაპატიო გამოუცხადებლობის კონკრეტულ სამართლებრივ შედეგებს, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში ავალებს სააპელაციო პალატას, გადაწყვიტოს დავა პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის განკუთვნილი ნორმებით დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. კანონის აღნიშნული დანაწესი უშუალოდ უკავშირდება დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წესსა და პროცედურას და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს, განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი, თუ აპელანტი, რომელსაც საქმის განხილვის დრო კანონით დადგენილი წესით ეცნობა, სასამარ-

თლო სხდომაზე არ გამოცხადებულა და არც თავისი გამოუცხადებლობის მიზეზი სასამართლოსათვის უცნობებია, ხოლო მოწინააღმდეგე მხარეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება არ მოუთხოვია.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ აპელანტ გ. კ-რისათვის სასამართლო უწყება 2009 წლის 23 დეკემბრის სხდომის დანიშვნის შესახებ და 2009 წლის 1 დეკემბრის სასამართლო სხდომის ასლი კანონის მოთხოვნათა დაცვით ჩაბარებულად უნდა ჩაითვალოს შემდეგი დასაბუთებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დროსა და ადგილზე. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. ამავე კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. უწყების მიმღები ვალდებულია, უწყების მე-2 ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება. უწყების მიმღები ვალდებულია, უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით, თუ მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩააბარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის 1¹ ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. ამავე კოდექსის 73-ე მუხლის 1¹ ნაწილის მიხედვით კი, თუ პირველად გაგზავნისას სასამართლო უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, უწყება დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსთვის ცნობილ სხვა მისამართზე.

მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, აცნობოს მხარეებს გარკვეული საპროცესო მოქმედებების შესახებ, რისთვისაც იგი აგზავნის სასამართლო უწყებასა და გზავნილს საქმეში მხარეთა მიერ დასახელებულ ძირითად ან ალტერნატიულ მისამართზე. სასამართლო გზავნილისა და უწყების უშედეგოდ გაგზავნისას სასამართლო ვალდებულია, განმეორებით გააგზავნოს ისინი იმავე ან მისთვის ცნობილ სხვა მისამართზე, რა დროსაც სასამართლო დოკუმენტების მხარისათვის კვლავ ჩაუბარებლობა, უწყებისა და გზავნილის მხარის მიერ ჩაბარებას უთანაბრდება. ამავდროულად, სასამართლო უწყება და გზავნილი მხარისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ჩააბარდება არა პირადად ადრესატს, არამედ მის მიერ მითითებულ მისამართზე მხარესთან ერთად მცხოვრებ სრულწლოვან ოჯახის წევრს, რომელიც უწყების ან გზავნილი მეორე ეგზემპლარზე ხელმოწერით დაადასტურებს სასამართლო გზავნილის მიღების ფაქტს. აღნიშნული პირი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს და გადასცეს მხარეს მის მიერ მიღებული დოკუმენტები.

კანონის აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, მხარე ვალდებულია, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეციდოს სასამართლოსათვის თავისი მისამართის მითითების საკითხს, ვინაიდან უფლებამოსილი პირის მიერ სასამართლო უწყებისა თუ გზავნილის აღნიშნულ მისამართზე მიტანისას მხარის არყოფნის შემთხვევაში, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ზემოხსენებული დოკუმენტები ჩაბარდება კანონით გათვალისწინებულ სუბიექტთა წრეს და ამ პირთა მიერ სასამართლო უწყების და გზავნილის მხარისათვის დაუყოვნებლივ გადაცემის შესახებ ვალდებულების დარღვევას მხარის საზიანო სამართლებრივი შედეგი მოჰყვება.

განსახილველ შემთხვევაში აპელანტმა გ. კ-რმა სააპელაციო საჩივარში თავის ძირითად მისამართად მიუთითა რუსეთის ფედერაცია, მოსკოვის ოლქის ქ.,... მშენებელთა ქ.15ა, ბინა 196, ხოლო ალტერნატიულ მისამართად – ქ.თბილისი, ...ს 3, მე-2 მკ/რ 130/83. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლომ უწყება საქმის განხილვის 2009 წლის 23 დეკემბრისათვის დანიშვნის თაობაზე და სააპელაციო პალატის 2009 წლის 1 დეკემბრის სხდომის ოქმის ასლი გ. კ-რს გაუგზავნა როგორც ძირითად, ისე ალტერნატიულ მისამართზე, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 1 დეკემბრის განჩინებით მოწინააღმდეგე მხარე დ. გ-მეს დაევალა ზემოხსენებული სასამართლო უწყებისა და გზავნილის გ. კ-რისათვის ჩაბარება და შესაბამისი დასტურის სააპელაციო პალატისათვის წარდგენა.

მხარის მიერ წარმოდგენილი საფოსტო სამსახურ «თNთ-ის» დირექტორის გაცემული, 2009 წლის 22 დეკემბრის ცნობით, ამავე წლის 17 დეკემბერს გ. კ-რს რუსეთის ქალაქ ... მშენებელთა ქ.15ა-ს ბინა 196-ში გაეგზავნა 241814226 გზავნილი, თუმცა მისი ადრესატისათვის ჩაბარება ვერ მოხერხდა გ. კ-რის სახლში არყოფნის გამო. აპელანტისათვის ალტერნატიულ მისამართზე გაგზავნილი სადავო სასამართლო უწყება და გზავნილი 2009 წლის 16 დეკემბერს ადრესატისათვის გადასაცემად ჩაიბარა ნ. კ-მემ. დასაბუთებულია სააპელაციო პალატის მითითება შპს «სკს-ს» შეტყობინების ბარათზე, რომლითაც დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 10 სექტემბრის განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ გ. კ-რისათვის გადასაცემად

ქ. თბილისში, ...ს 3-ის მე-2 მკ/რ-ის 130/83-ში ჩაიბარა მისმა დეიდაშვილმა ნ. კ-მემ. სააპელაციო საჩივრის ხარვეზი კი მხარემ აღნიშნული ჩაბარებიდან ვადაში გამოასწორა. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე 2009 წლის 16 დეკემბერს გ. კ-რისათვის სადავო სასამართლო გზავნილისა და უწყების ჩაბარება სააპელაციო პალატამ გ. კ-რისათვის ჩაბარებად სწორად მიიჩნია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის არგუმენტს, რომ 2009 წლის 16 დეკემბერს გ. კ-რისათვის სადავო სასამართლო უწყებისა და გზავნილის ჩაბარების პირობებშიც 2009 წლის 23 დეკემბრამდე მხარე ვერ უზრუნველყოფდა წარმომადგენლის მეშვეობით საქმის განხილვაში მონაწილეობას, ვინაიდან ერთი კვირის შუალედი საკმარისად გონივრულ ვადას წარმოადგენდა სასამართლო პროცესის მოსამზადებლად, ხოლო ობიექტური გარემოებების წარმოშობის შემთხვევაში მხარე უფლებამოსილი იყო, დასაბუთებული შუამდგომლობით მიემართა სასამართლოსათვის, რაც მას, საქმის განხილვის შესახებ სასამართლო უწყების ჩაბარების მიუხედავად, არ განუხორციელებია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და

და ა დ გ ი ნ ა:

გ. კ-რის წარმომადგენელ მ. ს-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში

განჩინება

1ას-151-143-2010

22 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. მ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. და ს. ბ-ძეების მიმართ დავალიანების – 16079 ლარისა და სასამართლო ხარჯების ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძველით: მოპასუხეები არიან მამა-შვილი. სათანადო ანაზღაურების სანაცვლოდ, მოსარჩელე დროდადრო ამარაგებდათ მათ ფრინველის საკვებით, თუმცა გ.მ-შვილის მიერ პროდუქციის მიწოდების მიუხედავად, მოპასუხეებმა ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულეს და მას თანხა არ გადაუხადეს.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს შემდეგი დასაბუთებით: სასარჩელო მოთხოვნა დაუსაბუთებელია, ვინაიდან მოსარჩელემ მასში მითითებული გარემოებანი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ვერ დაამტკიცა. მოპასუხე ს. ბ-ძეს მამის საქმიანობასთან არანაირი კავშირი გააჩნია და გ.მ-შვილის მიმართ რაიმე სახის ვალდებულება მას არ ეკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ.მ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – მოპასუხე დ. ბ-ძეს დაეკისრა 16079 ლარის გადახდა მოსარჩელე გ. მ-შვილის სასარგებლოდ, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გ. მ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 იანვრის განჩინებით გ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 15 დეკემბრის განჩინებით აპელანტს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა 10 დღის ვადაში სააპელაციო საჩივრის მოთხოვნისა და საფუძვლების მითითება, მისი ღირებულების განსაზღვრა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა. პალატამ დაადგინა, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინების ასლი გ.მ-შვილს გაეგზავნა და 2010 წლის 9 იანვარს ჩაბარდა მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს, შვილოშვილს, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ გზავნილის მხარისათვისაც ჩაბარებად ჩათავლა. პალა-

ტის მითითებით, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში – 2010 წლის 10 იანვრიდან 20 იანვრამდე აპელანტს ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე განცხადებით მიუმართავს. ამავე კოდექსის 368-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე გ. მ-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის ვადის აღდგენა შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ განჩინებაში არასწორად მიუთითა, რომ აპელანტის შვილიშვილს სასამართლო გზავნილი 2009 წლის 9 იანვარს ჩაჰბარდა. სავარაუდოდ, აღნიშნული მექანიკურ შეცდომას წარმოადგენს, რადგან გზავნილის ჩაბარება მოხდა 2010 წლის 9 იანვარს. სასამართლო გზავნილი ჩაბარდა გ.მ-შვილის 12 წლის არასრულწლოვან შვილიშვილ დ. მ-შვილს, რომელსაც დაავიწყდა აპელანტისათვის მისი დროულად გადაცემა.

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 15 დეკემბრის განჩინებით გ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და აპელანტს დაევალა 10 დღის ვადაში სააპელაციო საჩივრის მოთხოვნისა და საფუძველების მითითება, მისი ღირებულების განსაზღვრა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა.

შპს «სკს-ს» გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათის თანახმად, სასამართლო გზავნილი 2010 წლის 9 იანვარს ჩაბარდა გ.მ-შვილის შვილიშვილ გ. მ-შვილს.

სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში აპელანტს ხარვეზის არ გამოუსწორებია და სააპელაციო პალატისათვის რაიმე შუამდგომლობით არ მიუმართავს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალღებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ სასამართლო განჩინების ასლი 2009 წლის 9 იანვარს აპელანტისათვის ჩაბარებულად უნდა ჩაითვალოს, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეებს და მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. ამავე კოდექსის 74-ე მუხლის შესაბამისად კი, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. მითითებული ნორმების შინაარსი ცხადყოფს, რომ სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ადრესატის არყოფნისას იგი ჩაბარდება მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს.

მოცემულ შემთხვევაში შპს «სკს-ს» გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ სასამართლო გზავნილი ჩაიბარა აპელანტ გ.მ-შვილის შვილიშვილმა – გ. მ-შვილმა.

ამდენად, დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტი, რომ სასამართლო გზავნილი ჩაიბარა მისმა არასრულწლოვანმა შვილიშვილმა დ. მ-შვილმა, ხოლო რაც შეეხება აპელანტის შვილიშვილ გ. მ-შვილს, მისი სრულწლოვანების ფაქტი კერძო საჩივრის ავტორს სადავოდ არ გაუხდია.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ აპელანტს ხარვეზის დადგენის თაობაზე სააპელაციო პალატის განჩინების ასლი ჩაჰბარდა 2010 წლის 9 იანვარს, მხარეს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით სასამართლოსათვის არ მიუმართავს, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება მოცემული სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ კანონიერია.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება კერძო საჩივრის მითითება, რომ განჩინებაში აპელანტისათვის სასამართლო გზავნილის ჩაბარების თარიღად 2010 წლის 9 იანვრის ნაცვლად არასწორად მიეთითა 2009 წლის 9 იანვარი, ვინაიდან აღნიშნული, როგორც თავად მხარე ადასტურებს, მექანიკურ შეცდომაა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

გ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უწყების ჩაბარება წარმომადგენლისათვის

განჩინება

1ას-430-402-2010

31 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 10 აპრილს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ტ. ტ-შმა მოპასუხეების: ჯ. თ-ძის, ლ. შ-ძის, ლ. მ-ძის, რ. ვ-ძის, ზ. შ-ძის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურისა და მესამე პირის – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ჯ. თ-ძისა და ლ. შ-ძის მიერ რ. ვ-ძესა და ზ. შ-ძესთან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა და საჯარო რეესტრის ჩანაწერების გაუქმება.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 2007 წლის 17 დეკემბერს განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და მოითხოვა 1993 წლის 2 იანვარს ხელვაჩაურის რაიონის '3 ... აგროუბანში მდებარე მიწის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული 9 000 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საკუთრების მოწმობის გაცემა. აღნიშნული განცხადება დაკმაყოფილდა მხოლოდ 3 000 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, ხოლო დანარჩენ 6 000 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების მოწმობები გაიცა ფიზიკურ პირებზე, რომლებსაც არანაირი შეხება ჰქონიათ აღნიშნულ მიწის ნაკვეთთან. მიწის ნაკვეთის ახალი მესაკუთრეების – ჯ. თ-ძისა და ლ. შ-ძის მიერ 2007 წლის 27 თებერვლის ხელშეკრულებებით მიწის ნაკვეთები გასხვისდა რ. ვ-ძესა და ზ. შ-ძეზე.

2008 წლის 2 ოქტომბერს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა შპს «ბ-მ» ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიისა და ტ. ტ-შის მიმართ და მოითხოვა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტების, კერძოდ, კომისიის 2008 წლის 29 აგვისტოს '109 საოქმო გადაწყვეტილების ნაწილისა და ტ. ტ-შის სახელზე გაცემული '4235 საკუთრების მოწმობის ბათილად ცნობა. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ შპს «ბ-ა», როგორც ქ. ბათუმის გამწვანების ტრესტის უფლებამონაცვლე, ფლობდა და სარგებლობდა სოფ. ...-ში მდებარე მიწის ნაკვეთით, სადაც ასევე განთავსებულია 12 სანერგე მეურნეობა. იჯარის ხელშეკრულება დადებული იყო არა ტ. ტ-შის, არამედ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება-რეალიზაციის კოოპერატივ «ს-ს» მიერ, რომლის თავმჯდომარეც იყო ტ. ტ-ში. სარჩელში ასევე მითითებული იყო, რომ იჯარის ხელშეკრულება ჯერ კიდევ 1993 წლის 31 დეკემბერს გაუქმდა ქ. ბათუმის მერიის '402 გადაწყვეტილებით.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს განჩინებით ზემოაღნიშნული საქმეები გაერთიანდა ერთ წარმომადგენლობადად.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით ტ. ტ-შისა და შპს «ბ-ის» სარჩელები არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ 2008 წლის 27 თებერვალს ჯ. თ-ძესა და ზ. შ-ძეს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ზ. შ-ძემ 17 000 ლარად შეიძინა ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ...-ში მდებარე 2 500 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. 2008

წლის 27 თებერვალს ლ. შ-ძესა და რ. ვ-ძეს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც რ. ვ-ძემ 17 000 ლარად შეიძინა ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ...-ში მდებარე 2 500 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. სასამართლომ მიიჩნია, რომ ჯ. თ-ძესა და ლ. შ-ძეს საკუთრების უფლება რეგისტრირებული ჰქონდათ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ გაცემული 16004 და 16005 საკუთრების უფლების მოწმობის საფუძველზე.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ტ. ტ-შმა და მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელანტი მიუთითებდა, რომ სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოებები, რომლის დამადასტურებელი მტკიცებულებებიც არ ყოფილა საქმეში წარდგენილი. ლ. შ-ძისა და ჯ. თ-ძის მიერ არ ყოფილა დამტკიცებული ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ ისინი ნამდვილად ფლობდნენ მათ მიერ გასხვისებულ მიწის ნაკვეთებს. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უსწორობის საფუძველად აპელანტი ასევე მიუთითებდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მიერ ტ. ტ-შისა და შპს «ბ-ის» ადმინისტრაციული სარჩელების ერთ წარმოებად გაერთიანებას, ვინაიდან დავის საგანი და საფუძველი ორივე შემთხვევაში სხვადასხვა იყო.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასევე შპს «ბ-მ», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით შპს «ბ-ის» სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელანტი მიუთითებდა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან დგინდებოდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ ტ. ტ-შის საკუთრებაში აღიარებული მიწის ნაკვეთით შპს «ბ-ის» და არა ტ. ტ-შის მიერ სარგებლობის ფაქტი. აპელანტის მითითებით, არ ყოფილა წარდგენილი მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ ტ. ტ-ში საკუთრების უფლების აღიარებამდე სარგებლობდა სადავო მიწის ნაკვეთით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 მაისის განჩინებით ცალკე წარმოებად გამოეყო ტ. ტ-შის სააპელაციო საჩივარი ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებაზე ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის ნაწილში. ადმინისტრაციული საქმიდან გამოყოფილი სასარჩელო მოთხოვნა განსჯადობის წესების დაცვით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2009 წლის 16 სექტემბრის განჩინებით შეჩერდა ტ. ტ-შის სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოება ლ. მ-ძის, ჯ. თ-ძისა და ლ. შ-ძეს და მოპასუხე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიას შორის აღძრული ადმინისტრაციული დავის გადაწყვეტამდე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით შპს «ბ-ის» სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2007 წლის 28 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილება ტ. ტ-შის ნაწილში და მის საფუძველზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2007 წლის 28 დეკემბერს გაცემული საკუთრების უფლების მოწმობა 14235. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 13 იანვრის განჩინებით ტ. ტ-შის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებაზე დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 მარტის განჩინებით განაზღვრა საქმის წარმოება ტ. ტ-შის სააპელაციო საჩივარზე, საქმის განხილვა დაინიშნა სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე 2010 წლის 1 აპრილს, 14.00 საათზე.

2010 წლის 1 აპრილის სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა არც ერთი მხარე. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 აპრილის განჩინებით ტ. ტ-შის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ 2010 წლის 1 აპრილს 14.00 საათზე დანიშნული სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ მხარეებს ეცნობათ სატელეფონო შეტყობინების მეშვეობით და განემარტათ გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები. სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა არც ერთი მხარე და მათ არც სასამართლოსათვის უცნობებიათ გამოუცხადებლობის საპატიო გარემოებების არსებობის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ტ. ტ-შმა (წარმომადგენელი ვ. ს-ძე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივარში აღნიშნულია, რომ ტ. ტ-ში საქმეს აწარმოებდა წარმომადგენელ ვ. ს-ძის მეშვეობით და სააპელაციო სასამართლოს დანიშნული სხდომის შესახებ სწორედ ამ უკანასკნელისათვის უნდა ეცნობებინა. ტ. ტ-ში სააპელაციო სასამართლოში საერთოდ არ ყოფილა და მისი სახელით ყველა პროცესუალური მოქმედება ვ. ს-ძის მეშვეობით ხორციელდებოდა. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლოს სხდომის დროის შესახებ არც ერთი მათგანისათვის არ შეუტყობინებია. ასეთ ვითარებაში ტ. ტ-შის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება არამართლზომიერია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ტ. ტ-შის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 აპრილის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მხარეები შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, დეკემბით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით. ტექნიკური საშუალებით დაბარებისას დგება აქტი, რომელიც ჩაიკერება საქმეში. აქტს ადგენს სასამართლოს შესაბამისი მოხელე.

საქმეზე დასტურდება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 1 აპრილის სხდომის დროისა და ადგილის შესახებ სატელეფონო შეტყობინების მეშვეობით ეცნობა ტ. ტ-შის წარმომადგენელ მ. ა-შვილს. ამასთან დაკავშირებით 2010 წლის 25 მარტს მოსამართლის თანაშემწის მიერ შედგა შესაბამისი აქტი. საქმეში განთავსებული მინდობილობის თანახმად, მ. ა-შვილს ტ. ტ-შის წარმომადგენლობის უფლება გააჩნია ყველა ინსტანციის სასამართლოში. აღნიშნული რწმუნებულება გაცემულია 2011 წლის 19 მაისის ჩათვლით და მარწმუნებლის ან რწმუნებულის მხრიდან წარმომადგენლობის შეწყვეტის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი საქმეში არ მოიპოვება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი, უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმომადგენელ მ. ა-შვილის ინფორმირება სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ წარმოადგენდა უშუალოდ აპელანტის – ტ. ტ-შის ინფორმირებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლი, ამავე კოდექსის 275-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტი, რომელთა თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმის განხილვისათვის; სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს თუ არც ერთი მხარე არ გამოცხადდება.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლად ვერ მიიჩნევა ის გარემოება, რომ 2010 წლის 1 აპრილის სხდომის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს არ უცნობებია უშუალოდ აპელანტისა და მისი სხვა წარმომადგენლის – ვ. ს-ძისათვის. როგორც უკვე აღინიშნა, საქმეში წარმოდგენილია ტ. ტ-შის მიერ მ. ა-შვილზე გაცემული მინდობილობა, რომლის ნამდვილობა სადავოდ არავის გაუხდია. აღნიშნული მინდობილობით გამოხატულია მხარის ნება, სასამართლოში მისი სახელით წარმომადგენლობის (მათ შორის, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების) უფლებამოსილება მიანიჭოს მ. ა-შვილს. ამ ნების ნამდვილობის საეჭვოობის საფუძველი საკასაციო სასამართლოს არ გააჩნია. სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის საფუძველზე არ იყო შეზღუდული, სხდომის დღის შესახებ ეცნობებინა მხოლოდ ერთ-ერთი წარმომადგენლისათვის, რომელიც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თავის მხრივ, ვალდებული იყო, ამის თაობაზე წარმოდგენილი პირისთვის ეცნობებინა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს კერძო საჩივარს და უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ტ. ტ-შის (წარმომადგენელი ვ. ს-ძე) კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს; უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 აპრილის განჩინება;

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში; ხარვეზის შეუვსებლობა

განჩინება

1ას-291-276-10

10 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: დავალიანების გადახდა და ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 29 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა შპს «მ-მ» მოპასუხე შპს «ნ.-2004-ის» მიმართ და მოითხოვა დავალიანების – 180 133.54 ლარისა და თანხის გადაცილებით მიყენებული ზიანის – 52 238 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს «მ-ის» სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 10 409 ლარის გადახდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა შპს «ნ.-2004-მა».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 თებერვლის განჩინებით შპს «ნ.-2004-ის» სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

სასამართლომ განმარტა, რომ აპელანტს სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი, მას განესაზღვრა საპროცესო ვადა – 7 დღე და დაევალა მოთხოვნის დაზუსტება. განჩინება ხარვეზის შესახებ აპელანტს გაეგზავნა კანონით დადგენილი წესით.

შეტყობინების ჩაბარების შესახებ გზავნილადან დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 თებერვლის განჩინება ხარვეზის შესახებ ჩაჰბარდა აპელანტის წარმომადგენელ გ. მ-ძეს, კერძოდ კი მის მეუღლეს – ნ. ჭ-ძეს 2010 წლის 12 თებერვალს. საქმის მასალებით, კერძოდ კი რწმუნებულებით დასტურდება, რომ შპს «ნ.-2004» გ. მ-ძეს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ანიჭებს გადანდობის უფლებით. თავის მხრივ, გ. მ-ძემ შპს «ნ.-2004-ის» სახელით წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მიანიჭა დ. კ-შვილს. ორივე მათგანი აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულია წარმომადგენლად. საქმის მასალებით არ დასტურდება აპელანტის მიერ გ. მ-ძისათვის მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაუქმების ფაქტი. განსახილველ შემთხვევაში, ხარვეზის შესახებ განჩინება ჩაბარებულად ითვლება 2010 წლის 12 თებერვალს.

ხარვეზის შევსების 7-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2010 წლის 13 თებერვლიდან, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. აღნიშნული ვადის ბოლო დღე არის 2010 წლის 19 თებერვალი, ანუ ხარვეზის შევსების უფლებამოსილება აპელანტს გააჩნდა 2010 წლის 19 თებერვლის ჩათვლით.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ აპელანტმა ხარვეზის შესახებ განცხადებით სასამართლოს მიმართა მითითებული ვადის გასვლის შემდგომ – 2010 წლის 22 თებერვალს, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შპს «ნ.-2004-მა». მან განმარტა, რომ შეტყობინებაში დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი, ვინაიდან რეალურად განჩინება ჩაბარებულ იქნა 13 თებერვალს, შაბათ დღეს, ხოლო განჩინებაში დაფიქსირებული 7-დღიანი ვადა მითითებული თარიღიდან გადიოდა 2010 წლის 20 თებერვალს და ვინაიდან 20 თებერვალი ემთხვეოდა არასამუშაო დღეს – შაბათს, განცხადება ჩააბარეს მომდევნო სამუშაო დღეს, კერძოდ, 2010 წლის 22 თებერვალს და აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიერ დადგენილი ვადა არ დაურღვევიათ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ შპს «ნ.-2004-ის» კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მათ განჩინება ჩაჰბარდათ 13 თებერვალს და აქედან უნდა დაიწყოს ვადის ათვლა.

დადგენილია, რომ შპს «ნ.-2004-ს» სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი, მას მიეცა 7-დღიანი ვადა ხარვეზის შესავსებლად. ხარვეზის განჩინება აპელანტს გაეგზავნა კანონით დადგენილი წესით. თბილისის

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 თებერვლის ხარვეზის განჩინება აპელანტის წარმომადგენელს გ. მ-მეს ჩაჰბარდა 2010 წლის 12 თებერვალს, კერძოდ, მის მეუღლეს, ნ. ჭ-მეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედებების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტს.

ამავე კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მის მიერ მითითებულ მისამართზე, ის უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, ხოლო თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით – სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ როგორც მოწინააღმდეგე მხარეები. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისთვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ხარვეზის შესახებ განჩინება ჩაბარებულად ითვლება 2010 წლის 12 თებერვალს. ხარვეზის შევსების ბოლო ვადა ამოიწურა 2010 წლის 19 თებერვალს. აპელანტმა კი ხარვეზის შესახებ განცხადებით სასამართლოს მიმართა მითითებული ვადის გასვლის შემდგომ – 2010 წლის 22 თებერვალს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

ამავე კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს ამავე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება და დარჩება განუხილველი.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველად შპს «ნ.-2004-ის» სააპელაციო საჩივარი ხარვეზის შეუვსებლობის გამო, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

შპს «ნ.-2004-ის» კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 24 თებერვლის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში

განჩინება

1ას-470-440-2010

21 ივნისი, 2010

წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
ვ. როინიშვილი

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 4 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ც. პ-შვილმა მოპასუხეების – ლ. მ-ძისა და მ. ი-ძის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოსარჩელის შვილი – ლ. ფ-შვილი მუშაობდა კავშირ «...ცენტრში», აღნიშნული კავშირის დირექტორია მ. ი-ძე. ლ. ფ-შვილს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებ

ბისას ლ. მ-მემ გულმკერდის არეში დანით მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე დაზიანება, რის შედეგადაც იგი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით ლ. მ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 14 წლით. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ შვილის საფლავის მოწყობის ხარჯებმა შეადგინა 18 206 ლარი და ითხოვდა აღნიშნული თანხის მოპასუხეებისათვის სოლიდარულად დაკისრებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით ც. პ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიუთითა, რომ კანონი არ ანაზღაურებდა პირის გარდაცვალების შედეგად დამდგარ ყველა სახის ზიანს. ზიანის ანაზღაურება ხდებოდა პირის დაკრძალვაზე გაწეული ხარჯების კომპენსაციით, ხოლო მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვდა საფლავის მოწყობის ხარჯის ანაზღაურებას, რაც არ წარმოადგენდა დაკრძალვასთან დაკავშირებით გაწეულ ხარჯს. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ მ. ი-მე წარმოადგენდა არასათანადო მოპასუხეს, ვინაიდან ლ. ფ-შვილი შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა კავშირ – «... ცენტრთან» და არა მ. ი-მესთან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ც. პ-შვილმა და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება. აპელანტი მიუთითებდა, რომ მ. ი-მემ მისი უმოქმედობით, რაც გამოიხატა იმაში, რომ არ უზრუნველყო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ლ. ფ-შვილისათვის შესაბამისი დაცვის საშუალებების მიწოდება, ხელი შეუწყო ლ. მ-მეს დანაშაულის სისრულეში მოყვანაში. აპელანტის მითითებით, დაკრძალვის ხარჯებში იგულისხმებოდა საფლავის მოწყობის ხარჯებიც.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 16 აპრილის განჩინებით ც. პ-შვილის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი ც. პ-შვილს ჩაჰბარდა 2010 წლის 17 მარტს. სააპელაციო საჩივარი წარდგენილ იქნა 2010 წლის 6 აპრილს, გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 16 აპრილის განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ კერძო საჩივრით გაასაჩივრა ც. პ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებდა, რომ მას და მის წარმომადგენელს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ ჩაჰბარებიათ. იგი ჩაჰბარდა ც. პ-შვილის მოხუცებულ დედას, რომლისთვისაც გადაწყვეტილების დანიშნულება უცნობი იყო. გადაწყვეტილების ჩაბარების შესახებ ც. პ-შვილისათვის ცნობილი გახდა 2010 წლის 24 მარტს, რაიონიდან დაბრუნების შემდეგ, რის შემდგომ მან კანონით დადგენილ ვადაში წარადგინა სააპელაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 16 აპრილის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი ც. პ-შვილს ჩაჰბარდა 2010 წლის 17 მარტს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60-ე-61-ე მუხლების შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შესატანად დადგენილი საპროცესო მოქმედების შესრულების 14-დღიანი ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში დაიწყო 2010 წლის 18 მარტს და დასრულდა 2010 წლის 31 მარტს. აპელანტმა სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2010 წლის 6 აპრილს, გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლი ასევე მიუთითებს, რომ, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობა, რომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების ასლის მისი დედისათვის ჩაბარება არ ნიშნავს მისთვის ჩაბარებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღებების ხელმოწერით. აქედან გამომდინარე, აპელანტ ც. პ-შვილის ოჯახის წევრის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ასლის ჩაბარება ითვლება ც. პ-შვილის მიერ ჩაბარებად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს კერძო საჩივარს და უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ც. კ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 16 აპრილის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში

განჩინება

1ას-466-436-2010

28 ივნისი, 2010 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ამხანაგობის კრების ოქმებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. კ-ძემ, თ. მ-ძემ, გ. ა-შვილმა, ა. მ-ძემ, დ. მ-ძემ, ზ. ს-შვილმა, ზ. ლ-ძემ, ვ. კ-ძემ, გ. ი-იამ, ქ. გ-იანმა, გ. ბ-ულმა, ე. წ-ძემ, რ. მ-ძემ, კ. შ-შვილმა, გ. წ-აიამ, ნ. ს-შვილმა, ზ. ლ-ძემ, ნ. მ-ძემ და ი. გ-ძემ სარჩელი აღძრეს სასამართლოში ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «შ-ს», ა. პ-ინის, მ. ხ-იანისა და დ. კ-შვილის მიმართ და მოითხოვეს მენაშენეთა ამხანაგობა «შ-ს» 2007 წლის 5 ივლისის კრების 15 ოქმისა და 2008 წლის 12, 18, 26 და 27 ივნისის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა.

ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «შ-ს» თავმჯდომარე მ. კ-ძემ ამხანაგობა «შ-ს» 2007 წლის 5 ივლისის კრების 15 ოქმის ბათილად ცნობის ნაწილში სარჩელი ცნო, ხოლო მოპასუხე ა. პ-ინის წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო დაუსაბუთებლობის გამო. სარჩელი ასევე არ ცნეს მოპასუხეების – დ. კ-შვილისა და მ. ხ-იანის წარმომადგენელმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. კ-ძის, თ. მ-ძის, გ. ა-შვილის, ა. მ-ძის, დ. მ-ძის, ზ. ს-შვილის, ზ. ლ-ძის, ვ. კ-ძის, გ. ი-იას, ქ. გ-იანის, გ. ბ.ს, ე. წ-ძის, რ. მ-ძის, კ. შ-შვილის, გ. წ-აიას, ნ. ს-შვილის, ზ. ლ-ძის, ნ. მ-ძისა და ი. გ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. კ-ძემ, თ. მ-ძემ, გ. ა-შვილმა, ა. მ-ძემ, დ. მ-ძემ, ზ. ს-შვილმა, ზ. ლ-ძემ, ვ. კ-ძემ, გ. ი-იამ, ქ. გ-იანმა, გ. ბ-ულმა, ე. წ-ძემ, რ. მ-ძემ, კ. შ-შვილმა, გ. წ-აიამ, ნ. ს-შვილმა, ზ. ლ-ძემ, ნ. მ-ძემ და ი. გ-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 29 იანვრის განჩინებით სააპელაციო საჩივარში არსებული ხარვეზის შესავსებად აპელანტებს განესაზღვრათ 10 დღის ვადა და დაევალით სააპელაციო საჩივრის ღირებულების მითითება, ასევე სახელმწიფო ბაჟის, დავის საგნის ღირებულების 4%-ის, არანაკლებ 150 და არა უმეტეს 5000 ლარის, გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. ამავე სასამართლოს 2010 წლის 11 თებერვლის განჩინებით აპელანტებს სააპელაციო საჩივარში არსებული ხარვეზის შევსების ვადა 7 დღით გაუგრძელდათ.

2010 წლის 19 თებერვალს სასამართლოს განცხადებით მიმართეს აპელანტებმა მ. კ-ძემ, თ. მ-ძემ, გ. ა-შვილმა, გ. ბ-ულმა და სხვებმა, სადაც აღნიშნეს, რომ ამ დრომდე შეგროვებული აქვთ სახელმწიფო ბაჟის ნაწილი, დარჩენილი თანხის შეგროვებას ელოდებიან დამატებით, აღნიშნულიდან გამომდინარე, იშუამდგომლეს ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელება ერთი კვირით, ან სახელმწიფო ბაჟის გადახდის განაწილვადება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 26 თებერვლის განჩინებით აპელანტებს ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა 5 დღით კვლავ გაუგრძელდათ.

პალატის მითითებით, საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ განჩინების ასლი აპელანტის წარმომადგენელ კ. ბ-ძეს და სააპელაციო საჩივრის ავტორებს ჩაბარდათ 2010 წლის 29 მარტს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლომ ხარვეზის შევსების ვადის ათვლა დაიწყო ადრესატებისათვის განჩინების ჩაბარების მეორე დღიდან – 2010 წლის 30 მარტიდან და ამავე კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, იგი ამოიწურა 2010 წლის 3 აპრილს, ვინაიდან ვადის

უკანასკნელი დღე დაემთხვა დასვენებისა და უქმე დღეებს, იგი ამოიწურა პირველ სამუშაო დღეს – 6 აპრილს. პალატამ დაადგინა, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში აპელანტებს ხარვეზი არ შეუვსიათ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე თ. მ-ძემ, გ. ა-შვილმა, გ. ბ-ულმა, ე. წ-ძემ და რ. მ-ძემ შეიტანეს კერძო საჩივარი და მოითხოვეს მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად აითვალა ხარვეზის შევსების მიზნით აპელანტთათვის მიცემული ვადა, რადგან თითოეულ აპელანტს ხარვეზის გაგრძელების თაობაზე სააპელაციო პალატის განჩინება არ ჩაჰბარებია და მათთვის უცნობი იყო, გაუგრძელა თუ არა სასამართლომ მითითებული საპროცესო ვადა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიაჩნია, რომ თ. მ-ძის, გ. ა-შვილის, გ. ბ-ს, ე. წ-ძისა და რ. მ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამავე მუხლის მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

მითითებული კანონის დანაწესი ცხადყოფს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველად.

მოცემულ შემთხვევაში აპელანტებს რამდენჯერმე დაუდგინდათ ხარვეზი და მიეცათ ვადა მის გამოსასწორებლად. საბოლოოდ 2010 წლის 26 თებერვლის განჩინებით სააპელაციო პალატამ აპელანტებს დაავალა 5 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა და განუმარტა, რომ აღნიშნული ვადის უმედეგოდ გასვლის შემდეგ სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად.

საქმის მასალებში წარმოდგენილი საფოსტო შეტყობინებებით დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება ხარვეზის დადგენის თაობაზე 2010 წლის 29 მარტს ჩაჰბარდა როგორც აპელანტთა წარმომადგენელ კ.ბ-ძის თანამშრომელ ლ. ჯ-შვილს, ისე ერთ-ერთი აპელანტის – მ. კ-ძის ძმას – კ.კ-ძეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. ამავე კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, ხოლო, თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით – სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას.

ზემოხსენებული კანონის დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლო უწყება თუ გზავნილი მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდა ერთ-ერთ მათგანს პირადად, მათი ოჯახის სრულწლოვან წევრს ან სამუშაო ადგილზე მყოფ თანამდებობის პირს, რომელიც თავისი ხელმოწერით დაადასტურებს სასამართლო უწყების მიღებას და ადრესატისათვის მისი გადაცემის ვალდებულებას. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უწყების მხარისა და მისი წარმომადგენლის მიერ მიღების თარიღად მიიჩნევა ზემოხსენებული თანამდებობის პირის მიერ უწყების მიღების თარიღი.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში სასამართლო გზავნილის აპელანტ მ. კ-ძის ძმისათვის, ასევე, სააპელაციო საჩივრის ავტორთა წარმომადგენელ კ.ბ-ძის თანამშრომლისათვის ჩაბარება გზავნილის აპელანტთათვის ჩაბარებად უნდა ჩაითვალოს. კანონიერია სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ გზავნილი კანონით გათვალისწინებული წესითაა ჩაბარებული და ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი ხუთდღიანი ვადა უნდა აითვალოს ჩაბარებიდან – 2010 წლის 29 მარტიდან. შესაბამისად, სასამართლოს მიერ დადგენილი ვადა ამოიწურა 2010 წლის 6 აპრილს, თუმცა აპელანტებს ხარვეზის გამოსწორების მიზნით ან სხვა რაიმე შუამდგომლობით სასამართლოსათვის არ მიუმართავთ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დასაბუთებულია სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დაადგინა:

თ. მ-ძის, გ. ა-შვილის, გ. ბ.ს, ე. წ-ძისა და რ. მ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 აპრილის განჩინება
დარჩეს უცვლელად.
სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში

განჩინება

1ას-472-442-2010

28 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება, იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ც-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. გ-იას მიმართ სესხის ხელშეკრულების ძირითადი თანხის – 20000 აშშ დოლარისა და საპროცესო ხარჯების ანაზღაურების, ხოლო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში იპოთეკის საგნის იძულებით აუქციონზე რეალიზაციის შესახებ შემდეგი საფუძველით: 2009 წლის 11 თებერვალს მოსარჩელემ მოპასუხეს ასესხა 20 000 აშშ დოლარი ერთი წლის ვადით. სესხი უზრუნველყოფილ იქნა მოპასუხის კუთვნილი საცხოვრებელი ბინით. მ.გ-იამ ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა.

მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ ცნო და განმარტა, რომ მას სესხის ძირითადი თანხიდან 3000 აშშ დოლარი უკვე გადახდილი აქვს, ხოლო დარჩენილი თანხა, მხარეთა შეთანხმებით, მოპასუხეს უნდა დაეფარა 2011 წლის იანვრის ბოლომდე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით ნ. ც-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მ. გ-იას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 20000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში დადგინდა მ.გ-იას საკუთრებაში რიცხული იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი სახლის რეალიზაცია.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. გ-იამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აპრილის განჩინებით მ. გ-იას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლები მხარეებს გაეგზავნათ კანონის მოთხოვნათა დაცვით და 2010 წლის 24 მარტს სასამართლო გზავნილი ჩაბარდა მ. გ-იას ოჯახის სრულწლოვან წევრს, მეუღლეს. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მ.გ-იამ სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2010 წლის 8 აპრილს. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიიჩნია, რომ სასამართლო გზავნილის აპელანტის მეუღლისათვის ჩაბარება თავად მ.გ-იას მიერ მის მიღებას უთანაბრდება. ამავე კოდექსის 369-ე და 374-ე მუხლების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ აპელანტმა სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა დაარღვია და იგი უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მ. გ-იამ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად იმ საფუძველით, რომ აპელანტს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი ჩაჰბარდა 2010 წლის 28 მარტს და სააპელაციო პალატამ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა 2010 წლის 24 მარტიდან არასწორად აითვალა.

საქმის მასალებში წარმოდგენილი ხელწერილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი 2010 წლის 24 მარტს ჩაჰბარდა მ. გ-იას მეუღლეს – ფ. გ-იას.

მ. გ-იამ სააპელაციო საჩივარი სასამართლოში შეიტანა 2010 წლის 8 აპრილს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. გ-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის გადაცემის მომენტიდან 14 დღის განმავლობაში. მითითებული ვადა იმპერატიულადაა დადგენილი და მისი გაგრძელების შესაძლებლობას სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებში წარმოდგენილი ხელწერილით დასტურდება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მ. გ-იას კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა და 2010 წლის 24 მარტს ჩაბარდა მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს – მეუღლე ფ. გ-იას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. ამავე კოდექსის 74-ე მუხლის შესაბამისად კი, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, იმ შემთხვევაშიც, თუ ადრესატის არყოფნისას იგი ჩაბარდება მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში აპელანტის მეუღლის – ფ. გ-იასათვის სასამართლო გადაწყვეტილების ასლის ჩაბარება სასამართლო გზავნილის თავად მხარისათვის ჩაბარებად უნდა ჩაითვალოს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის დაცვით რაიმე კონკრეტულ მტკიცებულებას არ ეფუძნება და, შესაბამისად, ვერ იქნება გაზიარებული კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ მას პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაბარდა 2010 წლის 28 მარტს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადა სავსებით სწორად აითვალა 2010 წლის 24 მარტიდან და მართებულად ჩათვალა, რომ სააპელაციო საჩივრის 2010 წლის 8 აპრილს შეტანით მ. გ-იამ ზემოხსენებული ვადა დაარღვია, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მ. გ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო შეტყობინების

საჯაროდ გავრცელება

განჩინება

¹ას-479-449-2010

28 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
პ. ქათამაძე

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 24 დეკემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ვ. ბ-ომ. საქმეზე მოპასუხეებად დასახელდნენ: მ. ბ-ო, ნ. კ-ინა, ო. ბ-ო, ქ. ბ-ო და დ. ს-ძე, ხოლო მესამე პირად – საჯა-

რო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახური. მოსარჩელემ მოითხოვა ბათუმში, ... ქ. '2'-ში მდებარე უძრავი ქონებიდან რეალური წილის გამოყოფა და საჯარო რეესტრის ჩანაწერებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით ვ. ბ-ოს სარჩელი დაკმაყოფილდა: გაუქმდა საზიარო უფლება ბათუმში, ... ქ. '2'-ში მდებარე ფართზე და ბათუმში, ნ. ... ქ. '2'-ში მდებარე 11 ოთახი, რომელიც დაკავებული ჰქონდა დ. ს-მს და შეადგენდა 15.6კვ.მ-ს, აღირიცხა დ. ს-მის საკუთრებაში, 13 ოთახს, რომელიც შეადგენდა 15.2კვ.მ-ს დაემატა 12 ოთახის კედლის გაწევით 3.64კვ.მ და აღნიშნული 18.84კვ.მ აღირიცხა მ. ბ-ოს, ქ. ბ-ოსა და ნ. კ-ინას საკუთრებაში, ხოლო დარჩენილი 12 ოთახი, რომელიც კედლის გადაწვევის შემდეგ დარჩებოდა 11.06კვ.მ აღირიცხა ვ. ბ-ოსა და ო. ბ-ოს საკუთრებაში; იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალი საჯარო რეესტრის მონაცემებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ბ-ომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 მარტის განჩინებით მ. ბ-ოს სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად, დადგინდა სააპელაციო საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის დრო – 2010 წლის 8 აპრილი. მოგვიანებით სასამართლო სხდომის აღნიშნული თარიღი შეიცვალა 2010 წლის 12 აპრილით.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 12 აპრილის სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარე ვ. ბ-ოს წარმომადგენელმა თ. კ-შვილმა იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე მ. ბ-ოს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რაც იმით დაასაბუთა, რომ აპელანტს გაშვებული ჰქონდა სააპელაციო წესით გასაჩივრების 14-დღიანი ვადა. ბათუმის საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო 2008 წლის 5 მაისს. იმის გამო, რომ საქალაქო სასამართლომ ვერ შეძლო გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარება, გადაწყვეტილება გამოქვეყნდა საჯარო შეტყობინების წესით მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გაზეთ «24 საათში». გამოქვეყნება მოხდა 2008 წლის 3 ოქტომბერს. აპელანტს გასაჩივრება შეეძლო 2008 წლის 24 ოქტომბრის ჩათვლით. მ. ბ-ომ სააპელაციო საჩივარი სასამართლოში შეიტანა 2010 წელს, რითაც გაუშვა გასაჩივრების ვადა. აქედან გამომდინარე, შუამდგომლობის ავტორმა მოითხოვა მ. ბ-ოს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 აპრილის განჩინებით მ. ბ-ოს სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლომ ვერ შეძლო აღნიშნულ საქმეზე გამოტანილი, 2008 წლის 5 მაისის გადაწყვეტილების მ. ბ-ოსათვის ჩაბარება; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილება გამოქვეყნდა საჯარო შეტყობინების წესით მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გაზეთ «24 საათში» 2008 წლის 3 ოქტომბერს; გამოქვეყნებიდან 2 წლის გასვლის შემდეგ, კერძოდ, 2010 წლის 27 იანვარს, მ. ბ-ომ სასამართლოში შეიტანა სააპელაციო საჩივარი; გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 7 დღის გასვლის შემდეგ, 2008 წლის 10 ოქტომბერს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა, რამდენადაც ამ დროისათვის სააპელაციო საჩივარი არ ყოფილა წარდგენილი და სასამართლომ გადაწყვეტილებაზე გასცა სააღსრულებო ფურცელი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივად გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, რამდენადაც მ. ბ-ოს მისამართი უცნობი იყო, ამიტომ სასამართლომ კანონის შესაბამისად გაზეთ «24 საათში» გამოაქვეყნა გადაწყვეტილება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

საქმეზე დგინდებოდა, რომ გაზეთში გადაწყვეტილების გამოქვეყნება მოხდა 2008 წლის 3 ოქტომბერს. კანონის თანახმად, 2008 წლის 10 ოქტომბერს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში იყო შესული. მოცემულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეტანილი იქნა 2010 წლის 27 იანვარს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მ. ბ-ომ გაუშვა გადაწყვეტილების გასაჩივრების 14-დღიანი ვადა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლიდან გამომდინარე, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 12 აპრილის განჩინება მ. ბ-ომ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მან მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, საჯარო შეტყობინება – ესაა სასამართლოს მიერ განხორციელებული უკიდურესი საპროცესო მოქმედება, რომლის გამოყენებაც შეიძლება შემდეგ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც: ა) მხარის ადგილსამყოფელი უცნობია; ბ) მხარისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება ვერ ხერხდება. სასამართლოსათვის ცნობილი იყო მ. ბ-ოს ადგილსამყოფელი. მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა საცხოვრებელი სახლი, რაც ბუნებრივად ასაბუთებს სასამართლოს მიერ აღნიშნული სახლის ადგილმდებარეობის ცოდნას.

კერძო საჩივრის ავტორის ვარაუდით, მისთვის სასამართლო უწყების (გადაწყვეტილების) ჩაბარებას აბრკოლებდა ის გარემოება, რომ თვითონ და მოწინააღმდეგე მხარე ცხოვრობენ ერთ მისამართზე. ვ. ბ-ო შეგნებულად აფერხებდა მ. ბ-ოსათვის გადაწყვეტილების ჩაბარებას, მას უნდოდა ესარგებლა ამ გარემოებით და ეშუამდგომლა გადაწყვეტილების საჯარო შეტყობინებით გამოქვეყნების თაობაზე, ვინაიდან იცოდა მოპასუხის დამკვიდრებულება (ხელმოკლეობის გამო) პრესის მიმართ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ბ-ოს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 აპრილის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად, აპელანტ მ. ბ-ოს მისამართია: ბათუმი, ნ. ... ქ. 12, ბინა 3. ამავე მისამართს უთითებს მ. ბ-ო განსახილველ კერძო საჩივარშიც.

საქმეზე დგინდება, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება მოპასუხე მ. ბ-ოს გაეგზავნა საქმეში არსებულ ზემომითითებულ მისამართზე. საქალაქო სასამართლოში დაბრუნებულ გზავნილის ფურცელზე მისი ჩაუბარებლობის მიზეზად მითითებულია, რომ მ. ბ-ო საცხოვრებლად გადავიდა თბილისში. ამავე მიზეზით დაუბრუნდა სასამართლოს გზავნილი მეორე შემთხვევაშიც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე, 73-ე მუხლების თანახმად, თუ მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩააბარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის 1¹ ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. ეს წესი მოპასუხის მიმართ გამოიყენება მის პასუხში (შესაგებელში) მითითებულ მისამართზე უწყების გაგზავნის შემთხვევაშიც. 73-ე მუხლის 1¹ ნაწილი ადგენს, რომ, თუ პირველად გაგზავნისას სასამართლო უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, უწყება დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსათვის ცნობილ სხვა მისამართზე. ასეთ შემთხვევაში კორესპონდენცია ჩაბარებულად ითვლება.

როგორც უკვე აღინიშნა, მხარის ინფორმირების აღნიშნული საპროცესო ვალდებულება სააპელაციო სასამართლომ დაიცვა. გასათვალისწინებელია, რომ მ. ბ-ო სასამართლოში საქმის წარმოების მიმდინარეობის შესახებ ინფორმირებული იყო. მხარის კეთილსინდისიერების ვალდებულებიდან გამომდინარე, ადგილსამყოფელის შეცვლის შემთხვევაში მ. ბ-ოს შეეძლო სასამართლოსათვის ეცნობებინა თავისი ფაქტობრივი (რეალური) ადგილსამყოფელი, რაც მას არ განუხორციელებია.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მხარის ინფორმირების მიზნით დამატებით გამოიყენა სასამართლო გადაწყვეტილების საჯარო შეტყობინების წესით გავრცელების საპროცესო შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული ვადის გათვალისწინებით მომხდარა სააპელაციო საჩივრის შეტანა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

მოცემულ შემთხვევაში მ. ბ-ოს მიერ გაშვებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადა, რის გამოც სააპელაციო საჩივარი სწორად იქნა დატოვებული განუხილველად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს კერძო საჩივარს და უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 419-ე-420-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. მ. ბ-ოს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უწყების მიღებაზე უარის თქმა

განჩინება

1ას-572-539-2010

12 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
ვ. როინიშვილი

სარჩელის დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 19 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა ფირმა «ა-ის» დირექტორმა კ. რ-ევამ მოპასუხე ე. კ-შვილის მიმართ. განმცხადებელმა მოითხოვა გადახდის ბრძანების გაცემა მოპასუხისათვის 159 327 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე. მოთხოვნის დაკმაყოფილება განმცხადებელმა მოითხოვა იმ საფუძველზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი ე. კ-შვილის მიმართ და სასჯელის ზომად განისაზღვრა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებული იყო კ. რ-ევა, განაჩენით დადგინდა, რომ მსჯავრდებულმა ე. კ-შვილმა ფირმა «ა-საგან» მითვისა 159 327 აშშ დოლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 24 აპრილის გადახდის ბრძანებით ე. კ-შვილს დაეკისრა 159 327 აშშ დოლარის გადახდა ფირმა «ა-ს» სასარგებლოდ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 ივნისის განჩინებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 24 აპრილის გადახდის ბრძანება ე. კ-შვილისათვის ფირმა «ა-ს» სასარგებლოდ 159327 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე დადგინდა საქმის საერთო სასარჩელო წარმოების წესით განხილვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით ფირმა «ა-ს» სარჩელი დაკმაყოფილდა, ე. კ-შვილს ფირმა «ა-ს» სასარგებლოდ დაეკისრა 159 327 აშშ დოლარის გადახდა. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დასტურდებოდა ე. კ-შვილის მხრიდან დანაშაულის ჩადენისა და ფირმა «ა-სათვის» 159327 აშშ დოლარის ოდენობით ზიანის მიყენების ფაქტი. სასამართლომ მიუთითა, რომ პირის ქმედების მართლწინააღმდეგობა და ბრალის განზრახი ან გაუფრთხილებელი ფორმა წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივ წინაპირობას, რაც კონკრეტულ შემთხვევაში დადგენილი იყო სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.

საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება ე. კ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად. აპელანტი მიუთითებდა, რომ დავა მომდინარეობდა ორი იურიდიული პირის – ფირმა «ა-სა» და შპს «პ-ს» შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, რის გამოც ე. კ-შვილი, როგორც ფიზიკური პირი, წარმოადგენდა არასათანადო მოპასუხეს. აპელანტი ასევე ითხოვდა საქმის გადაცემას არბიტრაჟისათვის განსჯადობის წესების დაცვით, ვინაიდან გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად მხარეთა შორის არსებული დავა უნდა გახილულიყო არბიტრაჟის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 იანვრის განჩინებით ე. კ-შვილის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშის შესაბამისად შედგენილი სააპელაციო საჩივრისა და 5 000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამატურებული დოკუმენტის წარმოდგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ე. კ-შვილმა, რომელმაც წარადგინა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშის შესაბამისად შედგენილი სა-

აპელაციო საჩივარი და ითხოვა სახელმწიფო ბაჟის შემცირება და მისი გადახდის გადავადება. აპელანტი ასევე ითხოვდა მისი ქონებრივი მდგომარეობის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოსადგენად საპროცესო ვადის მიცემას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 თებერვლის განჩინებით ე. კ-შვილს გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა 10 დღით და დაევალა 5 000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის განჩინებით ე. კ-შვილის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ განჩინება ე. კ-შვილს გაეგზავნა ქ. რუსთავის საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, სადაც აპელანტი სასჯელს იხდიდა. სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილ იქნა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქალთა და არასრულწლოვანთა 15 საერთო და საპრობილის რეჟიმის დაწესებულების დირექტორის 2010 წლის 11 მარტის მომართვა და მასზე თანდართული 2010 წლის 10 მარტის ოქმი, საიდანაც ირკვეოდა ე. კ-შვილის მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 19 თებერვლის განჩინების ჩაბარებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ მას აღნიშნული განჩინება ქ. რუსთავის 11 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში უნდა ჩაჰბარებოდა. სააპელაციო სასამართლომ აპელანტისათვის განჩინება ჩაბარებულად მიიჩნია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხოლო რამდენადაც აპელანტს ხარვეზი არ შეუვსია, სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ე. კ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება. კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 19 თებერვლის განჩინების ასლი მას ვერ ჩაბარდებოდა, ვინაიდან იგი 2010 წლის 1 მარტიდან 8 აპრილამდე იმყოფებოდა ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამეცნიერო ცენტრში, რასაც ადასტურებს შესაბამისი სამედიცინო ცნობა. კერძო საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს, რომ განჩინების ჩაბარების შემთხვევაშიც კი სასამართლოს მიერ დადგენილ 10-დღიან ვადაში იგი ვერ შეძლებდა ხარვეზის შევსებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. კ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მარტის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობას, რომ მას ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 19 თებერვლის განჩინების ასლი ვერ ჩაბარდებოდა. კერძო საჩივარზე თანდართული სამედიცინო ცნობებიდან ირკვევა, რომ ე. კ-შვილი აღნიშნულ სამედიცინო დაწესებულებაში მოათავსეს 2010 წლის 2 მარტს, საიდანაც გაეწერა 2010 წლის 9 მარტს. ქალთა და არასრულწლოვანთა 15 საერთო და საპრობილის რეჟიმის დაწესებულების სპეციალური აღრიცხვის განყოფილების უფროსი ინსპექტორისა და კონტროლიორის მიერ შედგენილი ოქმიდან ირკვევა, რომ ე. კ-შვილმა განჩინების ჩაბარებაზე უარი განაცხადა 2010 წლის 9 მარტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივრის ავტორი ვერ ადასტურებს მის მიერ განჩინების ჩაბარებაზე უარის თქმის დღეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არყოფნას და გზავნილი ჩაბარების შეუძლებლობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის თანახმად, თუ ადრესატი უარს განაცხადებს უწყების მიღებაზე, მისი მიმტანი სათანადო აღნიშვნას აკეთებს უწყებაზე, რომელიც სასამართლოს უბრუნდება. ასეთ შემთხვევაში უწყება ადრესატისათვის ჩაბარებულად ითვლება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ე. კ-შვილის მიერ განჩინება ჩაბარებულად ითვლება 2010 წლის 9 მარტს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილი, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს საკითხზე, შეეძლო თუ არა კერძო საჩივრის ავტორს ხარვეზის დაწესებულ ვადაში შევსება, რამდენადაც კერძო საჩივრის დავის საგანია მხოლოდ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების მართლზომიერება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს ე. კ-შვილის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ე. კ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მარტის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უწყების ჩაბარების დღე

განჩინება

¹ას-673-631-2010 3 აგვისტო, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს «ბ-ს» სარჩელი მოპასუხე შპს «ა-ს» მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების თაობაზე დაკმაყოფილდა, შპს «ა-ს» შპს «ბ-ს» სასარგებლოდ დაეკისრა 263732,89 ლარი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «ა-მ», მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივნისის განჩინებით შპს «ა-ს» სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად გასაჩივრების ვადის გაშვების გამო.

სასამართლომ დადგინდა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი შპს «ა-ს» ჩაჰბარდა 2010 წლის 10 მაისს, ხოლო სააპელაციო საჩივარი მითითებული გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით შეიტანა 2010 წლის 25 მაისს, ანუ კანონით დადგენილი გასაჩივრების 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, ვინაიდან სააპელაციო საჩივრის შეტანის ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, იყო 2010 წლის 24 მაისი.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს «ა-ს» წარმომადგენელმა გ. ჟ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის განხილვის განახლება იმ მოტივით, რომ შპს «ა-ს» კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადა არ დაურღვევია, ვინაიდან საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მას ჩაჰბარდა არა 2010 წლის 10 მაისს, როგორც ეს გასაჩივრებულ განჩინებაშია მითითებული, არამედ – 2010 წლის 11 მაისს, რის დასადასტურებლადაც წარმოადგინა ორგანიზაციის კანცელარიის ჟურნალის შესაბამისი გვერდის ასლი, სადაც მითითებულია, რომ წერილი შემოსულია 2010 წლის 11 მაისს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ შპს «ა-ს» წარმომადგენელ გ. ჟ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

ამავდ კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით ორგანიზაციისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფ-

ლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილების ასლი, მითითებული მუხლების შესაბამისად, ჩაჰბარდა შპს «ა-ს» კანცელარიას 2010 წლის 10 მაისს, რაც დასტურდება საფოსტო შეტყობინებაზე დასმული ორგანიზაციის კანცელარიის ბეჭდითა და კანცელარიის თანამშრომლის ხელმოწერით. საქმის მასალებით ასევე ირკვევა, რომ შპს «ა-მ» სააპელაციო საჩივარი მითითებული გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით, ფოსტის მეშვეობით სასამართლოში გააგზავნა 2010 წლის 25 მაისს, ანუ კანონით დადგენილი გასაჩივრების 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, ვინაიდან სააპელაციო საჩივრის შეტანის ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60-ე-61-ე მუხლების შესაბამისად, იყო 2010 წლის 24 მაისი.

შპს «ა-ს» წარმომადგენელი გ. ჟ-შვილი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ მის მარწმუნებელს სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი ვადა არ დაურღვევია, ვინაიდან საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მას ჩაბარდა არა 2010 წლის 10 მაისს, როგორც ეს გასაჩივრებულ განჩინებაშია მითითებული, არამედ 2010 წლის 11 მაისს. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად კერძო საჩივრის ავტორმა წარმოადგინა შპს «ა-ს» კანცელარიის ჟურნალის შესაბამისი გვერდის ასლი, სადაც მითითებულია, რომ წერილი შემოსულია 2010 წლის 11 მაისს.

აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს და ვერც კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ ე.წ. «კანცელარიის ჟურნალის შესაბამისი გვერდის ასლს» მიიჩნევს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად, ვინაიდან, ჯერ ერთი, ეს დოკუმენტი წარმოდგენილია ასლის სახით, იგი არ არის დამოწმებული შპს «ა-ს» უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით. ამასთან, ხსენებული დოკუმენტიც ვერ აბათილებს საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათში მითითებული თარიღის ნამდვილობას, ვინაიდან «კანცელარიის ჟურნალი» წარმოადგენს ორგანიზაციის კონტროლს დაქვემდებარებულ შიდა მოხმარების დოკუმენტს, ხოლო საფოსტო შეტყობინება, რომლითაც ცალსახად დასტურდება შპს «ა-სათვის» გასაჩივრებული გადაწყვეტილების 2010 წლის 10 მაისს ჩაბარების ფაქტი, დამოწმებულია როგორც შპს «ა-ს» კანცელარიის ბეჭდით და კანცელარიის თანამშრომლის ხელმოწერით, ასევე სახალხო ფოსტის - შპს «სკს-ს» ბეჭდით და ფოსტის მუშაკის ხელმოწერით. ამდენად, კერძო საჩივრის ავტორმა ვერ შეძლო მის მიერ მითითებული გარემოების დადასტურება, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მისი მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, შპს «ა-მ» დაკარგა საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება, ვინაიდან მან კანონით დადგენილ ვადაში არ წარადგინა სააპელაციო საჩივარი. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ შპს «ა-ს» სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად დაუშვებლობის გამო და არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

შპს «ა-ს» კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივნისის განჩინება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მისამართის შეცვლა საქმის წარმოების დროს

განჩინება

1ას-721-676-2010

20 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
პ. ქათამაძე

სარჩელის დავის საგანი: საბანკო დავალიანების დაკისრება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 29 ოქტომბერს ახალციხის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა სს «... ბანკმა» მოპასუხეების – გ. და ქ. კ-ძეების მიმართ საბანკო დავალიანების დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის მოთხოვნით.

სარჩელის თანახმად, 2007 წლის 30 მარტს სს «... ბანკმა» და ქ. კ-ძეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება საბანკო მომსახურების შესახებ, რომლის საფუძველზეც მსესხებელზე გაიცა სამომხმარებლო კრედიტი – 15 000 აშშ დოლარი, 72 თვის ვადით, წლიური 17.7% სარგებლის დარიცხვით. აღნიშნული ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად 2007 წლის 22 მარტის ხელშეკრულებით იპოთეკით დაიტვირთა გ. კ-ძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. 2007 წლის 30 მარტს საბანკო ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება გაფორმდა გ. კ-ძესთან. მოპასუხეს სესხის ძირითადი თანხისა და საპროცენტო სარგებლის დაფარვა უნდა ეწარმოებინა კრედიტის დაფარვის გრაფიკის მიხედვით. მოპასუხემ დაარღვია აღნიშნული ვალდებულება.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 22 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სს «... ბანკის» სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისრა 14 094 აშშ დოლარის გადახდა, დადგინდა იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაცია.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ სასამართლოს მთავარი სხდომა დაინიშნა 2010 წლის 22 მარტს, 12.00 საათზე. მხარეებს ეცნობათ სასამართლო სხდომის დრო და ადგილი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. მოპასუხეები სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულან და არც გამოუცხადებლობის საპატიოობის შესახებ უცნობებიათ სასამართლოსათვის, რის გამოც არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს გ. და ქ. კ-ძეებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

აპელანტები მიუთითებდნენ, რომ სასამართლო პროცესზე მათი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო გარემოებით, კერძოდ, ქ. კ-ძის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიზეზით. აპელანტების მითითებით, შინგანი სტრესის გამო მათ სასამართლოს ვერ შეატყობინეს პროცესზე გამოუცხადებლობის შესახებ. სააპელაციო საჩივრით აპელანტები შუამდგომლობდნენ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 აპრილის განჩინებით გ. და ქ. კ-ძეების შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ არ დაკმაყოფილდა, აპელანტებს დაევაღათ, განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის – 563 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

2010 წლის 13 მაისს სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართეს აპელანტებმა და ითხოვეს ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გონივრული ვადით გაგრძელება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 მაისის განჩინებით გ. და ქ. კ-ძეებს გაუგრძელდათ ხარვეზის შევსების ვადა განჩინების ჩაბარებიდან 7 დღით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ივნისის განჩინებით გ. და ქ. კ-ძეების სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სააპელაციო საჩივარში ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ განჩინების ასლი აპელანტებს გაეგზავნათ ორჯერ მათ მიერ მითითებულ მისამართზე კანონის მოთხოვნათა დაცვით, თუმცა გზავნილები სასამართლოში დაბრუნდა იმ საფუძველით, რომ ადრესატი იწვა ონკოლოგიურ საავადმყოფოში.

სააპელაციო სამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, უწყება (გზავნილი) მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. ამავე კოდექსის 76-ე მუხლის მიხედვით, მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან, აცნობონ სასამართლოს საქმის წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება (გზავნილი) გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე არ ცხოვრობდეს. 71-ე მუხლის მე-2 ნაწილით, თუ მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩაჰბარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის 1¹ ნაწილით

გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. რამდენადაც აპელანტებს მათ მიერ საჩივარში მითითებულ მისამართზე ორჯერ გაეგზავნათ და არ ჩაჰბარდათ სასამართლოს გზავნილი, იგი ჩაბარებულად მიიჩნეოდა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს გ. და ქ. კ-ძეებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება.

კერძო საჩივრის ავტორები მიუთითებენ, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი მისამართი – ახალციხე, ... ქ. 112, წარმოადგენს მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. სააპელაციო სასამართლოს დასახელებულ მისამართზე ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ 19.05.2010წ. განჩინება არ გაუგზავნია. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოს მიერ გაგზავნილი კორესპონდენცია ჩაჰბარდებოდა მათი ოჯახის წევრს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ გ. და ქ. კ-ძეების კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ივნისის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას გ. და ქ. კ-ძეების სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩაჰბარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის 1^ა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. თავის მხრივ, 73-ე მუხლის 1^ა ნაწილი ადგენს, რომ, თუ პირველად გაგზავნისას სასამართლო უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, უწყება დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსათვის ცნობილ სხვა მისამართზე. ასეთ შემთხვევაში კორესპონდენცია ჩაბარებულად ითვლება. რაც შეეხება 76-ე მუხლის შინაარსს, მის შესაბამისად, მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ სასამართლოს საქმის წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ, ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს. მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ადრესატისათვის შესაბამის მისამართზე კორესპონდენციის ჩაუბარებლობა სარწმუნოდაა დადასტურებული საქმეში არსებული სრულყოფილი დოკუმენტაციით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კონკრეტულ სადავო შემთხვევაში მხარეებისათვის მათ მიერ მითითებულ მისამართზე განჩინების ჩაუბარებლობის შესახებ შეტყობინების ბარათის შინაარსი არ იძლევა საკმარის საფუძველს გზავნილის ჩაბარებულად მიჩნევისათვის. მოცემულ შემთხვევაში გზავნილის ადრესატი იყო ორი პირი – გ. და ქ. კ-ძეები, ხოლო შეტყობინების ბარათი ზოგადად საუბრობს ერთი პირისათვის ჩაუბარებლობაზე და არ უთითებს, თუ რომელია ეს პირი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში სასამართლო გზავნილი (სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 19 მაისის განჩინება) აპელანტებისათვის ჩაბარებულად ვერ მიიჩნევა. შესაბამისად, კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ივნისის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს გ. და ქ. კ-ძეების სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. და ქ. კ-ძეების კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ივნისის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს გ. და ქ. კ-ძეების სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უწყების მიღებაზე უარის თქმა

განჩინება

1ას-799-748-10

13 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: გარიგების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით ე. რ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, იმავე გადაწყვეტილებით ვ. ბ-შვილის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი შპს «კ.-სა» და ე. რ-შვილს შორის 1998 წლის 25 ნოემბერს დადებული ხელშეკრულება 11/3/7.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ე. რ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 ივლისის განჩინებით ე. რ-შვილის სააპელაციო საჩივარი, დაუშვებლობის გამო, დარჩა განუხილველი.

პალატამ დადგინდად მიიჩნია, რომ 2010 წლის 26 მარტის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი ე. რ-შვილს საქმეში მითითებულ მისამართზე (ს. ... 3-ში მდებარე ბინა 40-ში) გაეგზავნა 2010 წლის 26 აპრილს.

აღნიშნული გზავნილის (გადაწყვეტილების) ჩაბარებაზე ე. რ-შვილმა უარი განაცხადა 2010 წლის 28 მაისს.

პალატამ მიიჩნია, რომ ე. რ-შვილს სასამართლო გადაწყვეტილება ჩაჰბარდა 2010 წლის 28 მაისს. შესაბამისად, სსკ-ის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის კანონით დადგენილი ვადის ათვლა დაიწყო 2010 წლის 29 მაისიდან და დასრულდა 2010 წლის 11 ივნისს. სააპელაციო საჩივარი კი ე. რ-შვილმა თბილისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა 2010 წლის 28 ივნისს.

პალატამ მიიჩნია, რომ ე. რ-შვილმა სააპელაციო საჩივარი წარადგინა სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის დადგენილი 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, რაც დაუშვებლობის გამო, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ე. რ-შვილმა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ მისთვის გადაწყვეტილების ჩაბარების თარიღად დაადგინა 28 მაისი და არა მის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად მიღების თარიღი – 2010 წლის 15 ივნისი, შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი შეტანილია კანონით დადგენილ ვადაში.

ე. რ-შვილის აზრით, საქმეში არ არის მტკიცებულება იმის შესახებ, რომ უწყების მიმტანი პირის მიერ განხორციელდა ადრესატის იდენტიფიცირება, რომელსაც უნდა ეცნობოს სასამართლო უწყების შინაარსი, ხოლო მასთან მცხოვრებ ოჯახის სრულწლოვან წევრს განემარტოს სასამართლო უწყების შინაარსის ადრესატისათვის დაუყოვნებელი გადაცემის ვალდებულება.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, იგი სისტემატურად ითხოვდა დასაბუთებული გადაწყვეტილების გადმოცემას, რაც დასტურდება წარმოდგენილი ამონაწერით სატელეფონო ზარების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ე. რ-შვილმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმეზე წარმოდგენილ კერძო საჩივარს და თვლის, რომ ე. რ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 ივლისის განჩინებით ე. რ-შვილის სააპელაციო საჩივარი, დაუშვებლობის გამო, დარჩა განუხილველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის შესაბამისად სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს და მისი დენა იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. ამასთან აღნიშნული ვადა აღდგენას არ ექვემდებარება.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2010 წლის 26 მარტის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი ე. რ-შვილს საქმეში მითითებულ მისამართზე (ს. ... 3-ში მდებარე ბინა 40-ში) გაეგზავნა 2010 წლის 26 აპრილს.

აღნიშნული გზავნილის (გადაწყვეტილების) ჩაბარებაზე ე. რ-შვილმა უარი განაცხადა 2010 წლის 28 მაისს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ ადრესატმა უარი განაცხადა უწყების მიღებაზე, უწყება ადრესატისათვის ჩაბარებულად ითვლება და სასამართლოს შეუძლია განიხილოს საქმე. შესაბამისად, ე. რ-შვილს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაჰბარდა 2010 წლის 28 მაისს. სააპელაციო საჩივარი კი თბილისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა 2010 წლის 28 ივნისს, ზემოხსენებული 14-დღიანი ვადის დარღვევით.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს ჩაიბარა არა 28 მაისს, არამედ 2010 წლის 15 ივნისს. აღნიშნულს საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან მხარის ეს მოსაზრება ვერ აქარწყლებს საქმეში არსებული გზავნილის ნამდვილობას. აღნიშნული გზავნილი ოფიციალურ დოკუმენტია, რომელიც საქმეში წარმოდგენილია დედნის სახით. ამდენად, საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქმის მასალებში არსებული გზავნილის მონაცემებს და თვლის, რომ ე. რ-შვილმა გაუშვა სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ რადგან მხარემ კანონით გათვალისწინებულ ვადაში არ შეიტანა სააპელაციო საჩივარი შესაბამის სასამართლოში, დაკარგა აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველი ე. რ-შვილის სააპელაციო საჩივარი და შესაბამისად არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ე. რ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად;
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მისამართის შეცვლა საქმის წარმოების დროს

განჩინება

ას-1035-970-2010 21 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 16 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა მოპასუხე ა. ს-ძის მიმართ და მოითხოვა, რომ მოპასუხეს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული, დაზიანებული «ოპელ ვექტრას» მარკის ავტომანქანის აღდგენისათვის საჭირო თანხა – 3 625 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი დაკმაყოფილდა – ა. ს-ძეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 3 625 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით, მათ შორის: მხარეების ახსნა-განმარტებებით, 2007 წლის 31 იანვრის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ზა 081692 ოქმით, ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილის დათვალისწინების სქემით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2008 წლის 27 თებერვლის დასკვნით, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2009 წლის 12 ივნისის 11996/14/19 დასკვნით, დადგენილად მიიჩნია ა. ს-ძის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისა და ამ ქმედების შედეგად მოსარჩელეზე მატერიალური ზიანის მიყენების ფაქტი. შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებობდა სამართალდარღვევის შემადგენლობის ყველა ნიშანი (მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის), რაც სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 999.4 მუხლების საფუძველზე წარმოშობდა მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ს-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმგვარად შეცვლა, რომ მის მიერ მოსარჩელისათვის ასანაზ-

დაურებელი თანხა განისაზღვროს 1 000 ლარით, ნაცვლად 3 625 ლარისა. აპელანტს მიაჩნია, რომ ავტომატურად «ოპელ ვექტრას» ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად არ მიჰყენებია ისეთი ხარისხის დაზიანება, რომელიც შეფასდებოდა 3 625 ლარად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 სექტემბრის განჩინებით ა. ს-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხარვეზის შევსების შესახებ 2010 წლის 28 ივნისის განჩინების ასლი აპელანტ ა. ს-მის სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე გაეგზავნა ორჯერ. პირველი გზავნილი სასამართლოში დაბრუნდა წარწერით, რომ აღნიშნულ მისამართზე ოფისი ორ კვირაზე მეტია, რაც დაკეტილია, ხოლო მეორე გზავნილის შინაარსიდან ირკვევა, რომ აღნიშნულ მისამართზე ადრესატი ახალი გადასულია. ხარვეზის შევსების შესახებ ზემომითითებული განჩინების ასლი ასევე გაეგზავნა აპელანტის წარმომადგენელ ა. ბ-ელს სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე, თუმცა სასამართლოში დაბრუნებული საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ განჩინების ასლი ადრესატს არ ჩაჰბარდა, რადგან სახლში არავინ იმყოფებოდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, უწყება (გზავნილი) მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. ამავე კოდექსის 76-ე მუხლის მიხედვით, მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან, აცნობონ სასამართლოს საქმის წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება (გზავნილი) გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე არ ცხოვრობდეს. 71-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ მოსარჩელეს, მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩაჰბარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის 1¹ ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება.

კანონის ზემოთ დასახელებული ნორმების საფუძველზე, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტს მის მიერ საჩივარში მითითებულ მისამართზე ორჯერ გაეგზავნა და არ ჩაჰბარდა სასამართლო გზავნილი, სააპელაციო სასამართლომ იგი მხარისათვის ჩაბარებულად მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60.2 მუხლიდან გამომდინარე, აპელანტ ა. ს-მისათვის ხარვეზის შევსების ვადის დინება დაიწყო 2010 წლის 9 სექტემბრიდან და ამოიწურა 2010 წლის 20 სექტემბერს (პირველ სამუშაო დღეს). რამდენადაც დანიშნულ ვადაში აპელანტს ხარვეზი არ შეუვსია და არც რაიმე განცხადებით მიუმართავს სასამართლოსათვის, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 23 სექტემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ს-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება იმ საფუძველით, რომ, მართალია, მას ხარვეზის შევსების შესახებ განჩინება გაეგზავნა სააპელაციო საჩივარში დასახელებულ მისამართზე, მაგრამ მითითებულ მისამართზე ოფისი აღარ ფუნქციონირებდა და დაკავებიდან მცირე დროში აპელანტი ახალ მისამართზე გადავიდა. რაც შეეხება წარმომადგენელ ა. ბ-ელის საცხოვრებელ მისამართზე განჩინების გაგზავნასა და ადრესატისათვის ჩაუბარებლობას, კერძო საჩივრის თანხმად, აღნიშნული დროისათვის მისი წარმომადგენელი შვებულებაში იყო და ოჯახში არ იმყოფებოდა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, კერძო საჩივრის ავტორი არამართებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას დანიშნულ ვადაში აპელანტის მიერ ხარვეზის შეუვსებლობის თაობაზე. მისი მოსაზრებით, მხარეს ასეთი ვალდებულება იმ შემთხვევაში დაეკისრებოდა, თუ მას ხარვეზის შევსების შესახებ განჩინების ასლი ჩაჰბარდებოდა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ს-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 სექტემბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71.2 მუხლის თანახმად, თუ მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩაჰბარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის 1¹ ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. ეს წესი მოპასუხის მიმართ გამოიყენება მის პასუხში (შესაგებელში) მითითებულ მისამართზე უწყების გაგზავნის შემთხვევაშიც. ამავე კოდექსის 73-ე მუხლის 1¹ ნაწილი ადგენს, რომ, თუ პირველად გაგზავნისას სასამართლო უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, უწყება დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსათვის ცნობილ სხვა მისამართზე. ასეთ შემთხვევაში კორესპონდენცია ჩაბარებულად ითვლება.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ხარვეზის შევსების შესახებ 2010 წლის 28 ივნისის განჩინების ასლი აპელანტ ა. ს-მის გაეგზავნა ორჯერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე: ქ.თბილისი, ... 21, მე-4 სართული, ოთახი 14. პირველი გზავნილი სასამართლოში დაბრუნდა წარწერით, რომ აღნიშნულ მისამართზე ოფისი ორ კვირაზე მეტია, რაც დაკეტილია, ხოლო მეორე გზავნილის ში-

ნარსიდან ირკვევა, რომ აღნიშნულ მისამართზე ადრესატი ახალი გადასულია და როდის იქნება – უცნობია. ხარვეზის შევსების შესახებ განჩინების ასლი ასევე გაეგზავნა აპელანტის წარმომადგენელ ა. ბ-ელს სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე, თუმცა სასამართლოში დაბრუნებული საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ განჩინების ასლი ადრესატს ვერ ჩაჰბარდა, რადგან სახლში არავინ იმყოფებოდა.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ხარვეზის შევსების შესახებ განჩინება აპელანტისათვის ჩაბარებულად ითვლება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71.2 მუხლისა და 73-ე მუხლის 1¹ ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით. შესაბამისად, დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ მას სასამართლო გზავნილი არ ჩაჰბარებია. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ თავად კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე აპელანტს სასამართლო გზავნილი ვერ ჩაჰბარდებოდა, რადგან ამ მისამართიდან აპელანტი მცირე დროში ახალ მისამართზე გადავიდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მიხედვით, მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან, აცნობონ სასამართლოს საქმის წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება (გზავნილი) გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე არ ცხოვრობდეს. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან აპელანტმა შეიცვალა მისამართი და აღნიშნულის თაობაზე სასამართლოს არ აცნობა, ამიტომ სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე (სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე) აპელანტისათვის ხარვეზის შევსების შესახებ განჩინების გაგზავნა უნდა ჩაითვალოს ადრესატისათვის ჩაბარებულად.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ განსახილველ შემთხვევაში სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილი, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, ხარვეზის შესავსებად დადგენილი 10-დღიანი ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში დაიწყო 2010 წლის 9 სექტემბერს და დასრულდა 2010 წლის 20 სექტემბერს. აღნიშნულ ვადაში აპელანტს ხარვეზი არ შეუვსია და არც რაიმე შუამდგომლობით მიუმართავს სააპელაციო სასამართლოსთვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. ამ ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მხარე ვალდებულია, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შეასრულოს მისთვის დავალბული საპროცესო მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულების უფლებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება უცვლელად დატოვებას ექვემდებარება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ს-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 სექტემბრის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უწყების ჩაბარება თანამონაწილისათვის

განჩინება

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია**

დავის საგანი: კოლექტიურ შეთანხმებაში შეტანილი ცვლილებების ბათილად ცნობა, კოლექტიური შეთანხმების მოქმედების პერიოდში შვებულებისათვის გათვალისწინებული მატერიალური დახმარების, საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის ხარჯებისა და კვების ღირებულების კომპენსაციის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ა-დემ და სხვებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში სს «...» მიმართ და მოითხოვეს 2000-2003 წლების კოლექტიურ შეთანხმებაში 2002 წლის 16 ივლისს შეტანილი ცვლილების ბათილად ცნობა, მოპასუხისათვის დავალიანების გადახდის დაკისრება, წარმომადგენელთა ხარჯების ანაზღაურება თითოეული მოსარჩელი-სათვის 25 ლარისა და კუთვნილი თანხის 10%-ის ანაზღაურება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელებს – მ. ა-დის და სხვათა სარჩელი მოპასუხე სს «...» მიმართ კოლექტიურ შეთანხმებაში შეტანილი ცვლილებების ბათილად ცნობის, კოლექტიური შეთანხმების მოქმედების პერიოდში შვებულებისათვის გათვალისწინებული მატერიალური დახმარების, საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის ხარჯებისა და კვების ღირებულების კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ.ა-ძისა და სხვათა წარმომადგენელმა გ.ი-ელმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ნოემბრის განჩინებით მ. ა-ძისა და სხვათა წარმომადგენელ გ. ი-ელის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი საკასაციო საჩივრის შეტანის ერთთვიანი ვადის დარღვევის გამო.

მ. ა-ძისა და სხვათა წარმომადგენელმა გ. ი-ელმა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და განმარტა, რომ საკასაციო საჩივრის განუხილველად დატივების შესახებ განჩინებაში მითითებული პირები, რომლებსაც სასამართლო შეტყობინება ჩაჰბარდათ – ა. ა-იანი და გ. ა-იანი არ არიან ერთადერთი მოსარჩელები; ისინი არც სხვა მოსარჩელეთა წარმომადგენლის სახით მონაწილეობენ საქმეში; მოცემულ დავაში თითოეული მხარე გამოდის დამოუკიდებლად და თითოეული მათგანი აცხადებს პრეტენზიას დავის საგანზე. შესაბამისად, სასამართლოს დასკვნა, რომ გ. და ა. ა-იანებისათვის სასამართლო შეტყობინების ჩაბარება ყოველი კასატორისათვის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის დენის დაწყების საფუძველია, არასწორია. განმცხადებელს მითითებით, სასამართლო გზავნილის მიმღები მხარეების მიერ სარჩელზე უარის თქმა სხვა მხარეთა მიერ სარჩელზე უარის თქმად ვერ იქნება მიჩნეული, შესაბამისად, ვერც ამ უკანასკნელთათვის ჩაბარება იქნება დავის სხვა მონაწილეთათვის სასამართლო შეტყობინების ჩაბარებად მიჩნეული. თავად საკასაციო სასამართლოს განჩინებით ირკვევა, რომ გ.ი-ელმა, როგორც კასატორთა წარმომადგენელმა, მისთვის სასამართლო შეტყობინების ჩაბარებიდან კანონით დადგენილ ვადაში შეიტანა სააპელაციო პალატის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და წარმოდგენილი განცხადების საფუძველიანობის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მ.ა-ძისა და სხვათა წარმომადგენელ გ.ი-ელის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ნოემბრის განჩინების განმარტების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. სასამართლო უფლებამოსილია, გადაწყვეტილების განმარტების საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ წარმოდგენილი განცხადება განხილულ უნდა იქნეს ზეპირი მოსმენის გარეშე.

ზემოხსენებული ნორმა მიზნად ისახავს სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის შეუცვლელად მის იმგვარ განმარტებას, რომ იგი მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახდეს მხარეთათ-

ვის და ხელი შეუწყოს გადაწყვეტილების სწორად აღსრულებას. ამდენად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება ობიექტურად საჭირო და დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ მხარე ან აღმასრულებელი დაასაბუთებს, რომ სხვაგვარად მისი შინაარსი შესაძლოა გაგებულ და აღსრულებულ იქნას არასწორად.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ნოემბრის განჩინებით მ. ა-ძისა და სხვათა წარმომადგენელ გ. ი-ელის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი საკასაციო საჩივრის შეტანის ერთთვიანი ვადის დარღვევის გამო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს უწყების (სასამართლო შეტყობინების) გაგზავნისა და ჩაბარების წესს ისეთი შემთხვევის არსებობისას, როდესაც მოდავე მხარეთაგან ერთ მხარეს მონაწილეობს 10-ზე მეტი პირი. აღნიშნული ნორმით ამომწურავადაა რეგლამენტირებული სასამართლო შეტყობინების ამ მხარეს მონაწილე თითოეული მხარისათვის ჩაბარების საკითხი.

დასახელებული ნორმის თანახმად, თუ საქმეში მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი, მოწინააღმდეგე მხარე 10-ზე მეტი პირია და არ არსებობს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოებები, სასამართლო უწყება ეგზავნება სარჩელზე (საჩივარზე, შესაგებელზე) ხელის მომწერ პირველ სამ პირს. უწყების ჩაბარება ერთ-ერთი მათგანისათვის ნიშნავს უწყების ჩაბარებას მის მხარეზე მონაწილე ყველა პირისათვის. ამასთან, პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ გ.ი-ელი არ იყო მოცემულ დავაში მოსარჩელეთა მხარეს მონაწილე ყველა სუბიექტის წარმომადგენელი, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ შეტყობინების ჩაბარებისას სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლის მეორე ნაწილით. ამირან და გ. ა-იანებისათვის სასამართლო შეტყობინების ჩაბარება, ამ მხარეს მონაწილე ყველა სუბიექტისათვის ჩაბარებად უნდა იქნეს მიჩნეული, მიუხედავად იმისა, ყველა მათგანს აქვს დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნა თუ არიან ერთიანი მოთხოვნის ადრესატები.

დასახელებული ნორმის დანაწესის გათვალისწინებით, პალატა თვლის, რომ მ. ა-ძისა და სხვათა წარმომადგენელ გ. ი-ელის განცხადების არგუმენტები საკასაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ვადის არასწორად დათვლისა და საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების დებულებების ბუნდოვანების შესახებ მოკლებულია სამართლებრივ დასაბუთებას. ამასთან აღნიშნული არგუმენტები საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 10 ნოემბრის განჩინების განმარტების საფუძველს არ წარმოადგენს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 262-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. ა-ძისა და სხვათა წარმომადგენელ გ. ი-ელის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ნოემბრის განჩინების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. სარჩელის გამოხმობა

განჩინება

1ას-488-457-2010

5 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი,

ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ნივთის მესაკუთრედ ცნობა, მისი უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა, ხელშეშლის აღკვეთა, პიროვნული დევნისა და დისკრიმინაციის აკრძალვა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ა-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში სსიპ «საქართველოს ეროვნული მუზეუმის» მიმართ ექსპონატად დაფიქსირებული სასაუზმე პავილიონის მესაკუთრედ მოსარჩელის ცნობის, მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან აღნიშნული ნივთის გამოთხოვის, ხელშეშლის აღკვეთის, პიროვნული დევნისა და დისკრიმინაციის აკრძალვის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელის გამოხმობის შესახებ – მ. ა-ძის სარჩელი დატოვებულ იქნა განუხილველად და დაუბრუნდა მოსარჩელეს თანდართული დოკუმენტებით.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. ა-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 დეკემბრის განჩინებით მ. ა-ძის კერძო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინებაზე დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

მოცემული საქმის წარმოების განახლების თაობაზე მ. ა-ძის განცხადება არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 აპრილის განჩინებით მ. ა-ძის განცხადება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» და «გ» ქვეპუნქტების საფუძველზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 11 დეკემბრის განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა შემდეგი გარემოებების გამო: სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა განმცხადებლის მოსაზრება, რომ, რადგანაც სასამართლომ კერძო საჩივრის განხილვა ზეპირი მოსმენით არ ჩაატარა, მხარეს არ მიეცა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლზე მითითებით განმარტა, რომ როგორც სააპელაციო საჩივრის, ისე კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხის შემოწმება ხდება მხარეთა დაუსწრებლად და მითითებული ნორმა სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად საქმის ზეპირი განხილვის ჩატარებისა და მხარეთა მოწვევის ვალდებულებას არ აკისრებს. ამდენად, პალატამ მიუთითა, რომ მ. ა-ძის კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ 2008 წლის 11 დეკემბრის განჩინება კანონის მოთხოვნათა დაცვით იქნა მიღებული და არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» და «გ» ქვეპუნქტების საფუძველზე მისი გაუქმების წინაპირობა. პალატამ ასევე არ გაიზიარა განმცხადებლის მოსაზრება, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» და «ე1» ქვეპუნქტების საფუძველზე გასაჩივრებული განჩინება უკანონობისა და დაუსაბუთებლობის მოტივით უნდა გაუქმდეს და საქმის წარმოება განახლდეს, ვინაიდან პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა სცილდება საქმის წარმოების განახლების ფარგლებს. ბათილად ცნობის გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვის წესი ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობას მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველების არსებობის შემთხვევაში. პალატის მითითებით, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საზედამხედველო წარმოების წესით გადასინჯვასა და გაუქმების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. ა-ძემ. კერძო საჩივრის ავტორმა მოგვიანებით დააზუსტა მისი მოთხოვნის საფუძველები და მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა ზეპირი მოსმენით ჩატარდა სხვადასხვა შემადგენლობის მიერ, კერძოდ, 2010 წლის 24 მარტს სასამართლო სხდომა მოსამართლეების – პ. ქ-ძის, ხ. ა-ძისა და ა. ი-ანის შემადგენლობით ჩატარდა, ხოლო 14 აპრილის სხდომაზე პალატის შემადგენლობაში ხ. ა-ძის ნაცვლად მონაწილეობას იღებდა მოსამართლე ნ. ნ-ძე. მოსამართლეთა ცვლილების თაობაზე მ. ა-ძეს არ გადასცემია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო მის წერილებზე სასამართლო მოხელეთა მიერ გაცემული პასუხები არ იყო შესაბამისობაში მ. ა-ძის განცხადებასთან და არ იყო მითითებული სამართლის ნორმა, რომლის თანახმადაც დასაშვებია საქმის განხილვაში მოსამართლეთა ცვლილება, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, ნიშნავს საქმის განხილვას მოსამართლეთა არაკანონიერი შემადგენლობით. ამასთან, დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის განხილვისაგან მოსამართლის აცილების, მისი ვადამდე გათავისუფლებისა თუ სხვა თანამდებობაზე გადაყვანის წესი. საქმის განხილვის წესის დარღვევაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა პ. ჯ-შვილმა ცრუ ჩვენება მისცა სასამართლოს, რომ ის ესწრებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოში 2008 წლის 31 ოქტომბერს ჩატარებულ სხდომას და თავადვე დაადასტურა, რომ საქმის განხილვისას მოსარჩელის მიმართ სასამართლოს მხრიდან ზეწოლას ადგილი არ ჰქონია, თუმცა მიუხედავად მ. ა-ძის პროტესტისა, სასამართლო მაინც დაეყრდნო გადაწყვეტილების მიღებისას აღნიშნულ ჩვენებას. ამასთან, მოგვიანებით სასამართლომ სასამართლო სხდომის ოქმში გაასწორა აღნიშნული უსწორობა, თუმცა აღნიშნულა არ ასახულა არც გადაწყვეტილებაში და არც ოქმიდან ამოღებულა მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის ცრუ ჩვენება. სასამართლოს მიერ პ. ჯ-შვილის ცრუ ჩვენების გაზიარების გამო მხარემ იმ გარემოების დასადგენად, რომ საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას საქართველოს ეროვნული მუზეუმის ინტერესებს არ იცავდა პ. ჯ-შვილი, ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 18 მაისის განჩინებით უსაფუძვლოდ არ დაკმაყოფილდა მ. ა-ძის განცხადება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის თაობაზე – საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას მოპასუხის წარმომადგენლად მონაწილე პირების ვინაობის დადგენის თაობაზე, რადგანაც მხარის მიერ ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტის აღიარებით დადასტურდებოდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების უკანონობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» და «ე1» პუნქტების საფუძველზე მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 14 აპრილის განჩინების გაუქმება, ასევე, მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 31 ოქტომბრის, თბილისის სააპელაციო სასამართლო 2008 წლის 11 დეკემ-

ბრის, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 14 სექტემბრის, 30 სექტემბრის, 5 ოქტომბრის, 2008 წლის 20 მარტისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 30 აპრილის განჩინებების კანონიერების შემოწმება და სარეზოლუციო ნაწილის შეცვლის გარეშე საკასაციო სასამართლო 2009 წლის 25 ივნისის განჩინების განმარტება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ივნისის განჩინებით მ.ა-ძის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 აპრილის განჩინებაზე მიღებულ იქნა წარმოებაში, ხოლო დანარჩენ ნაწილში დარჩა განუხილველად დაუმეგობრების გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად თვლის, რომ მ. ა-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში მხარე სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების საფუძვლად უთითებს იმ გარემოებას, რომ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ, რადგანაც 2010 წლის 24 მარტისა და 14 აპრილის სხდომებზე შეიცვალა სასამართლო კოლეგიის შემადგენლობა და აღნიშნულის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ იქნა გამოცემული.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის აღნიშნულ არგუმენტს. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლით განმტკიცებული დებულება, რომ მოსამართლის საქმის განხილვისაგან ჩამოცილება დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამოქალაქო საქმის განხილვასთან მიმართებით, რეგლამენტირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე-31-ე მუხლებით. კანონის დასახელებულ ნორმებში მითითებული ერთ-ერთი საფუძვლის არსებობა იწვევს სასამართლო შემადგენლობის არაკანონიერად მიჩნევის საფუძველს და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობით განხილულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება ექვემდებარება გაუქმებას.

განსახილველ შემთხვევაში, მ. ა-ძე უთითებს რა, რომ მისი განცხადება სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ განიხილა, კერძო საჩივრის ავტორს არ მიუთითებია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე-31-ე მუხლების რომელიმე დებულებაზე, რაც საქმის არაკანონიერი შემადგენლობით განხილვის ფაქტს დადასტურებდა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ 2010 წლის 24 მარტის სხდომაზე მ.ა-ძის წარმომადგენლის გამოუცხადებლობა სამოქალაქო საქმეთა პალატამ მოსამართლეების: პ. ქ-ძის, ხ. ა-ძისა და ა. ი-ანის შემადგენლობით საპატიოდ მიიჩნია და საქმის განხილვა არ დაწყებულა, მთავარი სხდომა გადაიდო 2010 წლის 14 აპრილს. საქმე არსებითად განიხილა და გადაწყვიტა კოლეგიურმა სასამართლომ 2010 წლის 14 აპრილს მოსამართლე პ. ქ-ძის, ნ. ნ-ძისა და ა. ი-ანის შემადგენლობით. აღნიშნული ფაქტი გამორიცხავს საქმის კოლეგიური სასამართლოს სხვადასხვა შემადგენლობით განხილვას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი განცხადებით მოსარჩელე მ. ა-ძე და მისი წარმომადგენელი წერილობით ადასტურებენ მათ ნებას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹ მუხლის თანახმად, სურთ სარჩელის გამოხმობა, ასევე წერილობითა დადასტურებული, რომ მოდავე მხარეები არ აპირებენ საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინების გასაჩივრებას და შუამდგომლობენ საქმეზე მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის გამოტანის თაობაზე. დასახელებული მტკიცებულებით უდავოდ დასტურდება მხარის ნება სარჩელის გამოხმობასთან მიმართებით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მხარის მოსაზრებას სარჩელის იძულებით გამოხმობის თაობაზე ვერ გაიზიარებს. საქმის მასალებით კერძო საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება არ დასტურდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის 2010 წლის 14 აპრილის განჩინებაში მითითებულ გარემოებებს და მათ სამართლებრივ შეფასებას და თვლის, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» და «ე¹» პუნქტების შესაბამისად გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მ. ა-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე

განჩინება

1ას-227-216-10

7 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: კრების ოქმის ბათილად ცნობა, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა და ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა შპს «დ-იმ» მოპასუხეების – შპს «ა-ას» და შპს «ლ-გ-ს» მიმართ და მოითხოვა კრების ოქმის ბათილად ცნობა, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა და ზიანის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს «დ-ის» სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ბათილად იქნა ცნობილი შპს «დ-ის» 2004 წლის 5 სექტემბრის 16 კრების ოქმის ამონაწერი, ბათილად იქნა ცნობილი შპს «ა-ას» 2005 წლის 1 მარტის კრების ოქმი დამოწმებული 11-680 სანოტარო აქტით 2005 წლის 4 მარტს ნოტარიუს ქ. ჩ-ძის მიერ, აღდგენილ იქნა მოსარჩელე შპს «დ-ის» საკუთრების უფლება ქ.თბილისში, ... გამზირის 144-ში მდებარე უძრავი ქონება. მოპასუხე შპს «ა-ას» დაეკისრა 18597 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა მოსარჩელე შპს «დ-ის» სასარგებლოდ, მოპასუხე შპს «ა-ას» დაეკისრა ყოველთვიურად 8600 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა შპს «დ-ის» სასარგებლოდ 2008 წლის იანვრიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, შპს «ლ.-გ.-ის» მიმართ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «ა-ამ» და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილებით შპს «ა-ას» სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილების მე-5 პუნქტი და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს «დ-ის» სარჩელი მოპასუხე შპს «ა-ასთვის» 18.597 აშშ დოლარი ეკვივალენტი ლარებში დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ მიუთითა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, 2004 წლის 17 აგვისტოს მდგომარეობით, ქ. თბილისში, ... გამზირის 144-ში მდებარე უძრავი ქონება – შენობა-ნაგებობები წარმოადგენდა შპს «დ-ის» საკუთრებას. 2005 წლის 23 მარტს შპს «ა-ა» აღირიცხა შპს «დ-ის» საკუთრებაში არსებული 619 კვ.მ მესაკუთრედ, შესაბამისად, შპს «დ-ის» საკუთრებაში დარჩა შენობა-ნაგებობები 4483კვ.მ-დან 1654,69კვ.მ-მდე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის «გ» პუნქტის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ ფაქტებს გააჩნიათ პრეიუდიციული მნიშვნელობა და ისინი ხელმეორედ დადგენას და დადასტურებას არ საჭიროებენ, შესაბამისად, მხარეებს არ შეუძლიათ ასეთი ფაქტები სადავოდ გახადონ. მოცემულ შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული განჩინებით დადგენილია, რომ შპს «დ-ის» საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება – 619 არასაცხოვრებელი კვ.მ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში შპს «ა-ას» საკუთრებად აღირიცხა ყალბი დოკუმენტების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატა თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ გამართლებულად დააფუძნა გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ ფაქტებზე.

ამასთან, სააპელაციო პალატა თვლის, რომ აპელანტის მიერ მითითებული მტკიცებულებებით არ დასტურდება ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ შპს «დ-იმ», როგორც შპს «ა-ას» ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, მითითებულ შპს-ში შესატანის სახით შეიტანა სადავო უძრავი ქონება.

მოცემულ შემთხვევაში, შპს «ა-ას» წესდება არ შეიცავს მითითებას იმის შესახებ, რომ შპს «დ-იმ», როგორც შპს «ა-ას» ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, მითითებულ შპს-ში შესატანის სახით შეიტანა სადავო უძრავი ქონება, გარდა ამისა, სადავო უძრავი ქონება არ აღირიცხულა შპს «ა-ას» საკუთრებად საჯარო რეესტრში ან

ტექნიკურ ცენტრის ბიუროში. ამდენად, სადავო უძრავი ქონებით შენატანი განხორციელებულად ვერ ჩაითვლება. აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებელია აპელანტის მითითება სასამართლოს მიერ «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის 13.3 მუხლის დარღვევის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს «ა-ას» დირექტორმა გ. ბ-მემ და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა დაბრუნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 17 ივნისის განჩინებით შპს «ა-ას» საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

2010 წლის 9 სექტემბერს შპს «ბ. ც. ყ-მ» განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა მოცემულ საქმეში მესამე პირად ჩაბმა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ყადაღის მოხსნა.

განმცხადებელმა მიუთითა, რომ ქონება, რომელზეც საკუთრების უფლების აღდგენას მოითხოვს შპს «დ-ი» დღეისათვის წარმოადგენს შპს «ბ. ც. ყ-ს» საკუთრებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა მოითხოვა მესამე პირად ჩაბმა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ყადაღის მოხსნა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი განხილვის გარეშე გაეცნო განცხადებას და მიაჩნია, რომ შპს «ბ. ც. ყ-ს» განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლის თანახმად, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ყოველ დაინტერესებულ პირს, რომელიც არ აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით, რათა დაუშვას იგი საქმეში მესამე პირად მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე, რადგან სასამართლო გადაწყვეტილებას ამ საქმეზე შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ. მესამე პირად დაშვების საკითხს მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით წყვეტს სასამართლო.

მოცემულ შემთხვევაში, შპს «ბ. ც. ყ» მოითხოვს მესამე პირად ჩაბმას და ქონებაზე ყადაღის მოხსნას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მესამე პირად ჩაბმა საკასაციო ინსტანციის სასამართლოში დაუშვებელია, რის გამოც შპს «ბ. ც. ყ-ს» განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს. საკასაციო სასამართლოში დაუშვებელია ახალ ფაქტებზე მითითება და მტკიცებულებების წარდგენა. ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმით განსაზღვრული უფლებებისა და ვალდებულებების რეალიზაციის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს საკასაციო სასამართლოში.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

შპს «ბ. ც. ყ-ს» განცხადება არ დაკმაყოფილდეს;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. საპროცესო უფლებამონაცვლეობა

განჩინება

1ას-8-7-2010

29 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: სახლის ნაწილზე მესაკუთრედ ცნობა (სარჩელში), ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა (შეგებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებით ს. გ-იანის სარჩელი მოპასუხე დ. მ-ძის მიმართ სახლის ნაწილზე მესაკუთრედ ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა. ამავე გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა დ. მ-ძის შეგებულ სარჩელი და ს. გ-იანი თანმხლებ პირებთან ერთად გამოსახლებულ იქნა ქ.თბილისში, ... შესახვევის 13-ში მდებარე ბინიდან.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. გ-იანმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე – 2009 წლის 25 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე აპელანტ ს. გ-იანის წარმომადგენელმა დ. კ-მემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს მოწინააღმდეგე მხარის – დ. მ-ძის უფლებამონაცვლეებად საქმეში ჩაებათ მ. ჯ-ი და ი. პ-ია, ვინაიდან მათ შეიძინეს დ. მ-ძის კუთვნილი 42\169 საცხოვრებელ სახლში, მდებარე ქ.თბილისში, ... შესახვევი '3'-ში. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად მათ წარმოადგინეს საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლითაც დასტურდება ის გარემოება, რომ მ. ჯ-მა დ. მ-ძისგან იყიდა ამ უკანასკნელის კუთვნილი 27\169 საცხოვრებელ სახლში, მდებარე ქ.თბილისში, ... შესახვევის '3'.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ნოემბრის საოქმო განჩინებით ს. გ-იანის წარმომადგენლის დ. კ-ძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა – მოწინააღმდეგე მხარის დ. მ-ძის უფლებამონაცვლეებად ჩაბმულ იქნენ მ. ჯ-ი და ი. პ-ია.

პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური აღრიცხვის არქივის მიერ 2008 წლის 6 მაისს გაცემული ცნობა-დახასიათებით დასტურდება, რომ ქ.თბილისში, ... შესახვევის '3'-ში მდებარე საცხოვრებელი ფართის 42\169-ის მესაკუთრეს წარმოადგენდა დ. მ-ძე.

2004 წლის 24 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მ. ჯ-მა დ. მ-ძისგან შეიძინა ქვთბილისში, ... შესახვევის '3'-ში მდებარე საცხოვრებელი ფართის 27\169, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით (1319\2005, 06.01.2005).

ქ.თბილისში, ... შესახვევის '3'-ში მდებარე საცხოვრებელი ფართის 15\169 (15 კვ.მ), რომელიც საკუთრების უფლებით ირიცხებოდა დ. მ-ძის სახელზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს '01\01-14\09-1690 (დამოწმების თარიღი 22.09.2009) განკარგულების საფუძველზე საკუთრებაში გადაეცა ი. პ-იას, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით (882009301027, 24\09\2009).

პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან მ. ჯ-მა და ი. პ-იამ შეიძინეს დ. მ-ძის კუთვნილი უძრავი ნივთი – ქ.თბილისში, ... შესახვევის '3'-ში მდებარე საცხოვრებელი ფართის 42\169, მათზე გადავიდა ყოფილი მესაკუთრის უფლება, მოითხოვოს სადავო ფართზე საკუთრების უფლების ხელშეშლის აღკვეთა, ასევე მათზე გადავიდა სადავო ნივთთან დაკავშირებული კანონისმიერი ვალდებულებები.

შესაბამისად პალატამ ჩათვალა, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან მოწინააღმდეგე მხარის – დ. მ-ძის გასვლის გამო, ეს უკანასკნელი უნდა შეცვლილიყო მისი უფლებამონაცვლეებით.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ჯ-მა.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, უფლებამონაცვლედ მიიჩნევა პირი, რომელზეც გადადის შესაბამისი უფლებები და მოვალეობები, ხოლო ამ შემთხვევაში კი მ. ჯ-ი ვერანაირად ვერ ჩაითვლება დ. მ-ძის უფლებამონაცვლედ, ვინაიდან მ. ჯ-მე სადავო ფართის არანაირი უფლება არ გადასულა და მას წინამდებარე სასამართლო დავის შედეგების მიმართ არანაირი ინტერესი არ გააჩნია.

ამასთან კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, 2004 წლის 24 დეკემბერს დ. მ-ძესა და მ. ჯ-ს შორის ნოტარიულად გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება ფართზე მდებარე თბილისი, ... შესახვევის '3'-ში, საცხოვრებელი სახლის 42\169-დან 27\169-ზე, შესაბამის წილ მიწის ნაკვეთთან ერთად, რომელიც არანაირ შეხებაშია სადაოდ გამხდარ ფართთან, გარდა იმისა, რომ მეზობლად მდებარეობს, ხოლო დ. მ-ძის სახელზე დარჩა 15\169, რომელიც მდებარეობს თბილისში, ... შესახვევის '3'-ში, რომელიც წარმოადგენს სწორედ სადავო ფართს. ის არ ირიცხება სადაო საგნის მესაკუთრედ და შესაბამისად, ის ვერ მოახდენს სადაო ფართის აპელანტის სახელზე რეგისტრირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული საოქმო განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმეზე წარმოდგენილ კერძო საჩივარს, თანდართულ მტკიცებულებებს და თვლის, რომ მ. ჯ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ნოემბრის საოქმო განჩინებით ს. გ-იანის მოწინააღმდეგე მხარის დ. მ-ძის უფლებამონაცვლეებად ჩაბმულ იქნენ მ. ჯ-ი და ი. პ-ია.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მ. ჯ-მა და ი. პ-იამ შეიძინეს დ. მ-ძის კუთვნილი უძრავი ნივთის – ქ.თბილისში, ... შესახვევის '3'-ში მდებარე საცხოვრებელი ფართის 42/169, კერძოდ, მ. ჯ-მა შეიძინა საცხოვრებელი სახლის 27/169 შესაბამის წილ მიწის ნაკვეთთან ერთად, ხოლო ი. პ-იამ 15/169 წილი.

საკასაციო პალატამ 2009 წლის 26 მარტს მხარეები მოიწვია პროცესზე, სადაც გამოირკვა, რომ მ. ჯ-ის მიერ შეძენილი ზინა მდებარეობს ს. გ-იანის მიერ სადავოდ გამხდარი საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე, ხოლო ს. გ-იანი სადავოდ ხდის იმავე სახლის პირველ სართულზე მდებარე 15 კვ.მ-ზე საკუთრების უფლებას, რომელიც არ ირიცხება მ. ჯ-ის სახელზე. ამასთან, ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ სასამართლო

სხდომაზე თავად ს. გ-იანმა განაცხადა, რომ ის არ ედავება მ. ჯ-ს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქმეზე წარმოდგენილი, საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ მ. ჯ-ი აღრიცხულია დ. მ-ძის თანამესაკუთრედ 42/169-ზე. ხოლო ს. გ-იანის მიერ სადავოდ გამხდარი 15/169 ჯერ ირიცხებოდა დ. მ-ძის სახელზე, ხოლო შემდეგ შესყიდულ იქნა ი. პ-იას მიერ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სადავო ან სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე და ზემოთმითითებული გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ს. გ-იანის მიერ სადავოდ გამხდარ ფართზე დ. მ-ძის უფლებამონაცვლეს წარმოადგენს არა მ. ჯ-ი, არამედ ი. პ-ია, ვინაიდან სწორედ მან შეიძინა უფლებრივი ნაკლის მქონე ნივთი დ. მ-ძისგან, რის გამოც მასზე გადავიდა ის ვალდებულებები და უფლებები, რაც მოცემულ დავასთან მიმართებით არსებობს.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 25 ნოემბრის საოქმო განჩინება უნდა გაუქმდეს დ. მ-ძის უფლებამონაცვლედ მ. ჯ-ის ცნობის ნაწილში, დანარჩენ ნაწილში კი დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

მ. ჯ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ნოემბრის საოქმო განჩინება დ. მ-ძის უფლებამონაცვლედ მ. ჯ-ის ცნობის ნაწილში, დანარჩენ ნაწილში განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საპროცესო უფლებამონაცვლეობა

განჩინება

1-ას-208-198-10

7 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: საზიარო უფლების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 10 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ნ. მ-ევამ მოპასუხე მ. კ-ძის წინააღმდეგ საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. მ-ევას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:

გაუქმდა ნ. მ-ევასა და ჯ. კ-ძის საზიარო უფლება უძრავ ნივთზე (საზიარო საგანზე) ქ.თბილისში, ... 159-ე კორპუსში მდებარე .134 ბინის საზიარო საგნის გაყიდვის გზით.

საზიარო საგნის გაყიდვით ამონაგები თანხა ნ. მ-ევასა და ჯ. კ-ძეს შორის განაწილდა მათი წილების მიხედვით და ნ. მ-ევას მიეკუთვნა – 33\1553–ის, ხოლო ჯ. კ-ძეს - 18\1553-ის შესაბამისი თანხა.

ნ. მ-ევას უარი ეთქვა სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ქ.თბილისში, ... 159 ბ კორპუსში მდებარე 134-ბინაზე განხორციელებული 30 კვ.მ მიშენების ღირებულების ანაზღაურების ნაწილში.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ჯ. კ-ძემ.

2009 წლის 21 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა ნ. მ-ევამ და მოითხოვა ამავე კოლეგიის 2008 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილების მეოთხე პუნქტის გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

მითითებული განცხადების საფუძველზე სააპელაციო სასამართლოდან გამოთხოვილ იქნა მოცემული სამოქალაქო საქმე.

2009 წლის 15 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართეს ჯ. და დ. კ-ძეებმა, სადაც ჯ. კ-ძე მიუთითებს, რომ მოსარჩელე ნ. მ-ევასთან თანასაკუთრებაში არსებული ქონებიდან თავისი წილი მთლიანად აჩუქა დ. კ-ძეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოითხოვა, ჯ. კ-ძის უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაეხსნა დ. კ-ძე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009 წლის 16 დეკემბრის** საოქმო განჩინებით ჯ. კ-ძე შეიცვალა უფლებამონაცვლე დ. კ-ძით და ნ. მ-ევას განცხადების განხილვა გაგრძელდა დ. კ-ძის მიმართ.

ამავე კოლეგიის **2009 წლის 21 დეკემბრის** განჩინებით ნ. მ-ევას განცხადება საქმის განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2010 წლის 13 იანვრის მომართვის საფუძველზე მოცემული სამოქალაქო საქმე გადაიგზავნა სააპელაციო სასამართლოში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2010 წლის 15 თებერვლის** საოქმო განჩინებით აპელანტ ჯ. კ-ძის უფლებამონაცვლედ დადგინდა დ. კ-ძე.

პალატამ განმარტა, რომ საქმეში წარმოდგენილი **2008 წლის 1 დეკემბრის** საჯარო რეესტრის ამონაწერით II ტომით, ს.ფ. **168-ით** დასტურდება, რომ ქ.თბილისში, ... **59-ე** კორპუსში მდებარე, ბინა **134-ის** თანამესაკუთრედ ირიცხება ნ. მ-ევასთან ერთად დ. კ-ძის სახელზე. აღნიშნული ამონაწერის საფუძველი არის **2008 წლის 28 ნოემბრის** ჩუქების ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ჯ. კ-ძემ დ. კ-ძეს აჩუქა თავის საკუთრებაში არსებული **18 კვ.მ**, ვინაიდან, ზემოხსენებული საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ **18 კვ.მ-ის** მესაკუთრე არის დ. კ-ძე, პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტ ჯ. კ-ძის უფლებამონაცვლედ დადგინდეს დ. კ-ძე.

აღნიშნული საოქმო განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. მ-ევამ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, დ. კ-ძემ ჩუქების საფუძველზე საკუთრება გადაიფორმა საქალაქო სასამართლოში გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაგრამ მან და მისმა ოჯახის წევრებმა ეს ფაქტი შეგნებულად დაუმალეს სასამართლოს საქმის გაჭიანურების მიზნით. ამჟამად დ. კ-ძის ჯ. კ-ძის უფლებამონაცვლედ ჩართვის კანონიერი საფუძველი არ არსებობს. ნ. მ-ევამ მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმეზე წარმოდგენილ კერძო საჩივარს, თანდართულ მტკიცებულებებს და თვლის, რომ ნ. მ-ევას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2010 წლის 15 თებერვლის** საოქმო განჩინებით ნ. მ-ევას მოწინააღმდეგე მხარის – ჯ. კ-ძის უფლებამონაცვლედ ჩაბმულ იქნა დ. კ-ძე.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ჯ. კ-ძემ, მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართი – ... **59-ე** კორპუსში მდებარე ბინა **134 2008 წლის 28 ნოემბრის** ჩუქების ხელშეკრულებით აჩუქა დ. კ-ძეს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქმეზე წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ დ. კ-ძე აღრიცხულია ნ. მ-ევას თანამესაკუთრედ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **92-ე** მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სადავო ან სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე და ზემოთ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნ. მ-ევას მიერ სადავოდ გამხდარ ფართზე ჯ. კ-ძის უფლებამონაცვლეს წარმოადგენს დ. კ-ძე, ვინაიდან ჩუქების ხელშეკრულების თანახმად, იგი გახდა ფართის მესაკუთრე, რის გამოც მასზე გადავიდა ის ვალდებულებები და უფლებები, რაც მოცემულ დავასთან მიმართებით არსებობს.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2010 წლის 15 თებერვლის** საოქმო განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **92-ე, 419-ე-420-ე** მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ნ. მ-ევას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 თებერვლის საოქმო განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. პირები, რომლებიც შეიძლება იყვნენ წარმომადგენლებად სასამართლოში

განჩინება

1ას-14-13-2010

1 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: თანხის დაკისრება

კერძო საჩივრის დავის საგანი: წარმომადგენლად დაშვება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 23 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართეს ქ. ც-ძემ და ლ. ჩ-ძემ მოპასუხეების – ლ. კ-კისა და ქ. შ-იას მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს მოპასუხეებისათვის მათ სასარგებლოდ თანხების დაკისრება, კერძოდ, ლ. კ-კისაგან 153 000 აშშ დოლარის, ხოლო ქ. შ-იასგან – 50 000 აშშ დოლარის ანაზღაურება.

სარჩელის თანახმად, მოპასუხეებს ზემოთ დასახელებული თანხები მიღებული ჰქონდათ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე და ისინი ექვემდებარებოდა დაბრუნებას უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად.

მას შემდგომ, რაც საქალაქო სასამართლოში მოსარჩელებმა წარადგინეს 2008 წლის 2 ივლისის ხელშეკრულება მოთხოვნის დათმობის შესახებ, რომლის თანახმადაც, ქ. ც-ძემ 95 000 აშშ დოლარის მოთხოვნის უფლება ლ. კ-კის მიმართ დაუთმო მეორე მოსარჩელე ლ. ჩ-ძეს, სასამართლომ წარმოებაში მიიღო ლ. ჩ-ძის, როგორც ქ. ც-ძის უფლებამონაცვლის სარჩელი მოპასუხეების ლ. კ-კისა და ქ. შ-იას მიმართ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით ლ. ჩ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგინებულ მიიჩნია, რომ მოპასუხეებს სარჩელში მითითებული თანხები მიღებული ჰქონდათ არა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, არამედ ამხანაგობა «– 92-ის» მომავალ წევრებთან მიღწეული ზეპირი და წერილობითი გარიგებების საფუძველზე და კონკრეტული მიზნით, მათ შორის, სხვადასხვა ხარჯების საკომპენსაციოდ, ახლად აშენებულ ბინებში სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად. სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოების და სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის დეფინიციის გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეებმა თანხები მიიღეს საფუძვლიანად და უსაფუძვლო გამდიდრებას ანუ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე თანხის მიღებას ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, სარჩელი უსაფუძვლო იყო და დაკმაყოფილებს არ ექვემდებარებოდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ჩ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით ლ. ჩ-ძის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად, ხოლო ამავე სასამართლოს 2009 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით დადგინდა სააპელაციო საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვა, რის შესახებაც მხარეებს გაეგზავნათ შესაბამისი უწყებები.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 17 დეკემბრის სხდომაზე გამოცხადებულმა ლ. კ-კმა, რომელიც მოცემულ საქმეზე გამოდიოდა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარედ, განაცხადა, რომ იგი წარმომადგენდა მეუღლის – ქ. შ-იას ინტერესებს. ეს უკანასკნელი, რომელიც საქმეში მონაწილეობდა ასევე აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის სტატუსით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ვერ გამოცხადდა მითითებულ სხდომაზე. ამ საქმეში ლ. კ-აკი და ქ. შ-ია არიან თანამონაწილეები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 17 დეკემბრის საოქმო განჩინებით ლ. კ-კი არ იქნა დაშვებული მისი მეუღლის – ქ. კ-კის წარმომადგენლად. სააპელაციო სასამართლომ დადგინებულ მიიჩნია, რომ ლ. კ-აკი არ იყო ადვოკატი. აქვე, სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 440-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პირებს, რომლებსაც არ გაუვლიათ ადვოკატთა ტესტირება და არ არიან გაწევრიანებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ეკრძალებათ წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში.

წარმომადგენლად დაშვებაზე უარის თქმის შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 17 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ლ. კ-კმა და ქ. შ-იამ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საპროცესო თანამონაწილეობის საფუძველზე ქ. კ-კის წარმომადგენლად ლ. შ-იას დაშვება.

კერძო საჩივრის ავტორები განმარტავენ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლით თანამონაწილეობის საფუძველებია: ა) საერთო უფლება სარჩელის საგანზე; ბ) მოთხოვნის ერთი საფუძველი; გ) ერთგვაროვანი სასარჩელო მოთხოვნა. ამავე კოდექსის 87-ე და 94-ე მუხლებით მხარის წარმომადგენელი შეიძლება იყოს ერთ-ერთი თანამონაწილე დანარჩენ თანამონაწილეთა დავალებით.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ლ. კ-კი და ქ. შ-ია არიან თანამოპასუხეები, რამდენადაც სადავო თანხაზე მათ გააჩნიათ თანასაკუთრების უფლება. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში ერთია სარჩელის საფუძველი – უსაფუძვლო გამდიდრება და ერთგვაროვანია სარჩელის მოთხოვნა – თანხის დაკისრება. საგულისხმოა ისიც, რომ საქალაქო სასამართლომ ლ. კ-კი და ქ. შ-ია, როგორც მეუღლეები და თანხის თანამესაკუთრეები, მიიჩნია თანამონაწილეებად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლით შეუზღუდავად არის დაშვებული, რომ მხარეთა წარმომადგენელი იყოს ერთ-ერთი თანამონაწილე სხვა თანამონაწილეთა დავალებით. ამ მუხლით შეზღუდვა შეეხება სხვა ქმედუნარიან პირებს და არა თანამონაწილეებს. დასახელებული კოდექსის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილით, განჩინებაზე იმ პირის წარმომადგენლად დაშვებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც არ არის ადვოკატი, შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 დეკემბრის საოქმო განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას ლ. კ-კის წარმომადგენლად დაშვებაზე უარის თქმის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს უარი ლ. კ-კის წარმომადგენლად დაშვებაზე ეფუძნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 440-ე მუხლის მოთხოვნას, რომლის თანახმად, პირებს, რომლებსაც არ გაუვლიათ ადვოკატთა ტესტირება და არ არიან გაწევრიანებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ეკრძალებათ წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში. კერძო საჩივრის ავტორი სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ არგუმენტს არ იზიარებს და მიიჩნევს, რომ იგი, როგორც თანამონაწილე სუბიექტი, მეორე თანამონაწილის (ქ. შ-ია) ნების არსებობის პირობებში, უფლებამოსილი იყო სააპელაციო სასამართლოში წარმოედგინა ქ. შ-იას ინტერესები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლი შეიცავს იმ პირთა ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება გამოვიდნენ წარმომადგენლებად სასამართლოში. აღნიშნულ ჩამონათვალში დასახელებულია ერთ-ერთი თანამონაწილე დანარჩენ თანამონაწილეთა დავალებით. მოცემულ მუხლში საუბარია იმ საგამონაკლისო შემთხვევებზე, როდესაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განსახორციელებლად არ არის აუცილებელი, რომ პირი იყოს ადვოკატი. შესაბამისად, სადავო საკითხის სწორად გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია გაირკვეს, მოპასუხებთან მიმართებით სახეზეა თუ არა თანამონაწილეობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლი განსაზღვრავს თანამონაწილეობის წარმოშობის საფუძველებს, კერძოდ, მითითებული საპროცესო ნორმის მიხედვით, თანამონაწილეობა გვაქვს მაშინ: ა) როდესაც სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება; ბ) სასარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძველებიდან; გ) სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი.

საქმის მასალების თანახმად, ლ. ჩ-მის სარჩელის მოთხოვნა მიმართულია მოპასუხეების – ლ. კ-კისა და ქ. შ-იას მიმართ და მდგომარეობს დასახელებული პირებისათვის მის სასარგებლოდ თანხების დაკისრებაში. მოსარჩელის აღნიშნული მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველია ის გარემოება, რომ ლ. კ-კს ამხანაგობის შექმნამდე კონკრეტული ვალდებულების შესრულების მიზნით გადაერიცხა განსაზღვრული ოდენობის თანხები, ერთ შემთხვევაში მისთვის განკუთვნილი თანხა გადაირიცხა მისივე მეუღლის – ქ. შ-იას სახელზე. მიუხედავად ამისა, მხარეს ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო თანხები, რომლებიც ამხანაგობის შექმნამდე მოპასუხეებს, მათ შორის, ქ. შ-იას გადაეცა, განკუთვნილი იყო ლ. კ-კისათვის კონკრეტული მიზნით, სხვადასხვა ხარჯების საკომპენსაციოდ, ასევე ახლად აშენებულ ბინებში სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად. საქმეში წარმოდგენილია რწმუნებულება, რომლითაც ქ. შ-ია უფლებას ანიჭებს ლ. კ-კს, რომ ყველა ინსტანციის სასამართლოში დაიცვას მისი ინტერესები.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული მასალების შეფასება იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ ლ. კ-კი და ქ. შ-ია წარმოადგენენ თანამონაწილე პირებს, რამდენადაც როგორც ზემოთ აღინიშნა, სადავო მათთვის საერთო მიზნებით გადაცემული თანხის დაბრუნება. აღ-

ნიშნული გარემოება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტიდან გამომდინარე ერთ-ერთი თანამონაწილის – ლ. კ-კის მეორე თანამონაწილის – ქ. შ-იას წარმომადგენლად დაშვების საფუძველია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა ქ. შ-იას წარმომადგენლად ლ. კ-კის დაშვებაზე უარის თქმის საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულის გათვალისწინებით ხელახლა უნდა უნდა გადაწყვიტოს წარმომადგენლად ლ. კ-კის დაშვების საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 დეკემბრის საოქმო განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. მტკიცებულებები

მტკიცების ტვირთი

განჩინება

1ას-378-695-09

30 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 10 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა შპს „ა-მ“ მოპასუხეების – რ. ზ-შვილის, ლ. ჩ-ძის, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „საბურთალო 45ა-ს“, შ. ნ-უას, კ. ს-იას, გ. კ-შვილის, მ. პ-იასა და ნ. ქ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა რ. ზ-შვილისთვის, ლ. ჩ-ძისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის „ამხანაგობა 45ა-თვის“ ... ქუჩის 145-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის განთავისუფლებული სამშენებლო მოედნისა და დამტკიცებული საპროექტო-საკადასტრო დოკუმენტაციის შპს „ა-სათვის“ გადაცემის დაკისრება, ასევე შ. ნ-უას, კ. ს-იას, გ. კ-შვილის, მ. პ-იასა და ნ. ქ-ძის გამოსახლება შპს „ა-ის“ მიერ გადაცემული ბინებიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 7 მარტის განჩინებით დადგენილი ხარვეზის შევსების შედეგად 2008 წლის 17 მარტის განცხადებით მოსარჩელემ დააზუსტა დავის საგანი და მოითხოვა მოპასუხეების საგან სამშენებლო მოედნისა და სათანადო საპროექტო-საკადასტრო დოკუმენტაციის გადმოცემა.

მოსარჩელემ სარჩელში მიუთითა, რომ მისი მოთხოვნა ემყარებოდა 2001 წლის 10 ივლისს შპს „ა-სა“ და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „საბურთალო 45ა-ს“ შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომლის შესაბამისად, შპს „ა-ს“ უნდა აეშენებინა ... ქ.145-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი – 5300 კვ.მ და ამხანაგობის წევრებისათვის გადაეცა საცხოვრებელი 1140 კვ.მ, რაც მოსარჩელემ შეასრულა. 2001 წლის 6 აგვისტოს ... ქ.145-ში არსებული ტერიტორიის მეპატრონემ – ლ. ჩ-მემ ამხანაგობის სახელით, გარდა ზემოაღნიშნული 1140 კვ.მ-სა, შპს „ა-ს“ დამატებით სთხოვა საცხოვრებელი 170 კვ.მ, რომლის სანაცვლოდაც იგივე ფართი შპს „ა-ს“ გადაეცემოდა ლ. ჩ-ძის მფლობელობაში არსებული ტერიტორიიდან. იმავე პირობით, 2002 წლის 25 ივლისს შპს „ა-მ“ ლ. ჩ-ძეს გამოუყო 106,7 კვ.მ და 173 კვ.მ საცხოვრებელი ფართი. სულ ამხანაგობა „საბურთალო 45ა-მ“ შპს „ა-ის“ მიერ დამატებით მიიღო საცხოვრებელი 450 კვ.მ.

2004 წლის 3 აგვისტოს ამხანაგობა „საბურთალო 45ა-მ“ იკისრა ვალდებულება, რომ დამატებით გადაეცემული 450 კვ.მ დაბრუნებას დაიწყებდა 2004 წლის 1 სექტემბრიდან, რაც არ შეუსრულებია. ამხანაგობამ, ასევე, იკისრა ვალდებულება, რომ გადაიხდიდა სამშენებლო ობიექტიდან აღებული მეტალის ღირებულებას, 4300 აშშ დოლარს და ნასესხებ თანხას – 1100 აშშ დოლარს და 750 ლარს, რაც ასევე არ შეუსრულებია.

მოპასუხე რ. ზ-შვილმა არ ცნო სარჩელი იმ საფუძვლით, რომ ის არ წარმოადგენდა ... ქუჩის 145-ში მდებარე სამშენებლო მოედნის მესაკუთრეს, არ გააჩნდა რაიმე დოკუმენტაცია მშენებლობის თაობაზე, შესაბამისად, მოსარჩელესთან ვერც დადებდა და არც დაუდია რაიმე ხელშეკრულება.

სარჩელი არ ცნო მოპასუხე ლ. ჩ-ძემ და აღნიშნა, რომ 2001 წლის 10 ივლისს დადებული ხელშეკრულება მოქმედებდა 2003 წლის 3 აგვისტომდე. მშენებლობა უნდა დაწყებულიყო 2001 წლის 1 აგვისტოს და უნდა დასრულებულიყო 2003 წლის 1 აგვისტოს. მოსარჩელემ დაარღვია აღნიშნული პირობა და არ შეასრულა ჯეროვნად, დათქმულ დროს. ამასთან, საქმეში არ არსებობდა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ 450 კვ.მ მოსარჩელემ გადასცა მოპასუხეებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს „ა-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ა-მ“ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, იმ მოტივით, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი იყო, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ამასთან, არასწორად განმარტა იგი.

აპელანტის მითითებით, საქმეში არსებობდა ამხანაგობა „საბურთალო 45ა-ს“ თავმჯდომარისა და ამავე ამხანაგობის საინიციატივო ჯგუფის წევრის მიერ ხელმოწერილი გარიგება, რომლის ნამდვილობა და მოსარჩელის მიერ შესრულება დადასტურდა. აღნიშნული გარიგება სრულად პასუხობდა ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელ პირობებს.

სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მხარეთა შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებად, ამასთან, არასწორი ინტერპრეტაცია მისცა მის არსს.

სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ ლ. ჩ-ძისა და რ. ზ-შვილის ხელწერილები არ წარმოშობენ მათთვის რაიმე ვალდებულებას, მით უმეტეს, აღნიშნული ვალდებულების არსებობა მხარეებმა პროცესზე დაადასტურეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 თებერვლის საოქმო განჩინებით მხარეთა მორიგების ხელშეწყობის მიზნით საქმის განხილვა გადაიდო 2009 წლის 23 თებერვალს.

2009 წლის 23 თებერვალს გამართულ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი შპს „ა-ა“. მოწინააღმდეგე მხარემ იზუამდგომლა სასამართლოს წინაშე სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 თებერვლის საოქმო განჩინებით შპს „ა-ის“ სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტი გაფრთხილებული იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის შესაბამისად სასამართლო სხდომის ჩატარების თარიღისა და არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შედეგების თაობაზე. მიუხედავად ამისა, აპელანტი არ გამოცხადდა საქმის განხილვაზე და არც გამოუცხადებლობის მიზეზი უცნობებია სასამართლოსათვის. ამასთან, მოწინააღმდეგე მხარეებმა უარი განაცხადეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე და მოითხოვეს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების დამაბრკოლებელი გარემოება, რის გამოც მოწინააღმდეგე მხარეთა შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და 2009 წლის 23 თებერვლის საოქმო განჩინებით შპს „ა-ის“ სააპელაციო საჩივარი განუხილველი დარჩა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 23 თებერვლის საოქმო განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს „ა-მ“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო შპს „ა-ის“ დირექტორ ზ. ნ-ძის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების გამო. კერძოდ, ზ. ნ-ძეს აქვს შაქრიანი დიაბეტი. საქმის განხილვის დღეს ქუჩაში მიმავალი ზ. ნ-ძე გახდა შეუძლოდ, იგი გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში, სადაც ჩაუტარდა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ა-ის“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 თებერვლის საოქმო განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 თებერვლის საოქმო განჩინებით მხარეთა მორიგების ხელშეწყობის მიზნით საქმის განხილვა გადაიდო 2009 წლის 23 თებერვალს, 14.00 საათზე.

2009 წლის 23 თებერვალს გამართულ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი შპს „ა-ა“. მას გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ სასამართლოსათვის არ უცნობებია.

საკასაციო სასამართლო შპს «ა-ის» სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად მიჩნევის შესახებ ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას იმის თაობაზე, რომ აღნიშნული გამოწვეული იყო შპს «ა-ის» დირექტორ ზ. ნ-ძის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით და რომ პროცესის დღეს იგი გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად კერძო საჩივრის ავტორს არა აქვს წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნასა და შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია დირექტორის ავადმყოფობის და ამ მიზეზით სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის დამადასტურებელი მტკიცებულება, რის გამოც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სააპელაციო საჩივარი სწორად არის დატოვებული განუხილველად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს შპს «ა-ის» სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. შპს «ა-ის» კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 თებერვლის საოქმო განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცების ტვირთი

განჩინება

1ას-736-689-2010

20 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება, ანდერძის ბათილად ცნობა, მემკვიდრედ და თანამესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ვ., ნ. და ლ. ფ-შვილებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში მ. ფ-შვილის მიმართ და მოითხოვეს ვ. ფ-შვილის ქ.თბილისში, ... ქ.129-ში მდებარე გ. ფ-შვილის სამკვიდრო ქონების 1/2-ის თანამესაკუთრედ, ხოლო დარჩენილი 1/2-ის, როგორც სავალდებულო წილის, მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა, ნ. და ლ. ფ-შვილებისათვის გ. ფ-შვილის სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება და ქ.თბილისში, ... ქ.129-ში მდებარე სამკვიდრო ქონებიდან სავალდებულო წილის მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა; ასევე მოითხოვეს გ. ფ-შვილის მიერ მ. ფ-შვილის სახელზე გაცემული ანდერძის ბათილობა შემდეგი საფუძველებით: 2003 წლის 1 მარტს გარდაიცვალა მამკვიდრებელი გ. ფ-შვილი, რომლის სამკვიდრო შეადგენს ქ.თბილისში, ... ქ.129-ში მდებარე უძრავ ნივთს. აღნიშნული ქონება მან უანდერძა ერთ-ერთ შვილს – მ. ფ-შვილს, რა დროსაც არ გაუთვალისწინებია, რომ სადავო უძრავი ნივთის თანამესაკუთრე მამკვიდრებელთან ერთად იყო მისი მეუღლე ვ. ფ-შვილი. მოსარჩელებმა საპატიო მიზეზით დაარღვიეს სამკვიდროს მიღების ვადა და, ამავდროულად, ფაქტობრივი ფლობით მიიღეს იგი.

მ. ფ-შვილმა სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: სამკვიდრო ქონება ანდერძით დაუტოვა მამამ – გ. ფ-შვილმა, ანდერძი დაიწერა ნებაცყოფლობით და მამკვიდრებელის უკანასკნელ სურვილს შეესაბამება. სადავო ბინა მამამისმა მიიღო მემკვიდრეობით მამისგან და ამიტომ მისი ინდივიდუალური საკუთრებაა. დედა ვ. ფ-შვილი არ არის სადავო ბინის თანამესაკუთრე, ამასთან, ვ., ნ. და ლ. ფ-შვილებმა სამკვიდროდან სავალდებულო წილის მიღების ვადა არასაპატიოდ გაუშვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით ვ. და ნ. ფ-შვილების სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ლ. ფ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ფილდა, ვ. ფ-შვილი ცნობილ იქნა ქ.თბილისში, ... ქ.129-ში მდებარე გ. ფ-შვილის სამკვიდრო ქონების სა-
ვალდებულო 1/8-ის მემკვიდრედ და მესაკუთრედ, ნ. ფ-შვილის მიერ სამკვიდროს მიღების ვადის გაშვება
ჩაითვალა საპატიოდ და იგი ცნობილ იქნა ქ.თბილისში, ... ქ.129-ში მდებარე გ. ფ-შვილის სამკვიდრო ქონე-
ბის სავალდებულო 1/16-ის მემკვიდრედ და მესაკუთრედ, ვ. ფ-შვილს უარი ეთქვა გ. ფ-შვილის სამკვიდრო
ქონების თანამესაკუთრედ ცნობაზე, ვ. და ნ. ფ-შვილებს ასევე უარი ეთქვათ გ. ფ-შვილის მიერ მ. ფ-შვილი-
სათვის დატოვებული ანდერძის ბათილად ცნობის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში მ. ფ-შვილმა გაასაჩივრა
სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მაისის განჩინებით მ.
ფ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ დაადგი-
ნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 მარტის გადაწყვე-
ტილების ასლი მ. ფ-შვილს პირადად ჩაჰბარდა 2010 წლის 20 აპრილს, რასაც ადასტურებს საქმეში წარმოდ-
გენილი შეტყობინება საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე
მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მ. ფ-შვილს სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა ჰქონდა 2010 წლის 4
მაისის ჩათვლით, კერძოდ, მისთვის გასაჩივრების კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო
განჩინების ასლის გადაცემის მომდევნო დღიდან – 2010 წლის 21 აპრილიდან და ამავე კოდექსის 61-ე მუხ-
ლის შესაბამისად ამოიწურა 2010 წლის 4 მაისს.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მ. ფ-შვილმა სააპელაციო საჩივარი სასა-
მართლოში წარადგინა 2010 წლის 5 მაისს, ანუ კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. აღნიშნული-
დან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მ. ფ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაუშვებ-
ლობის გამო დატოვებულ უნდა იქნეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მ. ფ-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება
და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწო-
რად დატოვა განუხილველად სააპელაციო საჩივარი. ფაქტობრივად აპელანტს პირველი ინსტანციის სასა-
მართლოს 2010 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება ჩაჰბარდა 2010 წლის 22 აპრილს და სააპელაციო საჩივარი
შეიტანა კანონით დადგენილ 14-დღიან ვადაში – 2010 წლის 5 მაისს. ამდენად, მას მითითებული ვადა არ
დაურღვევია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იუ-
რიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ფ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმა-
ყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის
შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის
დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის
მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე
მუხლების შესაბამისად. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივარი
შეტანილ უნდა იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხა-
რისათვის გადაცემის მომენტიდან 14 დღის განმავლობაში. მითითებული ვადა იმპერატიულადაა დადგენი-
ლი და მისი გაგრძელების შესაძლებლობას სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებში წარმოდგენილი საფოსტო შეტყობინებით ირკვევა, რომ თბი-
ლისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება მო-
პასუხე მ. ფ-შვილს პირადად ჩაჰბარდა 2010 წლის 20 აპრილს. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს ის ფაქ-
ტიც, რომ საფოსტო კურიერის მინაწერის შესაბამისად, ამავე დღეს მ.ფ-შვილმა უარი განაცხადა სასამარ-
თლო გზავნილების ვ. და ლ. ფ-შვილებისათვის გადასაცემად ჩაბარებაზე.

მ. ფ-შვილმა ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2010 წლის 5 მაისს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ განსახილველ შეთხვევაში სავსე-
ბით სწორად აითვალა სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა და მ. ფ-შვილის სააპელაციო საჩივარი მართებუ-
ლად დატოვა განუხილველად.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის მითითებას, რომ მან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქა-
ლაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება ფაქტობრივად 2010 წლის 22 აპრილს ჩაი-
ბარა, აღნიშნული არგუმენტი მხარეს რაიმე სახის მტკიცებულებით არ დაუდასტურებია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნ-
და დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

მითითებული ნორმიდან გამომდინარე, მ. ფ-შვილმა ვერ განახორციელა მის მიერ კერძო საჩივრის სა-
ფუძვლად დასახელებული გარემოების – სადავო სასამართლო გზავნილის 2010 წლის 22 აპრილს მიღების
ფაქტის მტკიცების ტვირთი, რის გამოც მისი მოსაზრება დაუსაბუთებელია და სააპელაციო სასამართლოს
გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მ. ფ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცების ტვირთი

განჩინება

1ას-1003-941-2010

25 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ნასყიდობის საგნის ღირებულების სრულად გადახდის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

სს «... ქარხნის» წარმომადგენლებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში შპს «ლ. კ-ს» მიმართ მოპასუხისათვის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის დარჩენილი ნაწილის – 162875 ლარის დაკისრების მოთხოვნით შემდეგი საფუძველებით:

2006 წლის 16 მაისის აუქციონზე შპს «ლ. კ-მ» შეიძინა მოსარჩელის ბალანსზე რიცხული ქონება, რომლის საბაზრო ღირებულებამ დღგ-ს გარეშე შეადგინა 1111000 ლარი, ხოლო დღგ-ს ჩათვლით – 1273875.27 ლარი. აღნიშნული ნასყიდობის საფუძველზე გამოწერილი 1068474 ანგარიშ-ფაქტურა მოპასუხემ წარადგინა ქ. გორის საგადასახადო ინსპექციაში და მიიღო დღგ-ს ჩათვლა 162875 ლარზე. შემდგომ 1273875 ლარის ნაცვლად გადაიხადა მხოლოდ 1111000 ლარი, რის გამოც მოსარჩელემ სამოქალაქო კოდექსის 422-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე მოითხოვა ნასყიდობის საფასურის დარჩენილი ნაწილის ანაზღაურება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

2006 წლის 16 მაისის გამართულ აუქციონზე, როგორც სააუქციონო ვაჭრობის შედეგების ოქმით, ისე მხარეთა შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით, ქონების საფასური განისაზღვრა 1111000 ლარით, რაც მოპასუხის მიერ სრულადაა გადახდილი.

გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით სს «... ქარხნის» სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 სექტემბრის განჩინებით სს «... ქარხნის» სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგი გარემოებების გამო:

პალატამ დადგენილად ცნო, რომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, სამოქალაქო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად ჩაჰბარდა სს «... ქარხნის» ლიკვიდატორ გ. ს-მეს 2010 წლის 24 აგვისტოს. პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტა, რომ ამავე კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების 14-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2010 წლის 25 აგვისტოდან და ამოიწურა ამავე წლის 7 სექტემბერს, ხოლო აპელანტმა სააპელაციო საჩივრით სასამართლოს მიმართა 2010 წლის 8 აგვისტოს, რაც სს «... ქარხნის» სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა აპელანტის წარმომადგენელმა გ. ს-მემ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება შემდეგი დასაბუთებით:

გასაჩივრებული განჩინებით სასამართლომ არასწორად მიუთითა, რომ აპელანტმა სააპელაციო საჩივარი სასამართლოში წარადგინა 14-დღიანი ვადის დარღვევით 2010 წლის 8 სექტემბერს, რადგანაც სს «... ქარხანამ» სააპელაციო საჩივარი წარადგინა ამავე წლის 6 სექტემბერს «თNთ» ფოსტის მეშვეობით, შესაბამისად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე მას არ დაურღვევია რაიონული

სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების 14-დღიანი ვადა აღნიშნული გარემოების დადასტურების მიზნით გ.ს-მემ კერძო საჩივარს დაურთო «თNთ-ს» გზავნილის ასლი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ სს «... ქარხნის» წარმომადგენელ გ.ს-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემული საქმის მასალებით დასტურდება და არც კერძო საჩივრის ავტორი ხდის სადავოდ, რომ გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით გაეგზავნა სს «... ქარხანას» და 2010 წლის 24 აგვისტოს პირადად ჩაპ-ბარდა მის ლიკვიდატორ გ. ს-მეს, შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებისათვის დადგენილი 14-დღიანი ვადის დენა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დაიწყო 2010 წლის 25 აგვისტოს და ამოიწურა 2010 წლის 7 სექტემბერს.

საქმეში წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარზე დასმული რაიონული სასამართლოს კანცელარიის სარეგისტრაციო შტამით დასტურდება, რომ სს «... ქარხნის» სააპელაციო საჩივარი სასამართლოს გადაეცა 2010 წლის 8 სექტემბერს, სააპელაციო საჩივრის ფურცლების საერთო რაოდენობად მითითებულია «11 ფრ, 02 ეგზ» (ფურცლების აღნიშნული რაოდენობა სრულად ემთხვევა საქმეში არსებულ სააპელაციო საჩივრის ფურცლების რაოდენობას). ამდენად, მითითებული გარემოებით არ დასტურდება, რომ მოცემული სააპელაციო საჩივარი სასამართლოს გადაეცა საფოსტო გზავნილის სახით (სარეგისტრაციო შტამზე არ არის მითითებული საფოსტო კონვერტის შესახებ და აღნიშნული არც საქმის მასალებშია მოთავსებული) არამედ ირკვევა, რომ მხარემ იგი სასამართლოს ჩააბარა სწორედ 2010 წლის 8 სექტემბერს, კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევით.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის მითითებას, რომ მან სააპელაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად წარადგინა ფოსტის მეშვეობით კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო სასამართლო აღნიშნულს ვერ გაიზიარებს მხოლოდ კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებაზე დაყრდნობით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო მტკიცებულებებს აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას. გ.ს-მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების შესწავლის შედეგად საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული მტკიცებულება, ჯერ ერთი, არ არის წარმოდგენილი კანონით დადგენილი წესით – წარმოდგენილია ქვითრის ასლი და არა დედანი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის თანახმად, ესა თუ ის წერილობითი მტკიცებულება სასამართლოს წარედგინება, როგორც წესი, დედნის სახით), მეორეც, აღნიშნული მტკიცებულებით უალტერნატივოდ არ დასტურდება ის გარემოება, რომ გ.ს-მემ სწორედ მოცემულ საქმეზე გააგზავნა სააპელაციო საჩივარი გორის რაიონულ სასამართლოში და არა სხვა რაიმე კორესპოდენცია. წარმოდგენილი მტკიცებულებით ირკვევა მხოლოდ ის, რომ 2010 წლის 6 სექტემბერს გ.ს-მემ «თNთ-ს» საფოსტო განყოფილებას მიმართა გორის რაიონულ სასამართლოში კორესპოდენციის გასაგზავნად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კერძო საჩივრის ავტორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სათანადო მტკიცებულების წარდგენით ვერ შეძლო კერძო საჩივარში მითითებული გარემოების დადასტურება, კერძოდ, მან სარწმუნოდ ვერ დაასაბუთა ის ფაქტი, რომ სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილ ვადაში გააგზავნა ფოსტის მეშვეობით, რის გამოც არ არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 სექტემბრის განჩინების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 420-ე მუხლებით, 410-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

სს «... ქარხნის» კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა მიუღებლობა; თანდართული დოკუმენტის დაბრუნება

განჩინება

¹ ას-202-192-2010

1 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივარზე (სამოქალაქო საქმე ¹ას-202-192-2010) თანდართული დოკუმენტების კასატორისათვის დაბრუნების საკითხი

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ივნისის განჩინებით ნ. ა-იანის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად; ნ. ა-იანს დაუბრუნდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – (1731.10 ლარის) 70% – 1211 ლარი და 77 თეთრი.

2010 წლის 17 ივნისს კასატორმა განცხადებით მომართა საკასაციო პალატას და საკასაციო საჩივარზე დასართავად წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტები: საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ¹5352/4-10 წერილი, საქართველოს მთავარი პროკურატურის ¹11.06.2010/31 წერილი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ¹01/23/10-2783 წერილი, განცხადება საქართველოს პრეზიდენტის სახელზე ¹12543, განცხადება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელზე ¹01/24-705 (თანდართული მასალები – სულ 27 ფურცლად)

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს საქმეზე დასართავად წარმოდგენილი დოკუმენტები შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ.

მოცემულ შემთხვევაში, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარზე თანდართული მასალები ამოღებული უნდა იქნეს საქმიდან და უნდა დაუბრუნდეს კასატორს, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს საკასაციო ინსტანციის სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე, 284-ე, 407-ე მუხლებით

და ა ა დ გ ი ნ ა:

სამოქალაქო საქმიდან ¹ას-202-192-2010 ამოღებული იქნეს საქმის მასალები და დაუბრუნდეს კასატორ ნ. ა-იანს.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცებულებათა მიუღებლობა; თანდართული დოკუმენტის დაბრუნება

განჩინება

¹ ვ-437-ა-11-2010

13 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივარზე (სამოქალაქო საქმე ¹ვ-437-ა-11-2010) თანდართული დოკუმენტების განცხადების ავტორისთვის დაბრუნების საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ივლისის განჩინებით მ. ჭ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 აპრილის განჩინების, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა. მ. ჭ-ძეს დაუბრუნდა საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი.

განცხადებას დაერთო შემდეგი დოკუმენტები: კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის 2 ასლი, ინდივიდუალური საბინაო ფონდის საცხოვრებელი სახლის ტექნიკური პასპორტის 2 ასლი, საქმე ¹ 2-179/3-ზე გაცემული საადრულეზო ფურცლის 2 ასლი, განცხადებებისა და ცნობების ასლები, საბინაო წიგნის 2 ასლი, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 18 ნოემბრისა და 3 დეკემბრის სასამართლო სხდომის ოქმების ასლები, საარქივო ცნობების ასლები, ქ. ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის 2008 წლის 13 მაისის გადაწყვეტილების ასლი, მიწის (უძრავი ქონების) სააღრიცხვო ბარათის ასლები – 9 ფურცელი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურის წერილის ასლი, განცხადებების ასლები – 9 ფურცელი, საარქივო ცნობა ¹33, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სამტრედიის სამსახურის 2010 წლის 15 თებერვლის საინფორმაციო ბარათის ასლი, 2000 წლის 24 მარტის აქტი ¹15-ის ასლი, გეგმების ასლები – 3 ფურცელი, დაბადების მოწმობის ასლი, რწმუნებულებების ასლები, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სამტრედიის სამსახურის 2010 წლის 15 თებერვლის ¹3710110000004 საინფორმაციო ბარათის ასლი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ, ამონაწერის ასლი საჯარო რეესტრიდან ¹882010450244, წერილები სჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ¹50553 – 2 ასლი, ზონარგაყრილი წიგნის ამონაწერის ასლები – სულ 144 ფურცელი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განცხადების ავტორს უნდა დაუბრუნდეს საქმეზე დასართავად წარმოდგენილი დოკუმენტები შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ.

მოცემულ შემთხვევაში, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარზე თანდართული მასალები ამოღებულ უნდა იქნეს საქმიდან და უნდა დაუბრუნდეს კასატორს, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს საკასაციო ინსტანციის სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე, 284-ე, 407-ე მუხლებით

და ა დ გ ი ნ ა:

სამოქალაქო საქმიდან ¹ვ-437-ა-11-2010 ამოღებული იქნას საქმის მასალები და დაუბრუნდეს განმცხადებელს მ. ჭ-ძეს.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

¹ას-69-402-09

1 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ბინიდან გამოსახლება

აღწერილობითი ნაწილი:

ჯ. შ-ძემ აღძრა სარჩელი ქ. ბ-შვილისა და თ. ქ-შვილის მიმართ და მოითხოვა მათი გამოსახლება იმ საფუძველით, რომ ბათუმში, ... ქ.136-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/4 მისი საკუთრებაა, კერძოდ, „ლიტერ-ა-ში“ საცხოვრებელი ოთახები 38 კვ.მ., 32 კვ.მ და 38 კვ.მ. ეს ოთახები დაკავებული აქვთ მოპასუხეებს როგორც მდგმურებს, რომლებიც 1990 წლიდან ბინის ქირას – 6 რუსულ მანეთს აღარ იხდიდნენ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა – მოპასუხეები ქ. ბ-შვილი და თ. ქ-შვილი გამოსახლებულ იქნენ მოსარჩელის საკუთრებაში რიცხული საცხოვრებელი სადგომიდან, მდებარე ქ.ბათუმში ... ქ. '136, ლიტერ „ა-ს“ პირველი სართულის '132, '136 და '137 ოთახებში.

ქ. ბ-შვილმა და თ. ქ-შვილმა შეიტანეს სარჩელი ჯ. შ-ძის მიმართ და აღნიშნეს, რომ ბათუმში, ... ქ. '136-ში ისინი სახელმწიფოს მიერ იქნენ შესახლებულნი 1937 წელს 18 კვ.მ-ში თანახმად 1937 წლის 15 ივნისის ნებართვისა.

მოსარჩელებმა მოითხოვეს 1991 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ასევე, პრივატიზაციის უფლები მიცემა, რადგან თავად ფლობენ ამ ფართს 1937 წლიდან.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ამ გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს ქ. ბ-შვილმა და თ. ქ-შვილმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 10 ნოემბრის განჩინებით ერთ წარმოებად გაერთიანდა ორივე საქმე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით ქ. ბ-შვილისა და თ. ქ-შვილის სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე არ დაკმაყოფილდა. დაკმაყოფილდა აპელანტების საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებაზე და გაუქმდა აღნიშნული გადაწყვეტილება.

ჯ. შ-ძის სარჩელი ქ. ბ-შვილისა და თ. ქ-შვილის გამოსახლების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ისინი გამოსახლებულ იქნენ ქ. ბათუმში, ... ქ. '136-ში მდებარე 30 კვ.მ*დან.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად არ მიიჩნია გარიგების დადებისას კანონის დარღვევა, კერძოდ, ის ფაქტი, რომ გ. ხ-აშმა გაასხვისა კომუნალური ქონება, რადგან არ დადგინდა, რომ ... ქ. '132 და '134-ში მდებარე უძრავი ქონება კომუნალური ფართია.

პალატამ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილად მიიჩნია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს უძრავი ქონების მესაკუთრე არ იყო ნ. ქ-ოღლი, ქ. ქ-ოღლი და ს. ხ-ოვა. საქმეში წარმოდგენილი ნასყიდობის ხელშეკრულებით, ქ. ბათუმში, ... ქ. '136-ში მდებარე ლიტერი «ა» '123-2182 სამკვიდრო მოწმობისა ეკუთვნოდა ნ. ქ-ოღლის, ქ. ქ-ოღლისა და ს. ხ-ოვას, რომელთაგანაც სანოტარო წესით დადებული ხელშეკრულებით შეიძინა ლ. შ-ძემ, კ. შ-ძემ და ა. ი-ძემ.

პალატის განმარტებით, 1991 წლის 27 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია ნ. ქ-ოღლის, ქ. ქ-ოღლისა და ს. ხ-ოვას მიხედვით პირს – გ. ხ-აშსა და ლ. შ-ძეს, კ. შ-ძეს და ა. ი-ძეს შორის. შესაბამისად, მოპასუხეს წარმოადგენენ ნ. ქ-ოღლი, ქ. ქ-ოღლი, ს. ხ-ოვა, ლ. შ-ძე, კ. შ-ძე და ა. ი-ძე. გასაჩივრებულ ხელშეკრულებაში ჯ. შ-ძე არ მონაწილეობს და, შესაბამისად, იგი ვერ იქნება სათანადო მოპასუხე. არასთანადო მოპასუხის მიმართ დაყენებული მოთხოვნა უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული და არ დაკმაყოფილდა.

რაც შეეხება ჯ. შ-ძის სარჩელს, აპელაციამ დაადგინა, რომ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისა წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ კანონის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით. ჯ. შ-ძეს ბ-შვილისა და ქ-შვილის 18 კვ.მ-ზე მფლობელობის შეწყვეტის მოთხოვნის საფუძველი ექნება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც სახელმწიფო ბ-შვილსა და ქ-შვილს აუნაზღაურებს მათ მიერ დაკავებულ 18 კვ.მ საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულებას.

ჯ. შ-ძეს, ბ-შვილსა და ქ-შვილს სახელმწიფოსაგან დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოსათვის არ მიუმართავთ. ჯ. შ-ძეს დაკავებული ფართის კომპენსაცია ბ-შვილისა და ქ-შვილისათვის არ გადაუხდია.

პალატამ დაადგინა, რომ 18 კვ.მ-ის ზემოთ არსებულ 320 კვ.მ-ის ფლობის სამართლებრივი საფუძველი ბ-შვილსა და ქ-შვილს არ გააჩნდათ. ჯ. შ-ძემ 1999 წელს მოითხოვა ქირის გაზრდა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ხელშეკრულებას შეწყვეტდა, ხოლო სარჩელი აღძრა 2002 წლის 3 იანვარს ქირის გადაუხდელობის გამო.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ ჯ. შ-ძის სარჩელი ბ-შვილისა და ქ-შვილის გამოსახლების შესახებ 30 კვ.მ-ის ნაწილში საფუძვლიანად ცნო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ჯ. შ-ძემ.

კასატორის განმარტებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება ამკარად უკანონო და უსაფუძვლოა. საქმეში არ არსებობს არცერთი კანონიერი საბუთი, რომელიც მას ართმევს საკუთრების განკარგვისა და მფლობელობის უფლებას.

კასატორის განმარტებით, ეს საკუთრება, რომელიც ირიცხებოდა და დღესაც მის სახელზე ირიცხება საჯარო რეესტრში, არასდროს იყო ჩამორთმეული და არც გასხვისებული. იგი მიუთითებს, რომ ამ საკითხზე იმსჯელა აჭარის უმაღლესმა სასამართლომ და დაადგინა, რომ ქ.ბათუმში ... '136 მდებარე სახლთმფლობელობის ლიტერ „ა“ პირველ სართულზე განლაგებული '136, '137, '138 ოთახები საჯარო რეესტრის მიხედვით რეგისტრირებულია მის სახელზე. ასევე დადგენილია და არც მოწინააღმდეგე მხარე უარყოფს რომ ისინი სახლის მეპატრონეს – ქ-ეს ბინის ქირის სახით უხდიდნენ 6 მანეთს თვეში, რაც ადასტურებს რომ ისინი

დამქირავებლის უფლებებით ცხოვრობდნენ, ხოლო მას შემდეგ, რაც კასატორი გახდა აღნიშნული ქონების მესაკუთრე, მათ უარი განაცხადეს ქირის გადახდაზე. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით მოითხოვა მან მისი კუთვნილი ქონებიდან მათი გამოსახლება.

კასატორის განმარტებით, ქ.ბათუმის მერიის ტექ. აღრიცხვის სამსახურის მთავარი სპეციალისტის ქ-ძის მიერ წარმოდგენილი სახლთმფლობელობის აღრიცხვის ნუსხის წიგნიდან და მის მიერ წარმოდგენილი ტიტულიანი ბეჭდით დამოწმებული ცნობიდან ირკვევა, რომ აღნიშნული საკუთრება კომუნალურ ფონდში არასდროს არ ირიცხებოდა.

კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება ასევე საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ქ. ბ-შილმა და თ. ქ-შილმა.

კასატორების აზრით სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის გარემოებები. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. სახლთმფლობელობა ისე გაიყიდა, რომ სახელმწიფოს, როგორც უფლებამოსილ პირს და ქონების მესაკუთრეს, თანხმობა არ განუცხადებია. ასევე, სასამართლო პროცესზე საერთოდ არ დამდგარა სათანადო მოპასუხის საკითხი და გაუგებარია, სასამართლო უარს რატომ ამბობს სარჩელის დაკმაყოფილებაზე ისე, რომ არ შეუცვლია მოპასუხე, თუ იგი, მართლაც არასათანადო მოპასუხეა. წარმოდგენილი საარქივო მასალებით სრულად დასტურდება სადავო ფართზე სახელმწიფოს საკუთრება.

სასამართლომ არ გაითვალისწინა საქმეში არსებული სახლის ნახაზები, კერძოდ: 18 კვ.მ ოთახის, რომელზედაც ისინი მიიჩნია მოსარგებლედ, ანუ ისინი დატოვა ოთახში შესასვლელის და სანიტარული კვანძების გარეშე, მაშინ როცა ჯ. შ-ქემ დაადასტურა, რომ, კასატორების აზრით, ისინი ფლობენ 48 კვ.მ-ს, რეგისტრირებულები არიან ამ მისამართზე, იხდიდნენ და იხდიან კომუნალურ გადასახადებს. რასაც სასამართლო არ უარყოფს, თუმცა გადაწყვეტილებაში მოსარგებლედ მიიჩნია 18 კვ.მ და 30 კვ.მ-ის დამქირავებლად მაშინ, როცა ისინი არანაირ ქირას არავის უხდიან და 30 კვ.მ-შიც სახელმწიფოს თანხმობით არიან შესახლებული, რაც კარგად ჩანს საქმეში წარმოდგენილი, სახლთმფლობელობის ნახაზით, სადაც სადაო 30 კვ.მ-ის მესაკუთრედ სახელმწიფოა მითითებული.

კასატორებმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

საკასაციო პალატის 2009 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით კასატორ ჯ. შ-ძის გარდაცვალების გამო საქმეში მის უფლებამონაცვლედ ჩაბმული იქნა გ. ხ-აში

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრების საფუძვლებს და თვლის, რომ ქ. ბ-შილისა და თ. ქ-შილის საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ჯ. შ-ძის უფლებამონაცვლის – გ. ხ-აშის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობასთან მიმართებით და შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებით უსაფუძვლოდ მიიჩნევს ქ. ბ-შილისა და თ. ქ-შილის საკასაციო საჩივარში მითითებულ არგუმენტებს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ სადავო ფართი ირიცხებოდა კომუნალურ ფონდში, არ ნიშნავს იმას, რომ გასხვისების მომენტისათვისაც სახლთმფლობელობა არსებობდა ამ მდგომარეობაში. კასატორი ვერ უთითებს მტკიცებულებაზე, რომელიც ადასტურებს, რომ გასხვისების მომენტისათვის გამსხვისებლები არ იყვნენ ამ ბინის მესაკუთრეები ან სხვა პირს ეკუთვნოდა ბინა. ხელშეკრულების ბათილობის საკითხი შეუძლებელია დადგეს იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე არ მოითხოვს იმ საფუძვლის ბათილად ცნობას, რომლითაც კომუნალური ფონდის ფართი აღირიცხულია კერძო პირთა საკუთრებად. შესაბამისად, უსაფუძვლოა კასატორის მითითებაც არასათანადო მხარის თაობაზეც და ასევე, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, გარიგების ბათილობის თაობაზე.

რაც შეეხება კასატორის არგუმენტაციას, სახოვრებელი 30 კვ.მ-დან მათი გამოსახლების თაობაზე, სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს. ის, რომ კასატორები ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე შესახლებულნი არიან 18 კვ.მ-ში დავას არ იწვევს, მაგრამ დღეისათვის კასატორები ფლობენ უფრო მეტ ფართს. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ ფართს კასატორები არამართლზომიერად ფლობენ. საკასაციო პალატა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებას არასრულად მიიჩნევს და თვლის, რომ აღნიშნული საკითხი ხელახლა განხლვას მოითხოვს. სასამართლოს უნდა დაედგინა, თუ რა პერიოდიდან ფლობენ მითითებული პირები სადავო 30 კვ.მ-ს და რა ურთიერთობა არსებობდა აღნიშნული 30 კვ.მ-ის მესაკუთრეს და კასატორებს შორის, აღნიშნულ ფართზე ვინ იხდიდა კომუნალურ გადასახადებს და ხომ არ წარმოადგენდნენ ეს პირები აღნიშნულ ფართზე „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისა წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ კანონის» თანახმად მოსარგებლეებს. ის გარემოება, რომ კასატორებმა ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე დაიკავეს სახლის გარკვეული ნაწილი, არ გამორიცხავს სახლის მესაკუთრესთან შეთანხმებით სახლის სხვა ნაწილის დაკავებას. ასეთ შემთხვევაში კი მხარეთა ურთიერთობა დანარჩენ ფართზე უნდა რეგულირდეს ზემოთ მითითებული კანონის შესაბამისად. უნდა დადგინდეს, არ-

სებობს თუ არა მითითებული ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ურთიერთობა დანარჩენ საცხოვრებელ 30 კვ.მ-ზე. ვინაიდან ამ ურთიერთობის მონაწილეები ხდებოდნენ არა მხოლოდ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე, დანარჩენ ფართთან მიმართებით სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს ზემოთ მითითებული გარემოებები.

პალატა ვერ გაიზიარებს ჯ. შ-ძის საკასაციო საჩივარში მითითებულ არგუმენტებს იმასთან დაკავშირებით, რომ, ვინაიდან სახლის მეპატრონეს მოწინააღმდეგე მხარე ქირის სახით 6 მანეთს უხდიდა თვეში, ისინი წარმოადგენენ დამქირავებლებს. ქირვნობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, მოსარგებლები, როგორც წესი, ათეულობით წლების განმავლობაში ფლობდნენ საცხოვრებელ ფართებს. ისინი იხდიდნენ კომუნალურ გადასახადებს და რეგისტრირებული იყვნენ საცხოვრებელ ფართში. მითითებული ფაქტორები არ ახასიათებს ქირავნობის ხელშეკრულებას და პალატის მოსაზრებით, დამქირავებლებად ბ-შვილისა და ქ-შვილის მიჩნევა არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მტკიცებულებათა ანალიზიდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ჯ. შ-ძის უფლებამონაცვლის გ. ხ-აშის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

ქ. ბ-შვილისა და თ. ქ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით, ჯ. შ-ძის სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და ქ. ბ-შვილისა და თ. ქ-შვილის ბათუმში ... ქ.136-ში მდებარე 30 კვ.მ-დან გამოსახლების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

დანარჩენ ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი.

სასამართლო ხარჯების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

1ას-893-1179-09

25 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: მესაკუთრედ ცნობა, უღირს მემკვიდრედ ცნობა და ქონების გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 6 ნოემბერს დ. ბ-იამ სარჩელით მიმართა ჩხოროწყუს რაიონულ სასამართლოს მოპასუხე შ. ბ-იას მიმართ და მოითხოვა რ. ბ-იას (მამის) დანაშთი უძრავ-მოდრავი ქონების მესაკუთრედ ცნობა და მოპასუხის გამოსახლება მის მიერ ფაქტობრივ ფლობით მიღებულ სამკვიდროში შემავალი საცხოვრებელი სახლიდან.

მოპასუხე შ. ბ-იამ, თავის მხრივ, შეგებებული სარჩელით მოითხოვა დ. ბ-იას უღირს მემკვიდრედ ცნობა.

ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით დ. ბ-იას სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – დ. ბ-ია ცნობილ იქნა დ. ჩხოროწყუში, ... ქ.132-ში მდებარე რ. ბ-იას (მამის) დანაშთი უძრავ-მოდრავი ქონების მესაკუთრედ, მოსარჩელე დ. ბ-იას მოთხოვნა, მოპასუხე შ. ბ-იას საცხოვრებელი სახლიდან გამოსახლების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

მოპასუხე შ. ბ-იას დროებით სარგებლობაში გადაეცა დ. ჩხოროწყუში, ... ქ.132-ში მდებარე, კაპიტალური ორსართულიანი სახლის პირველი სართული.

შ. ბ-იას შეგებებული სარჩელი დ. ბ-იას უღირს მემკვიდრედ ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო:

სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მოპასუხის განმარტებისა და მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე, სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ დ. ბ-ია იყო აწ გარდაცვლილი რ. ბ-იას ვაჟიშვილი და ერთადერთი პირველი რიგის მემკვიდრე, რომელიც მამის გარდაცვალების დროიდან ფაქტობრივად შეუდგა დანაშთი ქონების ფლობასა და სარგებლობას.

შ. ბ-ია არის რ. ბ-იას და, შესაბამისად – მისი მეორე რიგის მემკვიდრე.

აწ გარდაცვლილ რ. ბ-იას საკუთრებაში გააჩნდა დ. ჩხოროწყუში მდებარე 1,28 ჰა მიწის ნაკვეთი;

შ. ბ-იას სახელზე უძრავი ქონება რეგისტრირებული არ ყოფილა.

დ. ჩხოროწყუს საკრებულოში დაცული საკომლო ჩანაწერების მიხედვით, რ. ბ-იას კომლში არავინ იყო ჩაწერილი და კომლის უკანასკნელი წევრი და საკომლო მეურნეობის მესაკუთრე იყო აწ გარდაცვლილი რ. ბ-ია.

შ. ბ-ია რ. ბ-იასთან ერთად ცხოვრობდა კომლის საცხოვრებელ სახლში, მაგრამ კომლის თანამესაკუთრედ დარეგისტრირებული არ ყოფილა და რეგისტრირებული იყო ცალკე კომლად.

სამოქალაქო კოდექსის 1332-ე, 1336-ე, 1421-ე მუხლების შესაბამისად, სასამართლომ დ. ბ-იას სასარჩელო მოთხოვნა მამის, აწ გარდაცვლილი რ. ბ-იას მემკვიდრედ და დანაშთი ქონების მესაკუთრედ ცნობის თაობაზე საფუძვლიანად მიიჩნია;

სასამართლომ განმარტა, რომ, ვინაიდან მოპასუხე შ. ბ-ია ცხოვრობდა ძმის – რ. ბ-იას საცხოვრებელ სახლში და სხვა საცხოვრებელი არ გააჩნდა, ამავე დროს იყო საპენსიო ასაკის და მეორე ჯგუფის ინვალიდი, ჰუმანურიზაციისა და სამართლიანობის საყოველთაო პრინციპებიდან გამომდინარე, შინაგანი რწმენის საფუძველზე, სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხე შ. ბ-იას საცხოვრებელი სახლიდან გამოსახლების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილებულიყო და შ. ბ-იას დროებით სარგებლობაში უნდა გადასცემოდა დ. ჩხოროწყუში, ... ქ.132-ში მდებარე კაპიტალური ორსართულიანი სახლის პირველი სართული.

იმის გათვალისწინებით, რომ შ. ბ-იამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა იმ გარემოებას, რომ მემკვიდრე დ. ბ-ია, მამკვიდრებელს – რ. ბ-იას ხელს უშლიდა უკანასკნელი ნების განხორციელებაში ან ჩაიდინა მამკვიდრებლის საწინააღმდეგოდ განზრახი დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი, რაც სამოქალაქო კოდექსის 1310-ე მუხლით შეიძლება გამბდარიყო უღირს მემკვიდრედ ცნობის საფუძველი, სასამართლომ შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა დაუსაბუთებლად და უსაფუძველოდ მიიჩნია.

სასამართლომ გაიზიარა შ. ბ-იას მოსაზრება მასზედ, რომ დ. ჩხოროწყუში, ... ქ.132-ში მდებარე სადავო საცხოვრებელი სახლი რ. ბ-იას საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე არ მდებარეობდა და მიიჩნია, რომ აღნიშნული სახლი განთავსებული იყო რ. ბ-იას კუთვნილ 1,28 ჰა მიწის ნაკვეთზე.

ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. ბ-იამ იმ ნაწილში, რომლითაც დ. ბ-ია ცნობილ იქნა დ. ჩხოროწყუში, ... ქ.132-ში მდებარე რ. ბ-იას (მამის) დანაშთი უძრავ-მომრავი ქონების მესაკუთრედ, ხოლო შ. ბ-იას დროებით სარგებლობაში გადაეცა დ. ჩხოროწყუში, ... ქ.132-ში მდებარე კაპიტალური ორ სართულიანი სახლის პირველი სართული, ასევე, დ. ბ-იას უღირს მემკვიდრედ ცნობის თაობაზე შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მითითებულ ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში უარის თქმა და დ. ბ-იას უღირს მემკვიდრედ ცნობის თაობაზე შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით შ. ბ-იას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გაუქმდა ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება დ. ჩხოროწყუში, ... ქ.132-ში მდებარე, რ. ბ-იას (მამის) დანაშთი უძრავ-მომრავი ქონების მესაკუთრედ დ. ბ-იას ცნობის ნაწილში და დ. ჩხოროწყუში, ... ქ.132-ში მდებარე კაპიტალური, ორსართულიანი სახლის პირველი სართულის მოპასუხე შ. ბ-იას დროებით სარგებლობაში გადაცემის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება – დ. ბ-იას სასარჩელო მოთხოვნა დ. ჩხოროწყუში, ... ქ.132-ში მდებარე, რ. ბ-იას (მამის) დანაშთი უძრავ-მომრავი ქონების მესაკუთრედ ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

დ. ბ-ია არის აწ გარდაცვლილი რ. ბ-იას ვაჟიშვილი და ერთადერთი პირველი რიგის მემკვიდრე, რომელიც მამის გარდაცვალების დროიდან ფაქტობრივად შეუდგა დანაშთი ქონების ფლობასა და სარგებლობას;

შ. ბ-ია არის რ. ბ-იას და, შესაბამისად – მეორე რიგის მემკვიდრე.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ჩხოროწყუს სარეგისტრაციო სამსახურის 2006 წლის 11 დეკემბერს გაცემული ცნობით, საჯარო რეესტრის ამონაწერითა და მიწის საკუთრების მოწმობით სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ აწ გარდაცვლილ რ. ბ-იას საკუთრებაში გააჩნდა დ. ჩხოროწყუში მდებარე 1,28 ჰა მიწის ნაკვეთი.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ჩხოროწყუს სარეგისტრაციო სამსახურის 2006 წლის 11 დეკემბერს გაცემული ცნობით სასამართლომ დადგინდად ჩათვალა, რომ შ. ბ-იას სახელზე უძრავი ქონება რეგისტრირებული არ ყოფილა.

დ. ჩხოროწყუს საკრებულოს მიერ გაცემული ცნობების მიხედვით, სასამართლომ მიიჩნია, რომ რ. ბ-ის კომპლში არავინ ყოფილა ჩაწერილი და კომპლის უკანასკნელი წევრი და საკომლო მეურნეობის მესაკუთრე იყო ან გარდაცვლილი რ. ბ-ია.

შ. ბ-ია და რ. ბ-ია ერთად ცხოვრობდნენ დ. ჩხოროწყუში, ... ქ.132-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში, მაგრამ კომპლის თანამესაკუთრედ დარეგისტრირებულნი არ ყოფილან, რ. ბ-ია რეგისტრირებული იყო ცალკე კომლად.

პალატამ დამატებით განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ჩხოროწყუს სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 26 აგვისტოს ცნობის თანახმად, დ. ჩხოროწყუში, ... ქ.132-ში მცხოვრებ შ. ბ-ის ჩხოროწყუს რაიონის საჯარო რეესტრში უძრავი ქონება რეგისტრირებული არ ჰქონია, ხოლო რ. ბ-ის დ. ჩხოროწყუში რეგისტრირებული ჰქონდა 1,28 ჰა მიწის ნაკვეთი. აღნიშნული ქონების ადგილმდებარეობის ზუსტი მისამართი რეგისტრირებულ მონაცემებში მითითებული არ ყოფილა.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობის 2008 წლის 28 მაისის ცნობებით სასამართლომ მიიჩნია, რომ ... ქუჩა 132-ში მცხოვრებ, ან გარდაცვლილ შ. ბ-ის ძე ბ-ის ზონარგაყრილი წიგნის მიხედვით ერიცხება 0,35 ჰა მიწის ფართობი, რომელზედაც განთავსებულია ორსართულიანი სახლი, შ. ბ-ის ასული ბ-ია არის ცალკე კომლი, რომელიც ირიცხება ან გარდაცვლილ შ. ბ-ის ძე ბ-ის კომლში.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 12 სექტემბრის განჩინების საფუძველზე ჩატარებული, ლევან სამხარაულის სახელობის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს იმერეთის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის 2009 წლის 15 ივნისის დასკვნის შესაბამისად, სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ დ. ჩხოროწყუში, რ. ბ-ის საკუთრებაში ირიცხებოდა მიწა ოთხ ნაკვეთად.

იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე შ. ბ-იამ სადავო გახადა დ. ჩხოროწყუში, ... ქ.132-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის რ. ბ-ის კუთვნილების საკითხი, ხოლო მოსარჩელე დ. ბ-ის სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია სათანადო მტკიცებულება – საჯარო რეესტრში ამ ქონების რ. ბ-ის საკუთრებაში რეგისტრაციის დოკუმენტი, პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ქონება არ წარმოადგენდა სკ-ის 1328-ე მუხლით გათვალისწინებულ, რ. ბ-ის სამკვიდროს და ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დ. ბ-ია ცნობილი იქნა დაბა ჩხოროწყუში ... ქ.132-ში მდებარე, რ. ბ-ის (მამის) დანაშთი უძრავ-მოდრავი ქონების მესაკუთრედ, დაუსაბუთებელი იყო. შესაბამისად, იგი უნდა გაუქმებულიყო და დ. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნა დ. ჩხოროწყუში, ... ქ.132-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ვინაიდან დ. ბ-ია არ წარმოადგენდა დ. ჩხოროწყუში, ... ქ.132-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეს, ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც შ. ბ-ის შეეზღუდა ამ ქონებით სარგებლობა და დ. ჩხოროწყუში, ... ქ.132-ში მდებარე კაპიტალური ორსართულიანი სახლის მხოლოდ პირველი სართული გადაეცა დროებით სარგებლობაში, სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მის შეგებებულ სარჩელზე, დ. ბ-ის უღირს მემკვიდრედ ცნობასთან დაკავშირებით სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა ფაქტობრივ გარემოებებს.

იმის გათვალისწინებით, რომ შ. ბ-ის სასამართლოსათვის არ წარუდგენია მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურებული იქნებოდა ის ფაქტი, რომ დ. ბ-ია განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მიწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას, პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა დ. ბ-ის უღირს მემკვიდრედ ცნობის თაობაზე შ. ბ-ის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველები, შესაბამისად, ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შ. ბ-ის შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა, სასამართლომ დაუსაბუთებლად ჩათვალა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა დ. ბ-იამ, მოითხოვა მისი გაუქმება საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლი და, ამასთან, არასწორად მიუთითა იმის თაობაზე, რომ მას, როგორც მოსარჩელეს, სათანადო მტკიცებულებები – საჯარო რეესტრში ქონების რ. ბ-ის საკუთრებაში რეგისტრაციის თაობაზე სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს მიერ საქმის სამართლებრივი შეფასება და შემაჯამებელი დასკვნა დამყარებული აქვს ყალბ, არასწორ და დაუზუსტებელ ფაქტობრივ გარემოებებზე, რაც გახდა საფუძველი საქმეზე არაკანონიერი გადაწყვეტილების გამოტანისა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძველებს და თვლის, რომ დ. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ დასკვნებს, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს.

მოცემულ საქმეზე მოსარჩელე მოითხოვდა აწ გარდაცვლილი რ. ბ-იას დანაშაულის უძრავ-მოდრავი ქონების მესაკუთრედ ცნობას. სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ მოსარჩელე არის რ. ბ-იას ერთადერთი პირველი რიგის მემკვიდრე, რომელიც მამის გარდაცვალების დროიდან ფაქტობრივად შეუდგა დანაშაულის ქონების ფლობას და სარგებლობას. ასევე დადგენილად ცნო, რომ აწ გარდაცვლილი რ. ბ-იას საკუთრებაში ჰქონდა დ. ჩხოროწყუში მდებარე 1,28 ჰა მიწის ნაკვეთი. მიუხედავად აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებისა, სასამართლომ მოსარჩელეს უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს სამართლებრივ დასაბუთებას, ასევე, სასამართლოს დასკვნებს და მოსაზრებებს, თუ რა საფუძველით არ აკმაყოფილებს სასარჩელო მოთხოვნას მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ცნობაზე, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 389-ე მუხლის მოთხოვნები.

სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა მხოლოდ დ. ჩხოროწყუში, ... ქ.132-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის კუთვნილებაზე და დადგენილად ცნო, რომ აწ გარდაცვლილი რ. ბ-ია რეგისტრირებული იყო ცალკე კომლად და ცხოვრობდა სადავო სახლში. ვინაიდან შეუძლებელია იმის დადგენა, განთავსებულია თუ არა, სადავო სახლი რ. ბ-იას საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე, სასამართლომ სახლის მესაკუთრედ ცნობაზეც მოსარჩელეს უარი უთხრა.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ამ ნაწილშიც გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ შეუძლებელია გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება. საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებები უნდა განიხილოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. სასამართლო ასევე უფლებამოსილია, ამავე კოდექსის 103-ე მუხლის შესაბამისად შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

დ. ბ-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს ამ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

1ას-408-381-2010

23 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ბათუმის მერიის 2002 წლის 13 მაისის "1109 დადგენილების ბათილად ცნობა, ა-ს გამგეობის 2001 წლის 25 აპრილის სხდომის ოქმისა და 2001 წლის 30 აპრილის დებულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 28 ივნისის მოსარჩელეებმა – ქ. ბათუმის საზღვაო სასწავლებლისა და სანაოსნოს მუშაკთა მრავალბინიანი ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «ა-ს» გამგეობის წევრებმა – ბ. ო-ძემ, გ. ა-ძემ და ი. შ-შვილმა სარჩელით მიმართეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების – ქ. ბათუმის მერიისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელეებმა მიუთითეს, რომ 1993 წლის 19 ივლისს მათ მიმართეს ქ. ბათუმის მერიის კაბინეტს მშენებლობის ნებართვის შესახებ, რომელიც 1993 წლის 6 ივლისის ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის 1141 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა – 1993 წლის 5 ოქტომბრის ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის 1345 გადაწყვეტილებით დამტკიცდა 1993 წლის 19 ივლისის ინდივიდუალური ბინათმშენებლობა „ა-ს“ წევრთა საერთო კრების სხდომის 11 ოქმი, რომლის საფუძველზეც მიიღეს ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის წესდება, აირჩიეს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის გამგეობის წევრები შემდეგი შემადგენლობით: ბ. ო-ძე, გ. ა-ძე და ი.

შ-შვილი. მათ გადაწყვიტეს, ინდივიდუალურ ბინათმშენებლობა „ა-ს“ სახელობაზე აღრიცხულ მიწის ნაკვეთზე აეგოთ საცხოვრებელი სახლი და მიმართეს სხვადასხვა ორგანოებს. მოსარჩევეებმა აღნიშნეს, რომ 2006 წლის 1 ივნისის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 1962 მომართვის თანახმად, ეცნობათ, რომ ქ.ბათუმის მერიის კაბინეტის 2003 წლის 8 მაისის 158 დადგენილებით ... ქ.1121-ში მდებარე უძრავი ქონება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში ბინათმშენებლობა „ა-ზე“, ფაქტობრივად ამავე დადგენილებითვე იქნა გამოყოფილი 3 300 კვ.მ, ხოლო 2002 წლის 20 მაისის ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დადგინდა, რომ ქ. ბათუმში ... და ქუჩების მიმდინარე ტერიტორიაზე ინდივიდუალურ ბინათმშენებლობა „ა-ს“ საკუთრების საფუძველია ქ. ბათუმის მერიის 2002 წლის 13 მაისის 1109 დადგენილება და ქ. ბათუმის 1993 წლის 5 ოქტომბრის დადგენილება 1345, ამასთანავე 2002 წლის 20 მაისის გაცემული საკადასტრო რუკით მესაკუთრედ აღინიშნა ინდივიდუალური ბინათმშენებლობა „ა“, ფართით – 630 კვ.მ.

მოსარჩევეთა განმარტებით, მათთვის 2006 წლის 7 ივნისის ქ.ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის აპარატის მიმართვის საფუძველზე, მათ გადაეცათ ქ. ბათუმის მერიის 2002 წლის 13 მაისის 1109 დადგენილების ქსეროასლი თანდართული მასალებით. ცნობილი გახდა, რომ 1993 წლის 6 ივლისის 1141 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და 1993 წლის 5 ოქტომბრის 1345 გადაწყვეტილება ძალადაკარგულად გამოცხადდა. ასევე, ცნობილი გახდა, რომ 2001 წლის 25 აპრილის ერთ-ერთი ოქმით დადგინდა, რომ ინდივიდუალური ბინათმშენებლობა „ა-ს“ გამგეობის სხდომა შედგა 2001 წლის 22 აპრილს, რომელსაც ესწრებოდა 36 წევრი. სხდომის დღის წესრიგს წარმოადგენდა საინიციატივო ჯგუფის გაუქმება, ასევე, გამგეობის თავმჯდომარისა და ხაზინადარის არჩევა. სხდომაზე მოსმენილ იქნა შემდეგი წინადადებები – საინიციატივო ჯგუფი უნდა გაუქმებულიყო, ვინაიდან ისინი აღარ იყვნენ «ა-ს» თანამშრომლები, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის თავმჯდომარედ ჯ. ბ-ძის, ხოლო ხაზინადარად მ.შ-ძის კანდიდატურები დასახელდა, რაც ამავე ოქმით დაკმაყოფილდა, მოსარჩევეები აღნიშნავენ, ხოლო წარმოდგენილი მეორე – 2001 წლის 25 აპრილის 11 ოქმით დგინდება, რომ სხდომა ჩატარდა იმავე დღეს, ესწრებოდნენ იგივე წევრები, თავმჯდომარე და მდივანი იყვნენ იგივე პირები, მხოლოდ დღის წესრიგში იყო განსხვავება, განიხილეს თავმჯდომარისა და ხაზინადარის კანდიდატურები, საინიციატივო ჯგუფის გაუქმებაზე კი ნათქვამი არაფერი იყო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩევეებმა მოითხოვეს ინდივიდუალური ბინათმშენებლობა «ა-ს» გამგეობის სხდომის 2001 წლის 25 აპრილის 11 ოქმის, ასევე, 2002 წლის 13 მაისის, ქ. ბათუმის მერიის 1109 დადგენილების, ქ. ბათუმის მერიის 2003 წლის 8 მაისის 158 დადგენილების, ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 13 ივნისის 1173 დადგენილების მე-2 ნაწილის ბათილად ცნობა, ხოლო ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის 1993 წლის 6 ივნისის 1141 და 1993 წლის 5 ოქტომბრის 1345 დადგენილებების ძალაში დატოვება. ამასთანავე, საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის დავალდებულება, გაეტარებინა ინდივიდუალური ბინათმშენებლობა ა-ს საკუთრება ქ.ბათუმის მერიის კაბინეტის 1993 წლის 6 ივნისის 1141 და 1993 წლის 5 ოქტომბრის 1345 დადგენილებების შესაბამისად.

2006 წლის 25 ივლისს მოსარჩევეებმა წარადგინეს დამატებითი სასარჩელო განცხადება, თანამოპასუხედ მიუთითეს ასევე ინდივიდუალური ბინათმშენებლობა „ა-ს“ თავმჯდომარე ჯ. ბ-ძეზე და დამატებით მოითხოვეს 2001 წლის 30 აპრილის საინიციატივო ჯგუფის მიერ დამტკიცებული ერთობლივი საქმიანობის დებულების ბათილად ცნობა, ხოლო იმავე წლის 1 დეკემბერს შეტანილი დამატებითი სასარჩელო განცხადებით მოითხოვეს, ბათილად ეცნოთ ქ.ბათუმის 2006 წლის 18 ივლისის 1203 დადგენილება თანმდევნი შედეგებით.

ქ.ბათუმის მთავრობის 2006 წლის 11 სექტემბრის 1262 დადგენილებით ქ.ბათუმში, ... ქუჩაზე მდებარე 1300 კვ. მ მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს «გ.», რომელმაც 2006 წლის 6 ოქტომბრის 11-9706 ნასყიდობის ხელშეკრულებით მოიპოვა აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება, ხოლო ამჟამად ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი შპს «გ-სა» და შპს «ჯ. კ-ს» შორის 2006 წლის 134 ოქტომბრის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოადგენდა შპს «ჯ. კ-ს» საკუთრებას.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 20 აგვისტოს საოქმო განჩინებით მოსარჩევეების შუამდგომლობა სარჩელის გამოხმობის თაობაზე დაკმაყოფილდა – ინდივიდუალური ბინათმშენებლობა „ა-ს“ გამგეობის წევრების – გ. ა-ძის, ბ. ო-ძისა და ი. შ-შვილის სარჩელი 2006 წლის 6 ოქტომბრისა და 2006 წლის 13 ოქტომბრის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში დატოვებულ იქნა განუხილველად.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 20 აგვისტოს საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა დაინტერესებული პირის – დ. ბ-ძის შუამდგომლობა და იგი ჩართულ იქნა მოცემულ საქმეში მესამე პირად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით მოსარჩევეების მხარეზე, ასევე სასამართლოს 2009 წლის 25 თებერვლის განჩინებით საქმეზე მესამე პირებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით ჩართულ იქნენ შპს «გ.» და შპს «ჯ. კ.».

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით გ. ა-ძის, ბ. ო-ძისა და ი. შ-შვილის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრეს გ. ა-ძემ, ბ. ო-ძემ და ი. შ-შვილმა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ივლისის განჩინებით, გ. ა-ძის, ბ. ო-ძის და ი. შ-შვილის სარჩელისა გამო, ქ.ბათუმის მერიის, ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურისა და ბინათმშენებლობა „ა-ს“ თავმჯდომარის – ჯ. ბ-ძის მიმართ, ცალკე წარმოებად გამოიყო სასარჩელო მოთხოვნა ინდივიდუალური ბინათმშენებლობა „ა-ს“ გამგეობის სხდომის 2001 წლის 21 აპრილით დათარიღებული ორი ოქმის, 2001 წლის 30 აპრილის საინიციატივო ჯგუფის მიერ დამტკიცებული ერთობლივი საქმიანობის დებულებისა და ქ.ბათუმის მერიის 2002 წლის 13 მაისის 1109 დადგენილების ბათილად ცნობის ნაწილში და იგი განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით ქ. ბათუმის საზღვაო სასწავლებლისა და სანაოსნოს მუშაკთა მრავალბინიანი ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ა-ს“ წევრების: გ. ა-ძის, ბ. ო-ძის და ი. შ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება ნაწილობრივ; კერძოდ, ქ. ბათუმის საზღვაო სასწავლებლისა და სანაოსნოს მუშაკთა მრავალბინიანი ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ა-ს“ გამგეობის სხდომის 2001 წლის 25 აპრილით დათარიღებული ორი 11 ოქმის, 2001 წლის 30 აპრილის საინიციატივო ჯგუფის მიერ დამტკიცებული ერთობლივი საქმიანობის დებულებისა და ქ. ბათუმის მერიის 2002 წლის 13 მაისის 1109 დადგენილების ბათილად ცნობის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებლის სანაოსნოს მუშაკთა მრავალბინიანი ინდივიდუალური მშენებლობის, ამხანაგობა „ა-ს“ წევრების – გ. ა-ძის, ბ. ო-ძისა და ი. შ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ბათილად იქნა ცნობილი ბათუმის მერიის 2002 წლის 13 მაისის 1109 დადგენილება, ა-ს გამგეობის 2001 წლის 25 აპრილის სხდომის ორი 11 ოქმი და 2001 წლის 30 აპრილის დებულება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ 1993 წლის 6 ივლისის 1141 გადაწყვეტილებით, ქ.ბათუმის მერიის კაბინეტის მიერ საინიციატივო ჯგუფს, რომლის ხელმძღვანელი იყო ბ. ო-ძე გამოეყო ბათუმში, ... და ... ქუჩების მიმდებარე კვარტალში მდებარე 630 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ამხანაგური ერთსადარბაზოიანი, შვიდსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის. 1993 წლის 19 ივლისს ჩატარდა ბინათმშენებლობის წევრთა საერთო კრება და მიღებულ იქნა წესდება; არჩეულ იქნა გამგეობა ბ. ო-ძის თავმჯდომარეობით. აღნიშნულთან დაკავშირებით შედგა კრების ოქმი 11, რაც დამტკიცებულ იქნა ბათუმის მერიის 1993 წლის 5 ოქტომბრის 1345 გადაწყვეტილებით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, საქმის მასალებიდან გამომდინარე, არ დგინდება, რომ ზემოაღნიშნულმა ამხანაგობამ უფლებამოსილება შეწყვიტა წესდების 33-ე პუნქტის რომელიმე ქვეპუნქტის თანახმად, ანუ არ არსებობდა «ა-ს» საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლები.

პალატამ განმარტა, რომ 1993 წლის წესდების მე-6 პუნქტის თანახმად, შექმნილი ამხანაგობა რეგისტრაციის მომენტიდან წარმოადგენდა იურიდიულ პირს, ამავდროულად წესდების 33-ე პუნქტის თანახმად, გათვალისწინებული იყო ეს ამხანაგობა, თუ რა შემთხვევაში შეიძლებოდა გაუქმებულიყო.

პალატამ აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული ამხანაგობამ უფლებამოსილება შეწყვიტა წესდების 33-ე პუნქტის რომელიმე ქვეპუნქტის თანახმად ანუ არ არსებობს „ა-ს“ საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლები.

პალატამ ასევე განმარტა, რომ 1993 წლის 19 ივლისის ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებლისა და სანაოსნოს მუშაკთა მრავალბინიანი ინდივიდუალური ბინათმშენებლობა „ა-ს“ წესდება შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკაში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განვითარების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ „საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 26 აპრილის 1220 დადგენილების საფუძველზე. ამხანაგობაში გაერთიანების უფლება ჰქონდათ სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მომუშავე მუშა-მოსამსახურეებს, ასევე სამშენებლო ორგანიზაციის, ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მიერ რეკომენდებულ სხვა პირებს. ამ წესდებით დგინდება, რომ საერთოდ არ იყო სავალდებულო ბათუმის საზღვაო ა-ს თანამშრომლობა.

პალატამ მიუთითა შემდეგ გარემოებაზეც – როდესაც, 1993 წელს ბათუმში ამხანაგობა „ა-ს“ ყალიბდებოდა, მაშინ გადაკეთდა ბათუმის საზღვაო სასწავლებელი „ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებლად«. საინიციატივო ჯგუფმა სიმბოლურად უწოდა „ა.« ბინათმშენებლობას, რომელსაც არავითარი ფინანსური ან მატერიალური კავშირი „ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებელ ა-სთან« არ ჰქონიათ, ანუ როცა უკვე შეიქმნა „ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებელი« ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ა.« უკვე არსებობდა.

პალატამ არ გაიზიარა 2001 წლის 25 აპრილის 11 სხდომის ოქმში მითითებული გარემოება იმის თაობაზე, რომ ძველი ამხანაგობა გაუქმებულია, „ვინაიდან ისინი აღარ არიან ა-ს“ წევრები.

პალატამ დადასტურებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ 2001 წლის 25 აპრილის ორი 11 ოქმი ხელმოწერილია იმ პირების მიერ, რომელთა ამხანაგობის „ა-ს“ (რომელიც დაფუძნდა 1993 წელს) წევრობა არ დგინდება საქმის მასალებით. 2001 წლის 25 აპრილის სხდომის ოქმებზე 11 დასმულია სულ სხვა ბეჭედი, ვიდრე ეს 1993 წელს შექმნილ „ა-ს“ გააჩნდა მისი წესდების თანახმად, როგორც იურიდიულ პირს.

პალატამ დადასტურებულად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ა-ს», რომელიც დაფუძნდა 2001 წლის 25 აპრილს, ბათუმის მერიის მიერ სულ სხვა ქუჩაზე გამოეყო ფართი საცხოვრებელი ბინის მშენებლობისათვის, კერძოდ, ... ქ. 121-ში.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ არ დგინდება, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა, რომელიც 1993 წელს დაფუძნდა, მისი სამართალმემკვიდრეა 2001 წელს დაარსებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ა-ს» ჯ. ბ-ძის თავმჯდომარეობით. საქმის მასალებით არ დგინდება, რომ გაუქმდა ძველი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა «ა.» და შექმნა ახალი 2001 წელს, რომელიც 1993 წელს შექმნილი ამხანაგობის სამართალმემკვიდრეა.

სააპელაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნია, რომ 2001 წლის 30 აპრილის საინიციატივო ჯგუფის მიერ დამტკიცებული ერთობლივი საქმიანობის დებულება ვერ იქნება სამართალმემკვიდრე 1993 წლის 5 ოქტომბერს დამტკიცებული „ა-ს» წესდებისა, რადგან 1993 წლის 5 ოქტომბერს «ა.» შედგებოდა სულ სხვა პირებისაგან, რომელთაც არანაირი კავშირი და საერთო არ აქვთ 2001 წლის 25 აპრილის 11 სხდომის ოქმით შექმნილ ახალ ბინათმშენებლობა «ა-სთან».

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ არ დგინდება ის გარემოება, რომ ... და ქუჩების კვეთა – ... ქუჩად გადაკეთდა ან ... ქუჩად. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა არსებობდეს კონკრეტული ორგანოს დადგენილება, კერძოდ, ბათუმის მერიის დადგენილება, მაგრამ ასეთი დადგენილება საქმეში არ მოიპოვება. ესეც ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მხარეები სულ სხვა მიწის ნაკვეთებზე მიუთითებენ.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ქ. ბათუმის მერიამ. კასატორმა მიუთითა, რომ იგი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, თითქოს 1300 კვ.მ მიწის ნაკვეთი ... ქუჩაზე არ მოიცავს ამხანაგობა «ა-სათვის» გადაცემულ 630 კვ.მ მიწის ნაკვეთს. ქალაქ ბათუმის მერიის კაბინეტის 1993 წლის 6 ივლისის 1141 გადაწყვეტილებით საინიციატივო ჯგუფს გამოეყო ... და ... ქუჩების მიმდებარე კვარტალში არსებული მიწის ნაკვეთი. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ქ. ბათუმის მერიის 2002 წლის 13 მაისის 1109 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილება და ამხანაგობა „ა-ს» გამოეყო მიწის ნაკვეთი ... და ქუჩების კვეთაში. ქ. ბათუმის მერიის 2003 წლის 8 მაისის 158 დადგენილებით ნაწილობრივი ცვლილება შევიდა 2002 წლის 13 მაისის დადგენილებაში და ... და ქუჩების კვეთასთან მდებარე მიწის ნაკვეთის ნაცვლად ამხანაგობა „ა-ს» გამოიყო ... ქ. 21-ში მდებარე მიწის ნაკვეთი.

ასევე კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, სასამართლო გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს და იმსჯელა იმაზე, რაც სააპელაციო საჩივრით არ გამხდარა სადავო. კერძოდ, გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა, რომ 2002 წლის 20 მაისის საჯარო რეესტრის ჩანაწერზე, კერძოდ, 630 კვ.მ მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია ამხანაგობა «ა-ზე». ასევე დაადგინა, რომ საჯარო რეესტრის სამსახურის მოქმედება უკანონოა, რაც მისი გაბათილების საფუძველია. ფაქტობრივად სააპელაციო სასამართლომ ისე გააკეთა დასკვნები და პირდაპირ მიუთითა ბათილობის საფუძველებზე, რომ ამ საკითხზე დავა არც ყოფილა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი ასევე შეიტანა ამხანაგობა „ა-ს» თავმჯდომარემ ჯ. ბ-ძემ. მან მიუთითა, რომ საქმეში არსებული 2002 წლის 20 მაისის საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიხედვით, 630 კვ.მ მიწის ნაკვეთი რეგისტრირებული აქვს ამხანაგობა „ა-ს», რომლის რეორგანიზაცია მოხდა 2001 წელს, შესაბამისად, თუკი რაიმე პრეტენზია შეიძლება არსებობდეს, ეს უნდა ჰქონდეს 2001 წლის შემდგომ რეორგანიზებულ «ა-ს» და არა 1993 წელს შექმნილ ამხანაგობა «ა-ს» ყოფილ წევრებს.

ასევე კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია ხანდაზმულობის საკითხებთან დაკავშირებით. კასატორის აზრით, სარჩელი ხანდაზმულია, ვინაიდან ამხანაგობა «ა.» წარმოადგენდა ცალკეულ ფიზიკურ პირთა გაერთიანებას, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ სახელშეკრულებლო ურთიერთობით. სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად კი სახელშეკრულებლო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრებს და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ 2006 წლის 13 ივნისის 1173 დადგენილებით ბათილად გამოცხადდა 2002 წლის 13 მაისის 1109 და 2003 წლის 8 მაისის 158 დადგენილებების ის ნაწილები, რომლითაც «ა-ს» გამოეყო მიწის ნაკვეთი.

ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ საქმეში წარმოდგენილია 2006 წლის 11 სექტემბრის სასამართლო განჩინება, რომლითაც დამტკიცდა ბათუმის მერიასა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა «ა-ს» შორის მორიგება, რომლის თანახმად ამ უკანასკნელს საკუთრებაში დარჩა ბათუმში, ... ქ. 121-ში მდებარე მიწის ნაკვეთი ბათუმის მერიასათვის 64000 ლარის გადახდის სანაცვლოდ.

სააპელაციო სასამართლო არ იკვლევს ამ მტკიცებულებებს. იმ შემთხვევაში, თუ ბათილად არის ცნობილი ბათუმის მერიის 2002 წლის 13 მაისის 1109 დადგენილება, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლი-

ოს სასამართლო წესით მისი ბათილად ცნობის რა იურიდიულ ინტერესი გააჩნიათ მოსარჩელებს (სსსკ-ის 180-ე მუხლი) და არსებობს თუ არა ამ ნაწილში დავის საგანი.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ 1993 წელს შექმნილ და 2001 წელს შექმნილ «ა-სათვის» გამოყოფილ მიწის ფართებს არ გააჩნიათ ურთიერთკავშირი. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია განხორციელდა თუ არა 1993 წელს შექმნილ «ა-სათვის» გამოყოფილი 630 კვ.მ მიწის ნაკვეთის უფლებამონაცვლეობა სხვა მიწის ნაკვეთით, რომელიც გამოეყო 2001 წლის 25 აპრილს შექმნილ «ა-ს».

სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული საჯარო რეესტრის ამონაწერი სხვა მასალებთან ერთობლიობაში მართებულად არ შეაფასა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი 2002 წლის 20 მაისის საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდება, რომ ... და ქუჩების კვეთაში არსებულ მიმდებარე კვარტალში არსებული 630 კვ.მ ფართი დარეგისტრირებულია 1993 წელს შექმნილ ამხანაგობა «ა-ზე», რომლის საფუძველს წარმოადგენს 1993 წლის 5 ოქტომბრის 1345 გადაწყვეტილება. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული რეესტრის ჩანაწერები გაუქმებული არ არის და არც რაიმე მტკიცებულება დევს საქმეში.

აღნიშნულთან მიმართებაში საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს საკასაციო საჩივრებში მითითებულ პრეტენზიებს და განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ, რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ამხანაგობის საკუთრების უფლების საფუძველად 1993 წლის 5 ოქტომბრის 1345 დადგენილების გარდა მითითებულია ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის 1109 13.05.2002 წლის დადგენილება, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა 1993 წლის 5 ოქტომბრის 1345 დადგენილება. ამავე დადგენილებით (1109 13.05.2002წ) ცვლილება იქნა შეტანილი ბათუმის მერიის კაბინეტის 1993 წლის 6 ივლისის 1141 გადაწყვეტილებაში, რომლის თანახმად ინდივიდუალურ ბინათმშენებლობა «ა-ს» გამოეყო მიწის ნაკვეთი ორსადარბაზოიანი, 9-სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის ... და (...) ქუჩების კვეთაში არსებულ კვარტალში. აღნიშნული დადგენილების პრეამბულაში მითითებულია, რომ ინდივიდუალური ბინათმშენებლობა «ა-ს» წევრთა რიგებში 2001 წლის 25 აპრილის ოქმით განხორციელდა ცვლილება. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სრულად არ შეაფასა აღნიშნული მტკიცებულებები და, შესაბამისად, არ დაადგინა, თუ რომელი «ა-ს» სახელზე იყო რეგისტრირებული ... ქ-ის და ქ-ის კვეთასთან არსებული 630 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

ამასთან ერთად საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა ბათუმის მერიის 2003 წლის 8 მაისის 158 დადგენილება, რომლის თანახმად, ცვლილება იქნა შეტანილი ბათუმის მერიის კაბინეტის 1109 13.05.2002 წლის დადგენილებაში და «ა-სათვის» ... და ქუჩების კვეთასთან არსებული მიწის ნაკვეთის ნაცვლად «ა-ს» გამოეყო ... ქ.121-ში მიმდებარე 3200 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

ამდენად, აღნიშნული გარემოებების გაუთვალისწინებლად არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ ბათუმის მერიამ გამოყო სხვადასხვა მიწის ნაკვეთი.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 1993 წლის «ა.» დაფუძნებულია საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 26 აპრილის 220 დადგენილების საფუძველზე და წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც დღემდე არ არის გაუქმებული, ხოლო 2001 წელს შექმნილი «ა.» არ არის იურიდიული პირი და, ამდენად, ვერ იქნება მისი უფლებამონაცვლე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1512-ე მუხლის პირველი წინადადება, რომლის თანახმად, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები, როგორც იურიდიულ პირები, ჩაითვალოს გაუქმებულად 1997 წლის 25 ნოემბრიდან. აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები, იურიდიულ პირებად არ ითვლებიან. რაც შეეხება 2001 წლის 25 აპრილის ამხანაგობა «ა-ს» წევრებს შორის ურთიერთობები რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის 930-ე-940-ე მუხლებით.

აქედან გამომდინარე, არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ 1993 წელს დაარსებული ამხანაგობა, როგორც იურიდიული პირი, დღესაც მოქმედა.

ის გარემოება, რომ 2001 წლის 25 აპრილის 11 ოქმს ხელს აწერენ არაუფლებამოსილი პირები, რომელთა ამხანაგობის წევრობა არ დასტურდება, შეიძლება გახდეს მისი ბათილად ცნობის ერთ-ერთი წინაპირობა, მაგრამ გასათვალისწინებელია რიგი გარემოებები, რომლებიც არ იქნა შეფასებული სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. შესაძლებელია ამხანაგობაში შეყვანილი იყვნენ ასევე სხვა პირები, მაგრამ მათი ამხანაგობაში შეყვანის საფუძველი (კრების ოქმი, რომელიც წარმოადგენს მრავალმხრივ ხელშეკრულებას), უნდა შემოწმდეს კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის მიხედვით, რაც არ იქნა გამოყენებული სააპელაციო სასამართლოს მიერ, ასევე სააპელაციო სასამართლო არ იკვლევს, თუ რაში გამოიხატება 2001 წლის 25 აპრილის 11 ოქმს ბათილად ცნობის იურიდიული ინტერესი, რა სამართლებრივ შედეგს უკავშირებენ მოსარჩელები მისი ბათილად ცნობას და რამდენად გამომდინარეობს ეს შედეგი აღნიშნული ოქმის ბათილობიდან (სსსკ-ის 180-ე მუხლი).

ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად ჩატარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით 2001 წლის 25

აპრილის 11 ამხანაგობის კრება (ოქმი 12). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, რა იურიდიული ინტერესი გააჩნია მოსარჩელეს აღნიშნული ოქმის ბათილად ცნობისათვის. საქმეში არსებული მტკიცებულებებთან ერთობლიობაში უნდა შეფასდეს საქმეში არსებული რეესტრის ამონაწერი და მასში მითითებული საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლები და სწორად განსაზღვროს, თუ რომელი «ა.» არის მითითებული რეესტრის ამონაწერი.

სააპელაციო სასამართლომ შეფასება უნდა მისცეს ბათუმის მერიის 2006 წლის 13 ივნისს 1173 დადგენილებას და 2006 წლის 11 სექტემბრის მხარეთა მორიგების შესახებ სასამართლო განჩინებას და გამოიკვილოს, თუ იქნა ბათილად ცნობილი 2006 წლის 13 ივნისს 1173 დადგენილებით 2002 წლის 13 მაისის 1109 და 2003 წლის 8 მაისის 158 დადგენილებების ის ნაწილები, რომლითაც «ა-ს» გამოეყო მიწის ნაკვეთი, რომლის შემდეგ მხარეები მორიგდნენ და სადავო მიწის ნაკვეთზე მერიას აღარ გააჩნდა პრეტენზია, 2002 წლის 13 მაისის 1109 ბათილად ცნობის რა იურიდიული ინტერესი (სსსკ-ის 180-ე მუხლის თანახმად) გააჩნია მოსარჩელეს და ამ ნაწილში რამდენად არსებობს დავის საგანი.

რაც შეეხება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «ა-ს» თავმჯდომარე ჯ. ბ-ძის საკასაციო საჩივარში აღნიშნულ პრეტენზიაზე მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებებზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კასატორი არც ერთ სასამართლო ინსტანციაში არ უთითებდა მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხზე, მხოლოდ საკასაციო სასამართლოში ამ გარემოებებზე მითითება არ შეიძლება გახდეს მსჯელობის საგანი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ბათუმის საზღვაო სასწავლებლისა და სანაოსნოს მუშაკთა მრავალბინიანი ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «ა-ს» და ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

1ას-411-384-2010

4 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ ბრძანების გაუქმება, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება სამუშაოზე აღდგენამდე, იძულებითი განაცდურის გამო მიუღებელი ხელფასის 0,07%-ის გადახდა ყოველი დაყოვნებული დღისათვის

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ს-შვილმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოაპასუხე შპს «ე. ჯ-ს» მიმართ და მოითხოვა მისი სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ შპს «ე. ჯ-ს» დირექტორის 2009 წლის 10 მარტის 1109 ბრძანების გაუქმება, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება სამუშაოზე აღდგენამდე და მოპასუხისათვის, იძულებითი განაცდურის გამო მიუღებელი ხელფასის 0,07%-ის გადახდის დაკისრება ყოველი დაყოვნებული დღისათვის შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელის განმარტებით, 2009 წლის 9 იანვარს მოპასუხესთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, ყოველგვარი გამოსაცდელი ვადის გარეშე, ერთი წლის ვადით დაინიშნა ადამიანთა რესურსების მენეჯერად, თუმცა მუშაობის დაწყებიდან ორ თვეში, ყოველგვარი ახსნა-განმარტებების გარეშე გაათავისუფ-

ლეს სამსახურიდან შრომის ხელშეკრულების 5.1 პუნქტის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე ისე, რომ მისთვის არ მიუთითებიათ კონკრეტული გარემოებებსა და მტიკცებულებებზე, რაც გახდა მიზეზი მისი სამსახურიდან განთავისუფლებისა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი გახდა მისი მხრიდან ხშირი კონფლიქტი როგორც ადმინისტრაციასა და შვეე თანამშრომლებთან, ასევე კონფიდენციალური ცნობების გაცემა, შესაბამისად, იგი განთავისუფლდა შრომის ხელშეკრულების 5.1. პუნქტის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით, უფრო ზუსტად – «ა» ქვეპუნქტითა და შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის პირველი დეკემბრის გადაწყვეტილებით თ. ს-შვილის სარჩელი მოპასუხე შპს «ე. ჯ-ს» მიმართ არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის პირველი დეკემბრის გადაწყვეტილება, ამავე სასამართლოს 2009 წლის პირველი დეკემბრის (საოქმო) და 9 დეკემბრის განჩინებები სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ს-შვილმა, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით თ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის პირველი დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება – თ. ს-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა: გაუქმდა შპს «ე. ჯ-ს» დირექტორის 2009 წლის 10 მარტის 1109 ბრძანება და თ. ს-შვილი აღდგენილ იქნა საწარმოში ადამიანთა რესურსების მენეჯერის თანამდებობაზე; მოსარჩელეს აუნაზღაურდა იძულებით განაცდურის მიუღებელი ხელფასის 0,07% ყოველი დაყოვნებული დღისათვის.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს «ე. ჯ-სა» და თ. ს-შვილს შორის 2009 წლის 9 იანვრის ხელშეკრულების თანახმად, თ. ს-შვილი, როგორც ფსიქოლოგიის მაგისტრი და საკადრო საკითხებში მუშაობის საკმაო გამოცდილების მქონე, გამოსაცდელი ვადის გარეშე ერთი წლით დაინიშნა ადამიანთა რესურსების მენეჯერის თანამდებობაზე და ხელფასის ოდენობად განესაზღვრა 1375 ლარი;

სასამართლომ მიუთითა, რომ შრომის ხელშეკრულების 5.1 პუნქტი განსაზღვრავდა დამსაქმებლის უფლებას დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების ვადამდე მოშლის თაობაზე და ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში. 5.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დამსაქმებელს უფლება აქვს, ვადაზე ადრე შეწყვიტოს დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულება, თუ გამოვლინდა, რომ იგი არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას ან შესასრულებელ სამუშაოს არასაკმარისი კვალიფიკაციის, ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს; ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამსაქმებელს უფლება აქვს, ვადაზე ადრე შეწყვიტოს დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულება, თუ დასაქმებული არღვევს შრომის ხელშეკრულებას.

შპს «ე. ჯ-ს» დირექტორის 2009 წლის 10 მარტის 1109 ბრძანებით თ. ს-შვილი განთავისუფლებულ იქნა სამსახურიდან დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო კონტრაქტის 5.1 პუნქტის საფუძველზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრძანებაში მითითებული არ იყო შრომის კოდექსის არც ერთი ნორმა, რაც შეიძლება საფუძვლად დასდებოდა მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის სამსახურიდან განთავისუფლების მიზეზად შპს «ე. ჯ-ს» დირექტორმა თავად მოსარჩელეს მიუთითა შრომითი ხელშეკრულების 5.1. პუნქტის «ა» ქვეპუნქტზე, რაც აღნიშნა კიდევ სასამართლო სხდომაზე, თუმცა იმავე სხდომაზე მან განმარტა, რომ თ. ს-შვილი სამსახურიდან გათავისუფლდა 5.1. პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, მაგრამ უფრო – „ა“ ქვეპუნქტით. პირველი ინსტანციის სასამართლომ არათუ მიიღო მოპასუხე მხარის წარმომადგენლის მიერ ორაზროვნად განმარტებული ახალი ფაქტობრივი გარემოება (სავარაუდო მითითება ხელშეკრულების 5.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე), არამედ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე განთავისუფლდა მხარეთა შორის გაფორმებული შრომის ხელშეკრულების 5.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სარჩელზე უარის თქმა დასაბუთებული იყო სწორედ ამ თვალსაზრისით, რაც სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით განმტკიცებულ მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს ეწინააღმდეგებოდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს «ე. ჯ-ს», როგორც დამსაქმებლის, მიერ მოსარჩელის სამსახურიდან განთავისუფლების თაობაზე 2009 წლის 10 მარტის 1109 ბრძანებაში გამოვლენილი ნების იმგვარი განმარტება, როგორც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში იყო მოცემული, ეწინააღმდეგებოდა სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის მოთხოვნას, ვინაიდან აღნიშნა, რომ მოპასუხეს პირველი ინსტანციით საქმის განხილვის არც ერთ სტადიაზე, ფაქტობრივად, საეჭვოდ არ მიუჩნევია მის მიერ ბრძანებაში გამოხატული ნება – თ. ს-შვილის სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველი. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დაუსაბუთებელი იყო საქალაქო სასამართლოს ინიციატივა მხარის იმ ნების განმარტებისა, რომელსაც საეჭვოდ და ბუნდოვნად თვით მხარე არ მიიჩნევდა. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, შპს «ე. ჯ-ს» ნება წერილობითი ფორმით იყო გამოვლენილი, რაც გამორიცხავდა ნების გამოვლენის

შეცდომის ალბათობას, ვინაიდან ნების წერილობითი ფორმით გადმოცემისას ივარაუდება, რომ მხარე თავის სურვილს მხოლოდ შეგნებულად განსჯის შემდეგ გადმოსცემს.

იმის გათვალისწინებით, რომ სასარჩელო განცხადებაში თ. ს-შვილი სადავოდ ხდიდა სამსახურიდან მისი განთავისუფლების შესახებ ბრძანების ფაქტობრივ საფუძველად მითითებულ გარემოებას (დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობა) და აღნიშნავდა, რომ მოპასუხემ არათუ ამ ბრძანების გამოცემამდე, არამედ შემდეგშიც ვერ მიუთითა, თუ რაში გამოიხატა დაკავებულ თანამდებობასთან მისი შეუსაბამობა და რით იყო ეს გამოწვეული – არასაკმარისი კვალიფიკაციით, თუ ჯანმრთელობის მდგომარეობით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ასეთ პირობებში მტკიცების ტვირთი პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა დაეკისრებინა მოპასუხე შპს „ე. ჯ-სათვის“, რომელსაც სათანადო მტკიცებულებებით უნდა დაედასტურებინა, რომ სადავო ბრძანებაში მითითებული ფაქტი სინამდვილეს შეესაბამებოდა, რაც მოპასუხემ ვერ განახორციელა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ განთავისუფლების ფაქტობრივი საფუძვლის გარდა, პირველი ინსტანციის სასამართლომ თავისი შეხედულებით ისე დაადგინა შრომითი ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივ საფუძველად საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, რომ არანაირი სამართლებრივი შეფასება არ მიუცია სამუშაოდან განთავისუფლების ბრძანებაში ასეთი საფუძვლის არარსებობაზე, ისე, რომ მუშაკის განთავისუფლების ბრძანებაში არ ასახულა ხელშეკრულების მოშლის კონკრეტული საფუძველი.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული ბრძანებით ვერ დგინდებოდა მოსარჩელის სამსახურიდან განთავისუფლების კონკრეტული სამართლებრივი საფუძველი, ხოლო ფაქტობრივ საფუძველად მითითებული გარემოება საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე სამუშაოდან განთავისუფლდა კანონდარღვევით, რის გამოც აღნიშნულის თაობაზე მოპასუხის მიერ გამოცემული ბრძანება უნდა გაუქმებულიყო.

საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 32-ე მუხლის პირველი ნაწილის, სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 411-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თ. ს-შვილი უნდა აღდგენილიყო შპს „ე. ჯ-ში“ ადამიანთა რესურსების მენეჯერის თანამდებობაზე, მასვე უნდა ანაზღაურებოდა იძულებით განაცდური დროის ხელფასი სამსახურში აღდგენამდე და, იძულებით განაცდურის გამო – მიუღებელი ხელფასის 0,07% ყოველი დაყოვნებული დღისათვის.

სააპელაციო საჩივარი საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 1-ლი დეკემბრის და 9 დეკემბრის განჩინებების გაუქმების ნაწილში, სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია, ვინაიდან ჩათვალა, რომ საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდნენ კანონით გათვალისწინებულ წინაპირობებს ამ განჩინებების გასაუქმებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ე. ჯ-მ“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით შპს „ე. ჯ-ს“ დირექტორის 2009 წლის 10 მარტის 1109 ბრძანების კანონიერად ცნობა. გარდა ამისა, იმ ახსნა-განმარტებებზე მსჯელობა, რომლებიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის პირველი დეკემბრის სასამართლო სხდომის ოქმში შემდეგი საფუძველებით: კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში თავი აარიდა, არ იმსჯელა და სწორად არ შეაფასა მოწმეთა ჩვენებები იმ ფაქტზე, რომ თ. ს-შვილის საქმიანობა არაობიექტური და ტენდენციური იყო. ამასთან, მოპასუხის განთავისუფლება სამუშაოდან არ იყო კანონდარღვევა, ვინაიდან მითითებული ხელშეკრულება სწორედ მხარეთა შორის თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგი იყო და მისი არც ერთი პუნქტი არ ეწინააღმდეგებოდა შრომით კანონმდებლობას. კასატორის მოსაზრებით, მხარეთა შორის ურთიერთობა მოწესრიგებული იყო ერთწლიანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც მოქმედებდა 2009 წლის 31 დეკემბრამდე და სასამართლოს მიერ მისი აღდგენის მოთხოვნა 2010 წლის აპრილში შეუძლებელი და უკანონო იყო, ისევე, როგორც 2010 წლის იანვრიდან მისთვის განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ე. ჯ-ს“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება და მოსარჩელე თ. ს-შვილის სამუშაოზე აღდგენის ნაწილში გამოტანილ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, ხოლო დანარჩენ ნაწილში განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ შპს „ე. ჯ-ს“ დირექტორის 2009 წლის 10 მარტის 1109 ბრძანებით თ. ს-შვილი განთავისუფლებულ იქნა სამსახურიდან დაკავებულ თანამდებობიდან შეუსაბამობის გამო კონტრაქტის 5.1. პუნქტის საფუძველზე. სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ბრძანებაში მითითებული არ არის შრომის კოდექსის არც ერთი ნორმა, რაც შეიძლება საფუძველად დასდებოდა მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხოლოდ ფაქტების და არა სამართლებრივი საკითხების დამტკიცება შესაძლებელი და აუცილებელი. კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება მოსარჩელის განთავისუფლების ბრძანებაში მითითებულ ფაქტობრივ საფუძველს, ე.ი. რომელი ფაქტები მიუთითებენ მისი განთავისუფლების შესახებ, შესაბამისად, აღნიშნული ფაქტების იურიდიული მნიშვნელობა უნდა შემოწმდეს შესაბამისი სამართლის ნორმის საფუძველზე. კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, რომ თ. ს-შვილი განთავისუფლეს სამსახურიდან დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო კონტრაქტის 5.1. პუნქტის საფუძველზე. ის გარემოება, რომ ბრძანებაში არ არის მითითებული კონკრეტული სამართლის ნორმა, იმ პირობებში როდესაც მითითებულია განთავისუფლების ფაქტი (საფუძველი), არ შეიძლება გახდეს ბრძანების უპირობოდ გაუქმების საფუძველი. ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, თუ რაში გამოიხატება «თანამდებობასთან შეუსაბამობა», ხოლო შემდეგ აღნიშნული გარემოებები უნდა შეფასდეს სამართლებრივად.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოპასუხე ორგანიზაცია წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელსაც გააჩნია გარკვეული ეკონომიკური ინტერესები, რომლის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მის მიერ დაქირავებული პირები. აღნიშნული ფაქტორი აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული იმისათვის, რომ მართებულად შეფასდეს, თუ რა იგულისხმება კონკრეტულ შემთხვევაში თ. ს-შვილის თანამდებობასთან შეუსაბამობაში.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოპასუხის ინიციატივით სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმეთა ჩვენებებით არ დასტურდება მოსარჩელის შეუსაბამობა დაკავებულ თანამდებობასთან, თუმცა გადაწყვეტილებით არ ირკვევა სააპელაციო სასამართლოს შეფასების წინაპირობები, რაც ასეთი დასკვნის საფუძველი გახდა.

ამასთან მიმართებაში საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მითითებული მოსაზრება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ შეუძლებელია მის სამართლებრივი საფუძველების შემოწმება (სსსკ-ის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტი). კერძოდ, კასატორი აპელირებს პირველ ინსტანციის სასამართლოში დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებზე, რომლებიც მიუთითებენ თ. ს-შვილის დამოკიდებულებაზე ამავე ორგანიზაციის სხვა თანამშრომლებთან. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება იმ ფუნქციონალურ ვალდებულებებს, რაც ეკისრებოდა თ. ს-შვილს, როგორც ადამიანის რესურსების მენეჯერს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უნდა სათანადოდ შეაფასოს სასამართლოში დაკითხულ მოწმეთა ჩვენებები საქმეში არსებულ სხვა მასალებთან ერთობლიობაში (სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი) და გამოიკვილოს თ. ს-შვილის მიერ დაკავებული თანამდებობის სპეციფიკის გათვალისწინებით რამდენად დასტურდება მოსარჩელის ბრალით მოპასუხე ორგანიზაციაში თანამშრომლებს შორის ურთიერთობების გამწვავების ფაქტი. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ფაქტებს ჰქონდა ადგილი და აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება დაედო საფუძველად მის თანამდებობიდან განთავისუფლებას, სასამართლო ვალდებულია, თვითონ შეაფასოს ეს ფაქტები სამართლებრივად.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეთა შორის შრომითი კონტრაქტი დადებულია 2009 წლის 9 იანვარს ერთი წლის ვადით და ძალაშია 2010 წლის 9 იანვრამდე. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატის აზრით, მოსარჩელე თ. ს-შვილის მოთხოვნა თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძველს მოკლებულია და ამ ნაწილში მის მოთხოვნის დაკმაყოფილებას უნდა ეთქვას უარი.

სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული მითითებების გათვალისწინებით უნდა იმსჯელოს მოსარჩელის დანარჩენ მოთხოვნებთან მიმართებით და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება (განჩინება).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილია დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს «ე. ჯ-ს» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება და მოსარჩელე თ. ს-შვილის სამუშაოზე აღდგენის ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. თ. ს-შვილი სარჩელი სამუშაოზე აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
4. დანარჩენ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;
5. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

1ას-438-410-2010

9 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: თანხის გადახდის სანაცვლოდ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა, გაწეული ხარჯების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 20 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართეს მ. მ-შვილმა და მ. დ-ძემ მოპასუხე ნ. ქ-ავას მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს თანხის გადახდის სანაცვლოდ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა, აგრეთვე, მ. მ-შვილის, როგორც მოსარგებლის, მიერ საცხოვრებელ სადგომზე განხორციელებული მიშენება-დაშენების და არსებითი გაუმჯობესების ხარჯების ანაზღაურება 5 000 აშშ დოლარის ოდენობით. სარჩელის საფუძველად მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ ისინი რეგისტრირებული იყვნენ სადავო ფართში, მ. მ-შვილი იხდიდა კომუნალურ გადასახადებს, ამასთან, იგი სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებული იყო სადავო ბინის მართლობიერ მფლობელად. აღნიშნულ ბინაზე გაწეული ჰქონდათ გაუმჯობესებების ხარჯები.

მოპასუხე ნ. ქ-ავამ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სადავო ბინის თავდაპირველ მესაკუთრესა და მოსარჩელებს შორის გარიგება არ მომხდარა და მათ შორის არ არსებობდა «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონით მოწესრიგებული ურთიერთობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით მ. მ-შვილისა და მ. დ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისში, ... ქ. 13-ში მდებარე 148 ბინა შედიოდა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივ «ვაკე 115-ის» ფონდში;

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივ «ვ.-ს» წევრი იყო ქ. ტ-ძე;

1996 წლის ივლისში ქ. ტ-ძის სახელზე განხორციელდა თბილისში, ... ქ. 13-ში მდებარე 148 ბინის პრივატიზაცია, რითაც იგი გახდა ამ ბინის მესაკუთრე;

მ. მ-შვილი იყო ქ. ტ-ძის დისშვილი;

მ. მ-შვილი 1982 წლიდან რეგისტრირებული იყო თბილისში, ... ქ. 13-ში მდებარე 148 ბინაში;

თბილისში, ... ქ. 13-ში მდებარე 148 ბინაში მ. მ-შვილის, როგორც ქ. ტ-ძის დისშვილის რეგისტრაცია განხორციელდა ამ უკანასკნელის ნების საფუძველზე;

მ. დ-ძე 1982 წლიდან რეგისტრირებული იყო თბილისში, ... ქ. 13 კორპუსში მდებარე 148 ბინაში;

თბილისში, ... ქ. 13-ში მდებარე 148 ბინაში მცხოვრები მ. მ-შვილი 1999 წლიდან რეგისტრირებული იყო სს «თელასის» აბონენტად;

მ. მ-შვილმა დროის სხვადასხვა პერიოდში გაიღო თბილისში, ... ქ. 13-ში მდებარე ქონების მოვლისა და გაუმჯობესების ხარჯები;

თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 6 აგვისტოს განჩინებით დამტკიცდა მორიგება ქ. ტ-ძესა და მ. მ-შვილს შორის, რომლითაც თბილისში, ... ქ. 13 კორპუსში მდებარე 148 ბინაში სასტუმრო ოთახი საცხოვრებლად გამოეყო ქ. ტ-ძეს, ხოლო საძინებელი – მ. მ-შვილს, საერთო სათავსები დარჩა საერთო სარგებლობაში;

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით მ. მ-შვილი აღიარებულ იქნა თბილისში, ... ქ. 13 კორპუსში მდებარე 148 ბინის მართლობიერ მფლობელად, იმავდროულად არ დაკმაყოფილდა ქ. ტ-ძის სარჩელი მ. მ-შვილის თანმხლებ პირებთან ერთად ბინიდან გამოსახლების თაობაზე და მ. მ-შვილის შეგებებული სარჩელი ბინის მესაკუთრედ ცნობის შესახებ;

2001 წლის 13 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით ნ. ქ-ავამ შეიძინა თბილისში, ... ქ. 13 კორპუსში მდებარე ბინა 148;

თბილისში, ... ქ. 13-ში მდებარე 148 ბინაზე აღრიცხული იყო ნ. ქ-ავას საკუთრების უფლება, რაც დადგინდა 2009 წლის 27 იანვრის საჯარო რეესტრის ამონაწერის საფუძველზე.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის 1¹ მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, მოსარგებლე არის პირი, რომელიც კანონის მიღების მომენტისათვის კეთილსინდისიერად კანონიერად ფლობს საცხოვრებელ სადგომს მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ან მფლობელობის უფლება მიღებული აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით. ამდენად, მოსარგებლესა და მესაკუთრეს შორის არსებული ურთიერთობის განსაზღვრისას აუცილებელ პირობას წარმოადგენს მხარეთა შორის გარიგების არსებობა. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, მ. მ-შვილი და მ. დ-მე 1982 წლიდან რეგისტრირებული იყვნენ სადავო ბინაში და მ. მ-შვილს ბინის გაუმჯობესებისა და მოვლის მიზნით გაწეული ჰქონდა სხვადასხვა ხარჯი, მაგრამ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ბინის თავდაპირველი მესაკუთრის მიერ მ. მ-შვილის საცხოვრებელ სადგომში ჩაწერა განხორციელდა როგორც მისი ნათესავის და არა დათმობის გარიგების საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ მათ შორის არსებული ურთიერთობა განმარტა არა როგორც საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის გარიგების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობა, არამედ – როგორც ერთი ოჯახის წევრებს შორის არსებული ურთიერთობა.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, ის გარემოება, რომ თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 6 აგვისტოს განჩინებით ქ. ტ-მესა და მ. მ-შვილს შორის დამტკიცებული მორიგების თანახმად, მ. მ-შვილს სადავო ბინიდან საცხოვრებლად გამოეყო გარკვეული ფართი, არ ნიშნავდა, რომ აღნიშნული მორიგების აქტი შეიძლებოდა მიჩნეულიყო «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონით გათვალისწინებული გარიგების ერთ-ერთ სახედ. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ სასამართლოს განჩინება მიღებულ იქნა 1996 წლის 6 აგვისტოს, ხოლო ზემოაღნიშნული კანონის პირველი მუხლის თანახმად, ეს კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 ივნისამდე წარმოშობილ იმ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ მხარეთა შორის მიღწეული მორიგება ჩათვლებოდა უკვე არსებული ურთიერთობის ახლებურად მოწესრიგების საფუძველად იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მორიგება მიღწეულ იქნა 1996 წლის 6 აგვისტოს და არა «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონით გათვალისწინებული დროის მონაკვეთში, ე.ი. 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 ივნისამდე, მოსარჩელები არ შეიძლება მიჩნეულიყვნენ «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონით გათვალისწინებულ მოსარგებლებად. შესაბამისად, მათი მოთხოვნა სათანადო ანაზღაურების (დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 25%) სანაცვლოდ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ უსაფუძვლო იყო.

გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ მიუთითა «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონის მე-6 მუხლზე, რომლის თანახმად, მესაკუთრე, რომელიც მოსარგებლეს მოსთხოვს ნივთზე მფლობელობის შეწყვეტას, ვალდებულია აუნაზღაუროს მოსარგებლეს მის მიერ განხორციელებული მიშენება-დაშენების ან/და არსებითი გაუმჯობესების ხარჯები საბაზრო ღირებულების სრული ოდენობით. ამავე კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოსარგებლე უფლებამოსილია მესაკუთრის თანხმობის გარეშე განახორციელოს ქონებაზე გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული კაპიტალური რემონტი. მესაკუთრის ინიციატივით გარიგების მოშლის შემთხვევაში მოსარგებლეს აქვს ჩატარებული სარემონტო სამუშაოებისათვის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება. კანონის დასახელებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ კომპენსაციის უფლება წარმოიშობოდა, თუკი იარსებებდა «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონით განსაზღვრული ურთიერთობა, ხოლო ვინაიდან მოსარჩელებსა და მოპასუხეს შორის არ არსებობდა ზემოაღნიშნული ურთიერთობა, ამდენად, სარჩელის მოთხოვნა ამ ნაწილში არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. მ-შვილმა და მ. დ-მემ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. მ-შვილისა და მ. დ-მის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება გაუქმდა იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მ. მ-შვილისა და მ. დ-მის სარჩელი ნ. ქ-ავასადმი 5 000 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, მ. მ-შვილისა და მ. დ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ნ. ქ-ავას მოსარჩელების სასარგებლოდ დაეკისრა 5 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა; დანარჩენ ნაწილში მ. მ-შვილისა და მ. დ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ არსებითად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, აგრეთვე მათი სამართლებრივი შეფასება.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, თავად მხარეები განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს. სასამართლოს, როგორც წესი, არა აქვს უფლება, თავად გამოითხოვოს მტკიცებულებები და შეზღუდულია მხარეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით. ამავე დროს სასამართლო სამსახურებრივად ვალდებულია (ეხ ოფფიცო), მიუხედავად მხარეთა მოსაზრებებისა, სამართლებრივად თავად შეაფასოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისგან თავის შეკავებაშიც. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველებიდან.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ აპელანტები მ. მ-შვილი და მ. დ-მე არ წარმოადგენდნენ «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოსარგებლებს. აღნიშნული კანონის 1¹ მუხლის «ა» პუნქტის თანახმად, მოსარგებლე არის პირი, რომელიც კანონის მიღების მომენტისათვის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობს საცხოვრებელ სადგომს მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ან მფლობელობის უფლება მიღებული აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით. მოცემულ შემთხვევაში მოდავე მხარეებს შორის ადგილი არ ჰქონია კანონით გათვალისწინებულ გარიგებას, რომელიც კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ აპელანტისთვის სადავო ფართის საკუთრებაში გადაცემის საფუძველი გახდებოდა. ამ შემთხვევაში არსებობდა მარტოოდენ ნათესაური შეთანხმება, იმის თაობაზე, რომ მ. მ-შვილი და მ. დ-მე ისარგებლებდნენ ბინით. მართალია, ნათესაური კავშირი არ გამოიხატავს ზემოთ დასახელებული გარიგების დადების შესაძლებლობას, მაგრამ საქმის მასალებიდან მისი არსებობა არ დგინდებოდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად არ მიიჩნია ვაკის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 6 აგვისტოს მორიგების აქტი «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონით გათვალისწინებული გარიგების ერთ-ერთ სახედ. ვაკის სასამართლოს მითითებული განჩინებით ქ. ტ-ძესა და მ. მ-შვილს შორის დამტკიცებული მორიგების თანახმად, მ. მ-შვილს სადავო ბინიდან საცხოვრებლად გამოეყო გარკვეული ფართი, თუმცა აღნიშნული მორიგების აქტი არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონით გათვალისწინებული გარიგების ერთ-ერთ სახედ, რადგან სასამართლოს განჩინება მიღებულ იქნა 1996 წლის 6 აგვისტოს, ხოლო «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონის პირველი მუხლის თანახმად, ეს კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 ივნისამდე წარმოშობილ სამართალურთიერთობებს.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში დგინდებოდა, რომ აპელანტებსა და თავდაპირველ მესაკუთრეს (ქ. ტ-მე) შორის არ წარმოშობილა სამართლებრივი ურთიერთობა გარიგების სახით და შესაბამისად მხარეთა შორის არც სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობებს ჰქონდა ადგილი, მ. მ-შვილს სადავო ქონებაზე გაწეული ხარჯები უნდა ანაზღაურებოდა სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პირს, რომელმაც შეგნებულად ან შეცდომით გასწია ხარჯები მეორე პირის ქონებაზე, შეუძლია მისგან მოითხოვოს თავისი დანახარჯების ანაზღაურება, თუ მეორე პირი ამით გამდიდრდა. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ნ. ქ-ავას უნდა დაკისრებოდა ბინის მოვლასა და გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯების 5 000 აშშ დოლარის ოდენობით ანაზღაურება მ. მ-შვილისა და მ. დ-მის სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მ. მ-შვილმა და მ. დ-მემ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მათი სააპელაციო საჩივარი თანხის გადახდის სანაცვლოდ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ და ახალი გადაწყვეტილებით აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება.

კასატორები მიიჩნევენ, რომ სასამართლოს მოცემულ შემთხვევაში უნდა გამოეყენებინა კანონი «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ».

კასატორთა მითითებით, საქმის მასალებით დგინდება, რომ მ. მ-შვილს საკუთარი სახსრებით შეჰქონდა წვლილი სადავო სახლის მოვლა-პატრონობაში. თავის დროზე ბინა ირიცხებოდა ქ. ტ-მის სახელზე. ბინა იყო კოოპერატიული. მ. მ-შვილი წარმოადგენდა კოოპერატივი «ვ.-ს» წევრს, რასაც ცხადყოფს მობინადრეთა

კრების ოქმი 18. ბინის მშენებლობაში მონაწილეობა მიიღო მ. მ-შვილის დედამ – ე. ტ-მემ. ამ უკანასკნელმა საცხოვრებელი ბინის გაყიდვის შედეგად ე. ტ-მეს გადასცა 4 500 მანეთი კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში შეტანის მიზნით. ე. ტ-მის გარდაცვალების შემდეგ მ. მ-შვილსა და ე. ტ-მეს შორის წარმოიშვა დავა, რომელიც დამთავრდა მორიგებით. მორიგება დამტკიცდა ვაკის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 6 აგვისტოს განჩინებით, რის შემდეგაც მ. მ-შვილს გამოეყო 14კვ.მ საძინებელი ოთახი, დამხმარე ფართი დარჩა საერთო სარგებლობაში. ამდენად, ე. ტ-მესა და მ. მ-შვილს შორის ურთიერთობა წარმოიშვა 1996 წლის 6 აგვისტომდე. შესაბამისად, კასატორები მიიჩნევენ, რომ მხარეთა შორის ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონით, რაც სააპელაციო სასამართლოს არ გამოუყენებია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აგრეთვე ნ. ქ-ავამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი აღნიშნავს, რომ იგი, როგორც სადავო ბინის მესაკუთრე, არ მოლაპარაკებია მოპასუხე მ. მ-შვილს ქირაზე და არც თხოვებზე. მან წინადადება მისცა მოპასუხეს, რომ შეეწყვიტა ბინის არამართლზომიერი ხელყოფა. ამ დროიდან მოყოლებული მ. მ-შვილმა იცის, რომ ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ფლობს სხვის უძრავ ნივთს, ამიტომ მის მიერ სხვის ქონებაზე შეცდომით გაწეულ ხარჯზე საუბარი არასწორია, ხოლო თუ რაიმე ხარჯი შეგნებულად გასწია, ბუნებრივია, ეს მხოლოდ ის ხარჯი იქნებოდა, რაც ბინაში ცხოვრებისთვის იყო აუცილებელი. რაც შეეხება მ. დ-მეს, მას სადავო სამართალურთიერთობასთან შემხებლობა არ გააჩნია, რადგან გათხოვილია და თავის მეუღლესა და შვილებთან ერთად 1996 წლიდან ფაქტობრივად ცხოვრობს მის მიერვე დასახელებულ მისამართზე. კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ, თუკი მის მიერ ბინის ყიდვამდე მ. მ-შვილმა რაიმე ხარჯი გასწია ბინის გასაუმჯობესებლად, ეს შევიდა იმ საბაზრო ღირებულებაში, რაც მიიღო გამყიდველმა მყიდველისგან და მ. მ-შვილს უფლება აქვს, ედავოს ბინის გამყიდველს ან მის კანონიერ მემკვიდრეს. ე. ტ-მის კანონიერი მემკვიდრე კი გახლავთ თავად მ. მ-შვილი, რომელმაც დაეუფლა ე. ტ-მის მოძრავ ნივთებს და თან წაიღო, როდესაც იგი სადავო ბინიდან გაასახლეს.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მ. მ-შვილმა და მ. დ-მემ იშუამდგომლეს საქმეზე საპროცესო უფლებამონაცვლეობის დადგენა, კერძოდ, ნ. ქ-ავას ნაცვლად მოპასუხედ მისი საპროცესო უფლებამონაცვლის – ნ. შ-იას ჩაბმა. ისინი განმარტავენ, რომ ნ. ქ-ავამ თბილისში, ... ქ. 13-ში მდებარე 148 ბინა გაასხვისა ნ. შ-იას და დღეს აღნიშნული ბინის მესაკუთრედ რეგისტრირებულია ეს უკანასკნელი. შესაბამისად, არსებობს უფლებამონაცვლეობის დადგენის საფუძველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-შვილისა და მ. დ-მის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ნ. ქ-ავას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმ ნაწილში, რომ სადავო სამართალურთიერთობა არ არის წარმოშობილი «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონის საფუძველზე. აღნიშნული კანონის 1¹ მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, მოსარგებლე არის პირი, რომელიც კანონის მიღების მომენტისათვის კეთილსინდისიერად კანონიერად ფლობს საცხოვრებელ სადგომს მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ან მფლობელობის უფლება მიღებული აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით.

საქმის მასალებით არ დგინდება, რომ მ. მ-შვილი სადავო ბინას ფლობს მის თავდაპირველ მესაკუთრესთან, ე. ტ-მესთან საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების საფუძველზე, ან აღნიშნული ბინის მფლობელობის უფლება მიღებული აქვს ადმინისტრაციული აქტით.

საქმეზე დადგენილია, რომ თბილისში, ... ქ. 13 კორპუსში მდებარე 148 სადავო ბინის თავდაპირველ მესაკუთრეს წარმოადგენდა ე. ტ-მე. მ. მ-შვილი იყო ე. ტ-მის დისშვილი, რომელიც 1982 წლიდან რეგისტრირებული იყო მითითებულ ბინაში. ამასთან, მ. მ-შვილი 1999 წლიდან დასახელებულ მისამართზე რეგისტრირებული იყო სს «თელასის» აბონენტად. მ. მ-შვილის, როგორც ე. ტ-მის დისშვილის რეგისტრაცია განხორციელდა ამ უკანასკნელის ნების საფუძველზე. საქმის მასალებით არ დგინდება, რომ მოცემულ შემთხვევაში მათ შორის ადგილი ჰქონდა კანონით გათვალისწინებულ გარიგებას, რომელიც კომპენსაციის გადახდის საწინააღმდეგოდ მ. მ-შვილისათვის სადავო ფართის საკუთრებაში გადაცემის საფუძველი გახდებოდა. ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ნათესაურ შეთანხმებას ბინით სარგებლობის თაობაზე. ამდენად, მხოლოდ ის გარემოება, რომ მ. მ-შვილი 1982 წლიდან რეგისტრირებული იყო სადავო ბინაში და იხდოდა ამ მისამართზე ელექტროენერგიის გადასახადს, არ ასაბუთებს მხარეთა შორის «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონიდან გამომდინარე ურთიერთობის არსებობას.

«საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონით გათვალისწინებული ურთიერთობის არსებობას ასევე ვერ ასაბუთებს ვაკის რაიონის სასამართლოს

1996 წლის 6 აგვისტოს განჩინება, რომლითაც ქ. ტ-ძესა და მ. მ-შვილს შორის დამტკიცდა მორიგება თბილისში, ... ქ. 13 კორპუსში მდებარე 148 ბინის თაობაზე. სასამართლოს დასახელებული განჩინება მიღებულია 1996 წლის 6 აგვისტოს, ხოლო «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონის პირველი მუხლის თანახმად, ეს კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 ივნისამდე წარმოშობილ სამართალურ ურთიერთობებს. ამდენად, სასამართლოს ზემოაღნიშნულ განჩინებაზე დაყრდნობით მ. მ-შვილი და მ. დ-ძე ვერ მიიჩნევიან «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოსარგებლეებად. გარდა ამისა, აღნიშნული მორიგება თავისი არსით არის ნათესაური შეთანხმება და იგი არ შეიცავს კანონით გათვალისწინებულ საცხოვრებელი სადგომის დათმობის ელემენტებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. მ-შვილისა და მ. დ-ძის შუამდგომლობა საპროცესო უფლებამონაცვლეობის დადგენის შესახებ ასევე არ უნდა დაკმაყოფილდეს, რამდენადაც «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონიდან წარმოშობილი ურთიერთობის არსებობა საქმეზე არ დგინდება, რაც საფუძველს აცლის აღნიშნულ შუამდგომლობას.

რაც შეეხება მ. მ-შვილის მოთხოვნას გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებელი გადაწყვეტილება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის 11 ქვეპუნქტის თანახმად გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ხარჯების გაწევის ფაქტი დადგენილია საქმეში განთავსებულ მტკიცებულებებზე ზოგადი მითითების საფუძველზე. აღნიშნული მტკიცებულებები სააპელაციო სასამართლოს კონკრეტულად არ გამოუკვლევიან და არ დაუდგენია, რომელი მათგანი ადასტურებს, თუ რა კონკრეტული სამუშაოები შესრულდა მ. მ-შვილის მიერ, რა იყო თითოეული სამუშაოს ღირებულება და საიდან შეადგინა ამ სამუშაოების საერთო ღირებულებამ 5000 აშშ დოლარი. სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა დაადგინოს შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები და იმსჯელოს, რა სამართლებრივი საფუძველით შეიძლება ჰქონდეს მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება, ასევე, უნდა დაეკისროს თუ არა ნ. ქ-ავას მ. მ-შვილის მიერ ქ. ტ-ძის მესაკუთრეობის პერიოდში ბინაზე გაწეული ხარჯები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. ქ-ავასათვის მ. მ-შვილისა და მ. დ-ძის სასარგებლოდ 5 000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში საკასაციო სასამართლო აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და ამ ნაწილში საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

მ. მ-შვილისა და მ. დ-ძის შუამდგომლობა საპროცესო უფლებამონაცვლეობის დადგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

მ. მ-შვილისა და მ. დ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

ნ. ქ-ავას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება გაუქმდეს ნ. ქ-ავასათვის მ. მ-შვილისა და მ. დ-ძის სასარგებლოდ გაწეული ხარჯის – 5 000 აშშ დოლარის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

1ას-516-484-2010

9 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: განსაკუთრებულ სამუშაო პირობებში მომუშავე დასაქმებულთა ძირითად ხელფასზე დანამატის განსაზღვრა, განსაკუთრებულ სამუშაო პირობებში მომუშავე დასაქმებულთათვის დანამატის გადახდა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 31 მარტს ...-ს მუშაკთა პროფესიულმა კავშირმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე შპს «...-ს» (შემდგომში შპს «...») მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა:

ა) მოპასუხისათვის განსაკუთრებულ სამუშაო პირობებში მომუშავე დასაქმებულთა რაოდენობის განსაზღვრის დავალება;

ბ) მოპასუხისათვის განსაკუთრებულ სამუშაო პირობებში მომუშავე დასაქმებულთა ძირითად ხელფასზე დანამატის განსაზღვრის დავალება არანაკლებ **100** ლარის ოდენობით;

გ) განსაკუთრებულ სამუშაო პირობებში მომუშავე დასაქმებულთათვის დანამატის გადახდა **2009 წლის 1** იანვრიდან.

სარჩელის თანახმად, **2008 წლის 25** თებერვალს შპს «...-სა» და თბილისის მეტოპოლიტენის მუშაკთა პროფესიულ კავშირს შორის გაფორმდა კოლექტიური შეთანხმება, რომლითაც შპს «...-მ» იკისრა ვალდებულება, **2008 წლის მე-4** კვარტალში მოეხდინა განსაკუთრებულ პირობებში მომუშავე დასაქმებულთათვის ძირითად ხელფასზე დანამატის ოდენობის განსაზღვრა და მისი გადახდა. მოსარჩელე ვალდებულების შესრულების მოთხოვნით სისტემატურად მიმართავდა შპს «...-ს» ადმინისტრაციას, კერძოდ, აღნიშნული მოთხოვნით მიმართა **2008 წლის 25** სექტემბრის, **2008 წლის 18** ნოემბრის, **2008 წლის 25** დეკემბრის, **2009 წლის 23** იანვრისა და **2009 წლის 27** თებერვლის წერილებით, თუმცა ადმინისტრაცია თავს არიდებდა პრობლემის გადაჭრას. **2009 წლის 27** თებერვლის წერილის პასუხად **2009 წლის 11** მარტის წერილით შპს «...-მ» განმარტა, რომ ძირითად ხელფასზე დანამატის ოდენობის განსაზღვრის ვალდებულების შესრულების საკითხზე ადრესატს აცნობებდა **2009 წლის მე-2** კვარტლიდან. ამდენად, მოპასუხემ უარი განაცხადა სახელშეკრულებო ვალდებულებაზე, რომელიც შეეხებოდა დანამატის **2008 წლის მე-4** კვარტლიდან განსაზღვრასა და გადახდას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009 წლის 25** სექტემბრის გადაწყვეტილებით ...-ს მუშაკთა პროფესიული კავშირის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს «...-ს» დაევალა განსაკუთრებულ სამუშაო პირობებში მომუშავე დასაქმებულთა რაოდენობის განსაზღვრა, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე უდავოდ დადგინდად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ **2008 წლის 25** თებერვალს შპს «...-სა» და ...-პოლიტენის მუშაკთა პროფესიულ კავშირს შორის დაიდო შეთანხმება, რომლის **3.13** პუნქტით შპს «...-მ» ვალდებულება იკისრა, **2008 წლის მე-4** კვარტალში განესაზღვრა განსაკუთრებულ სამუშაო პირობებში მომუშავე დასაქმებულთათვის ძირითად ხელფასზე დანამატის ოდენობა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის **2009 წლის 29** ივნისის '13671/01-01 ბრძანების თანახმად, შპს «...-ს» შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა შპს «...».

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის მოთხოვნა, რომელიც შეეხებოდა თბილისის სატრანსპორტო კომპანიისათვის განსაკუთრებულ სამუშაო პირობებში მომუშავე დასაქმებულთა რაოდენობის განსაზღვრას, დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა, რამდენადაც **2008 წლის 25** თებერვლის ხელშეკრულებით შპს «...-მ» ვალდებულება იკისრა, **2008 წლის მე-4** კვარტალში მოეხდინა განსაკუთრებულ სამუშაო პირობებში მომუშავე დასაქმებულთათვის ძირითად ხელფასზე დანამატის ოდენობის განსაზღვრა, აღნიშნული ვალდებულებით კი მან ფაქტობრივად აღიარა საწარმოში განსაკუთრებულ სამუშაო პირობებში მომუშავე დასაქმებულთა რაოდენობის განსაზღვრის ვალდებულება.

რაც შეეხებოდა მოთხოვნებს განსაკუთრებულ სამუშაო პირობებში მომუშავე დასაქმებულთათვის ძირითად ხელფასზე დანამატის სახით **100** ლარის განსაზღვრისა და განსაკუთრებულ სამუშაო პირობებში მომუშავე დასაქმებულთათვის **2009 წლის 1** იანვრიდან დანამატის გადახდის შესახებ, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ **2008 წლის 25** თებერვლის ხელშეკრულებით განსაზღვრული არ იყო განსაკუთრებულ სამუშაო პირობებში მომუშავე დასაქმებულთათვის ძირითად ხელფასზე დანამატის ოდენობა და არც მისი გაცემის წესი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის **361-ე** მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამავე კოდექსის **317-ე** მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მოწინააღმდეგეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველებიდან.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ შპს «თბილისის სატრანსპორტო კომპანიისათვის» სარჩელით მოთხოვნილი თანხის დაკისრების საფუძველი არ არსებობდა. აღნიშნულთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ 2008 წლის 25 თებერვალს დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული არ იყო განსაკუთრებულ სამუშაო პირობებში მომუშავე დასაქმებულთათვის ძირითად ხელფასზე დანამატის ოდენობა და არც მისი გაცემის წესი. ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, საწარმო ვალდებული იყო, 2008 წლის მე-4 კვარტალში განეხორციელებინა დანამატის ოდენობის განსაზღვრა, თუმცა ხელშეკრულება არ მიუთითებდა, დროს რა პერიოდიდან იქნებოდა საწარმო ვალდებული, გაეცა შესაბამისი თანხა.

მითითებული გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ...-ს მუშაკთა პროფესიულმა კავშირმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2010 წლის 24 მარტის სასამართლო სხდომაზე აპელანტმა წარადგინა განცხადება, სადაც მიუთითა, რომ აზუსტებდა მოთხოვნას ხელფასზე დანამატის ოდენობის 100 ლარით განსაზღვრის ნაწილში და მის ნაცვლად ითხოვდა განსაკუთრებულ სამუშაო პირობებში მომუშავე დასაქმებულთათვის ძირითად ხელფასზე დანამატის განსაზღვრას 2009 წლის 1 იანვრიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2010 წლის 24 მარტის საოქმო განჩინებით აპელანტის შუამდგომლობა მოთხოვნის დაზუსტების შესახებ არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტი რეალურად ითხოვდა დავის საგნის შეცვლას, რაც ეწინააღმდეგებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლს, რომლის მიხედვით დავის საგნის შეცვლა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში დაუშვებელია.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 მარტის განჩინებით ...-ს მუშაკთა პროფესიული კავშირის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ გასაჩივრებულ ნაწილში საქმე განიხილა არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევების გარეშე, ამასთან, სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არსებითად სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2010 წლის 24 მარტის განჩინება, ასევე ამავე სასამართლოს 2010 წლის 24 მარტის საოქმო განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ...-ს მუშაკთა პროფესიულმა კავშირმა. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება, კერძოდ, განსაკუთრებულ სამუშაო პირობებში მომუშავე დასაქმებულთათვის ძირითად ხელფასზე დანამატის ოდენობის განსაზღვრის მოპასუხისათვის დავალება და მისი გადახდა 2009 წლის 1 იანვრიდან.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლო არასწორად მსჯელობს, როდესაც განმარტავს, რომ 2008 წლის 25 თებერვლის ხელშეკრულების 3.1.3 პუნქტით შპს «...-ს» არ წარმოშობია დანამატის გაცემის ვალდებულება, რადგან ხელშეკრულებით განსაზღვრული არ იყო დანამატის გაცემის წესი. სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. 2008 წლის 25 თებერვლის შეთანხმების 3.1.3 პუნქტით დგინდება, რომ ადმინისტრაცია ვალდებული იყო 2008 წლის ბოლომდე, ანუ მე-4 კვარტალში, განესაზღვრა განსაკუთრებულ სამუშაო პირობებში მომუშავე დასაქმებულთათვის ძირითად ხელფასზე დანამატის ოდენობა. რაც შეეხება დანამატის გაცემის ვალდებულებას 2009 წლის 1 იანვრიდან, სწორედ აქ დგება გარიგების დადებისას ნების გამოვლენის განმარტების საკითხი. მითითებული 3.1.3. პუნქტის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ადმინისტრაციას დანამატის გაცემის ვალდებულება წარმოეშვა 2009 წლის 1 იანვრიდან და არა ერთი, ან ათი წლის შემდეგ. ეს აზრია ჩადებული ხელშეკრულების 3.1.3 პუნქტში და იგი არ შეიძლება სხვაგვარად განიმარტოს.

2010 წლის 24 მარტის საოქმო განჩინებასთან მიმართებით საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ სააპელაციო სასამართლომ სხდომაზე ...-ს მუშაკთა პროფესიული კავშირის შუამდგომლობა წარმოადგინდა მოთხოვნის დაზუსტებასა და დაკონკრეტებას და არა დავის საგნის შეცვლას. უკიდურეს შემთხვევაში შუამდგომლობა შეიძლება შეფასებულიყო მოთხოვნის ოდენობის შემცირებად, ვინაიდან მასში დანამატის ოდენობის 100 ლარით განსაზღვრის მოთხოვნა აღარ ფიგურირებდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 24 მარტის საოქმო განჩინებით ...-ს მუშაკთა პროფესიული კავშირის შუამდგომლობის შეფასებას დავის საგნის შეცვლის მოთხოვნად. აღნიშნული შუამდგომლობის მიხედვით, ...-ს მუშაკთა პროფესიულმა კავშირმა განსაკუთრებულ სამუშაო პირობებში მომუშავე დასაქმებულთათვის ძირითად ხელფასზე დანამატის 2009 წლის 1 იანვრიდან კონკრეტულად 100 ლარის ოდენობით განსაზღვრის ნაცვლად მოითხოვა მხოლოდ ძირითად ხელფასზე დანამატის განსაზღვრა 2009 წლის 1 იანვრიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის თანახმად, დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, აგრეთვე, შეგებებული სარჩელის შეტანა სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია. ამავე კოდექსის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე, სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება, ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველი და დაზუსტებული მოთხოვნების შინაარსის გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ პროფესიულ კავშირს თავდაპირველი მოთხოვნის ნაცვლად ახალი მოთხოვნა არ წარუდგენია, რაც დავის საგნის შეცვლად ჩაითვლებოდა. მან მოახდინა მოთხოვნის ტრანსფორმირება თავდაპირველი დავის საგნის ფარგლებში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსაკუთრებულ სამუშაო პირობებში მომუშავე დასაქმებულთა ძირითად ხელფასზე დანამატის განსაზღვრის შესახებ ...-ს მუშაკთა პროფესიული კავშირის მოთხოვნაზე მსჯელობისას სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია მოდავე მხარეებს შორის 2008 წლის 25 თებერვალს დადებული შეთანხმების 3.1.3 პუნქტი, რომლის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ და შპს «...-ს» ადმინისტრაციამ იკისრა ვალდებულება, 2008 წლის მე-4 კვარტალში მოეხდინა განსაკუთრებულ სამუშაო პირობებში მომუშავე დასაქმებულთათვის ძირითად ხელფასზე დანამატის ოდენობა. ამასთან დაკავშირებით ასევე გასათვალისწინებელია სამოქალაქო კოდექსის 361.2 მუხლი, რომლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. აღნიშნულთან დაკავშირებით ასევე გამოსაკვლევი, საქმის მასალების თანახმად, ხომ არ მოხდა მხარეთა შორის მითითებული შეთანხმების შეცვლა ხელფასზე დანამატის განსაზღვრის ნაცვლად სხვაგვარი შესრულებით, რაზეც საუბარია «...-ს» 2008 წლის 1 ოქტომბრის '02-06/203 წერილში. სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, რა კონკრეტულ ვალდებულებაზე არსებობს მხარეთა შეთანხმება და რისი შესრულების ვალდებულება აკისრია შპს «...-ს».

რაც შეეხება მოთხოვნას მოპასუხისათვის განსაკუთრებულ სამუშაო პირობებში მომუშავე დასაქმებულთათვის დანამატის 2009 წლის 1 იანვრიდან გადახდის დავალების შესახებ, აღნიშნული საკითხი გამოკვლეულ უნდა იქნეს 2008 წლის 25 თებერვალს დადებული შეთანხმების 3.1.3 პუნქტის ნამდვილი აზრისა და მიზნის სწორად გამორკვევის, ასევე ზემომითითებული გარემოების შეფასების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 მარტის განჩინება, ამავე სასამართლოს 2010 წლის 24 მარტის საოქმო განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

1ას-592-556-10

11 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (მომხსენებელი, თავმჯდომარე),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ქონების დაუსაბუთებლად და უკანონოდ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. გ-ძის, გ. ჩ-ელისა და ს. ბ-ძის მიმართ მოპასუხეთა მფლობელობაში არსებული ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობის, მისი სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელის წარმოებაში იმყოფებოდა სისხლის სამართლის საქმე ნ. ლ-შვილის მიმართ, რომელიც არსებითად განსახილველად გადაეცა სასამართლოს.

1992 წლის 23 თებერვლიდან 1999 წლის თებერვლამდე ნ.ლ-შვილი მუშაობდა სოფ. ... მიწის რეფორმის კომისიის თავმჯდომარედ, 1997 წლის 7 ივლისიდან 2001 წლის 1 ნოემბრამდე – მცხეთის მიწის მართვის სამმართველოში და ასევე იყო სოფელ დიდმის საკრებულოს წევრი. მას ბრალი დაედო სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ», «დ» ქვეპუნქტებით, 332-ე მუხლის პირველი ნაწილით, მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 333-ე მუხლის პირველი ნაწილითა და მესამე ნაწილის «ა», «გ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში.

საქმის გამოძიების პროცესში გამოიკვეთა გარემოებები, რის საფუძველზეც გაჩნდა ვარაუდი, რომ ნ.ლ-შვილთან დაკავშირებულ პირთა მფლობელობაში შეიძლებოდა ყოფილიყო დაუსაბუთებელი და უკანონო ქონება.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქ.თბილისის მთავრობის 2000 წლის 19 ოქტომბრის 17.10.252 დადგენილებით სოფელ დიდმის მიწის რეფორმის კომისიის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურსა და სსიპ «თ-ს» დაევალა ორდონიანი ხიდის მშენებლობის ქვეშ მოყოლილი საკარმიდამო მიწის ნაკვეთების საკომპენსაციო ფართების გამოყოფის შესახებ რვა მოქალაქისათვის მთავრობის დადგენილების პროექტის წარდგენა დიდი დიდმის დაგეგმარების პროექტის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამავე დადგენილების 2-ე პუნქტის შესაბამისად, არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურს დაევალა სოფელ დიდმის მიწის რეფორმის კომისიის მიერ წარმოდგენილი 6 მოქალაქისათვის, მათ შორის, გ. ჩ-ელის, ს. ბ-ძისა და ნ. გ-ძისათვის საკომპენსაციოდ გადაცემული საკარმიდამო მიწის ნაკვეთების წითელი ხაზების გეგმებისა და სამშენებლო პასპორტების დამუშავება, ხოლო მიწის მართვის დეპარტამენტს დაევალა მათთვის მიწათსარგებლობის დოკუმენტაციის გაფორმება და სამართლებრივ რეგისტრაციაში გატარება.

1992 წლის 6 ოქტომბრის მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების 18ბ აქტით დადგენილია, რომ სოფ. ... მიწის რეფორმის კომისიამ მოპასუხე ს. ბ-ძეს გადასცა 0.168 ჰა მიწის ნაკვეთი.

1992 წლის 6 ოქტომბრის მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების 15ა აქტის შესაბამისად, მოპასუხე გ. ჩ-ელს სოფელ დიდმის მიწის რეფორმის კომისიის მიერ გადაეცა 0.168 ჰა მიწის ნაკვეთი.

საქმის მასალებში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით, მოპასუხე გ. ჩ-ელისა და ს. ბ-ძის საკუთრებად თითოეულზე აღრიცხულია ქ. თბილისში, ...-ის საცხოვრებელ რაიონში, ... 11/9 ქუჩაზე მდებარე 1622 კვ.მ მიწის ნაკვეთები. უფლების დამადასტურებელი იურიდიულ დოკუმენტაციად მითითებულია საქართველოს კანონი «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ», ქ.თბილისის მთავრობის 2000 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება, ქ.თბილისის არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ 2000 წლის 13 მარტს გაცემული მიწის ნაკვეთის გეგმა.

საჯარო რეესტრის ამონაწერით სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მოპასუხე ნ. გ-ძის საკუთრებად აღრიცხულია ქ.თბილისში, ...-ის საცხოვრებელ რაიონში, ... 11/12 ქუჩაზე მდებარე 1663 კვ.მ მიწის ნაკვეთი უფლების დამადასტურებელი შემდეგი იურიდიული დოკუმენტებით: საქართველოს კანონი «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ», ქ.თბილისის მთავრობის 2000 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება; ქ.თბილისის არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ 2000 წლის 13 მარტს გაცემული მიწის ნაკვეთის გეგმა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 7 სექტემბრის განაჩენზე, რომლის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის 148 დადგენილების საფუძველზე, საქართველოში მიწის რეფორმის განხორციელების მიზნით, 1992 წლის 23 თებერ-

ვალს სოფ. ... საერთო კრებამ აირჩია კომისია 12 კაცის შემადგენლობით, სოფ. ... საკრებულოს წევრის – ნ. ლ-შვილის თავმჯდომარეობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 22 იანვრის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით სის-ხლის სამართლის საქმეზე 11/ზ-2307-06 დადგენილია, რომ 1992-1999 წლებში, ნ. ლ-შვილმა თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, არაერთგზის საზოგადოებისა და სახელმწიფო ინტერესების საზიანოდ, მიწის რეფორმა განახორციელა მოქმედი კანონმდებლობის სრული იგნორირებით, უგულვებელყო სოფ. ... საკრებულოსა და მიწის რეფორმის კომისიის მიერ შედგენილი სარეფორმო სია, რაც გამოიყენა სათავისოდ და თავის ოჯახის წევრებს, ახლო ნათესავებს, მასთან დაკავშირებულ პირებს, რომლებიც არ ცხოვრობდნენ სოფელ დილოში, მიწის ნაკვეთები გამოუყო ყველაზე პრესტიჟულ ადგილას და დადგენილი ნორმის ზემოთ.

სასამართლომ დაადგინა ნ. ლ-შვილის, როგორც მოხელის და მასთან გათანაბრებული პირის მიერ მიწის რეფორმის კანონმდებლობის დარღვევით მიწის ფართობების გაცემის ფაქტები, ხოლო მოპასუხეებს – ს. ბ-ძეს, გ. ჩ-ელსა და ნ. გ-ძეს 2001-2002 წლებში საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღრიცხული სადავო მიწის ნაკვეთები გადაეცათ თბილისის მთავრობის 2000 წლის 19 ოქტომბრის 117.10.252 დადგენილების დიღმის მიწის რეფორმის კომისიის მიერ 1992 წელს მათთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთების საკომპენსაციოდ.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები ასაბუთებენ საფუძვლიან ეჭვს, რომ ნ. გ-ძე, გ. ჩ-ელი და ს. ბ-ძე წარმოადგენენ თანამდებობის პირთან – ნ. ლ-შვილთან დაკავშირებულ პირებს.

პალატამ ჩათვალა, რომ სადავო ქონების ჩამორთმევით არ ირღვევა 1950 წლის 4 ნოემბერს მიღებული «ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის» პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი, რომლის მიხედვით, ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს უფლება მშვიდობიანად ისარგებლოს თავისი საკუთრებით. არ შეიძლება ვინმეს ჩამოერთვას თავისი საკუთრება, გარდა საჯარო ინტერესისათვის და კანონით და საერთაშორისო სამართლის პრინციპებით გათვალისწინებული პირობებით, თუმცა ზემოხსენებული დებულებები არ ზღუდავს სახელმწიფოს უფლებას, განახორციელოს ისეთი კანონები, რომელთაც იგი საჭიროდ თვლის, რათა გააკონტროლოს საკუთრების გამოყენება საერთო ინტერესების შესაბამისად ან უზრუნველყოს გადასახადების, შენატანების ან ჯარიმის გადახდის მოკრება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ნ. გ-ძემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატამ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ ნ. გ-ძეს სადავო მიწის ნაკვეთი გადაეცა თბილისის მთავრობის 2000 წლის 19 ოქტომბრის 117.10.252 დადგენილებით დიღმის მიწის რეფორმის კომისიის მიერ 1992 წელს მისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის საკომპენსაციოდ, რაც არ შეესაბამება რეალობას. ფაქტობრივად, ნ. გ-ძემ სადავო უძრავ ნივთზე საკუთრება მოიპოვა 1998 წლის 18 აგვისტოს ნ. ხ-ისთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ ქ.თბილისის მთავრობის 2000 წლის 19 ოქტომბრის 117.10.252 დადგენილების საფუძველზე კასატორის ქონების ორდონიანი ხიდის მშენებლობის ქვეშ მოჰყვა მიწის რეფორმის შედეგად გამოყოფილი 3.0 ჰა მიწის ნაკვეთი, მათ შორის, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი და თბილისის მთავრობამ სა-ნაცვლოდ გამოუყო მას საკომპენსაციო ფართი.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ყოველგვარი მტკიცებულების გამოკვლევის გარეშე კასატორი მიჩნეულ იქნა თანამდებობის პირთან დაახლოებულ პირად, რადგან სადავო მიწის რეფორმა ჩატარდა 1992 წელს, ნ. გ-ძის მიერ მიწის ნაკვეთის შექმნამდე.

ამასთან აღსანიშნავია, რომ თავად ნ. ლ-შვილი არ წარმოადგენდა თანამდებობის პირს, ვინაიდან 1997 წლის 7 ივნისამდე ე.ი. მანამდე, სანამ დაინიშნებოდა მცხეთის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს მთავარ სპეციალისტად, საჯარო მოხელე და თანამდებობის პირი არ იყო. სოფელ დიღმის მაცხოვრებელთა საერთო კრებაზე არჩეული მიწის რეფორმის კომისიის თავმჯდომარე თანამდებობის პირად ვერ ჩაითვლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. გ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება მის მიმართ გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეფუძნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356³ მუხლის მე-3, მე-4, მე-5 ნაწილებს, 356¹ მუხლის «ლ» ქვეპუნქტსა და იმ გარემოებას, რომ ნ. გ-მემ სადავო უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება მოიპოვა უკანონოდ, როგორც თანამდებობის პირთან – ნ. ლ-შვილთან დაახლოებულმა პირმა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებანი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია, კერძოდ:

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით ნ. გ-მის სახელზე ირიცხება ქ.თბილისში, ... საცხოვრებელ რაიონში, ... 111/12 ქუჩაზე მდებარე 1663 კვ.მ მიწის ნაკვეთი უფლების დამადასტურებელი შემდეგი იურიდიული დოკუმენტებით: საქართველოს კანონი «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ», ქ.თბილისის მთავრობის 2000 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება; ქ.თბილისის არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ 2000 წლის 13 მარტს გაცემული მიწის ნაკვეთის გეგმა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის არგუმენტს, რომ სააპელაციო პალატას არ შეუფასებია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულება – 1998 წლის 18 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც ნ. გ-მემ მცხეთის რაიონის სოფ. ...-ში, ტოპონიმურ დასახლება «დ. დ-ში» მდებარე 1680 კვ.მ მიწის ნაკვეთი იყიდა ნ. ხ-იასაგან 1600 ლარად, რომელიც გამყიდველს ეკუთვნოდა დიდმის საკრებულოს და მიწის რეფორმების კომისიის 1992 წლის სექტემბრის 11 დადგენილების 11 ოქმის საფუძველზე გაცემული მიწის მიღება-ჩაბარების აქტით.

მითითებული მტკიცებულების შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ ნ.გ-მის მიერ სადავო მიწის ნაკვეთის მოპოვების საფუძველი სათანადოდ არ გამოიკვლია და სამართლებრივად სწორად არ შეაფასა, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება აღნიშნულ ნაწილში უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ზემოხსენებული გარემოებების სრულყოფილად გამოსაკვლევადა.

ამასთან, საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო პალატამ უნდა იმსჯელოს ნ. გ-მის, როგორც სადავო უძრავი ნივთის შემძენის კეთილსინდისიერების საკითხზე სამოქალაქო კოდექსის 185-ე, 187-ე მუხლებთან მიმართებით.

დასახელებულ ნორმათა შესაბამისად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება შემძენი, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. კეთილსინდისიერების ფაქტი უნდა არსებობდეს ნივთის გადაცემამდე.

კანონის ზემოხსენებული დანაწესის შესაბამისად, ნივთის შემძენი ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლებას მოიპოვებს იმ შემთხვევაშიც, თუ ნივთის გამსხვისებელი მისი მესაკუთრე და გასხვისების უფლებამოსილების მქონე პირი არ აღმოჩნდება, რის თაობაზეც შემძენისათვის გარიგების დადებისას ობიექტურად არ იყო და ვერც იქნებოდა ცნობილი.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ თბილისის მთავრობის 2000 წლის 19 ოქტომბრის 117.10.252 დადგენილებით ნ. გ-მეს საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღრიცხული სადავო მიწის ნაკვეთი გადაეცა 1992 წელს დიდმის მიწის რეფორმის კომისიის თავმჯდომარე ნ. ლ-შვილის მიერ მოპასუხისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით გამოყოფილი მიწის ნაკვეთების საკომპენსაციოდ, საქმეში წარმოდგენილი, ნ.გ-მესა და ნ.ხ-იას შორის ნასყიდობის ხელშეკრულება კი დათარიღებულია 1998 წლის 18 აგვისტოთი.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის სწორად გადასაწყვეტად უნდა გამოარკვიოს, 1992 წელს ნ.ლ-შვილის მიერ სადავო მიწის ნაკვეთის არამართლზომიერად გაცემა რა სამართლებრივ გავლენას მოახდენდა 1998 წელს ნ.გ-მის მიერ აღნიშნული უძრავი ნივთის შემძენის კეთილსინდისიერებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ნ. გ-მის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება ნ. გ-მის მიმართ და ამ ნაწილში საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებების შეფასება

განჩინება

¹ ას-935-882-2010

11 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

დავის საგანი: არბიტრაჟის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ი. დ-შვილის, ქ. მ-შვილის, ლ. გ-ძის, ლ. შ-შვილის, ი. ხ-იას, ლ. ს-შვილის, თ. მ-ძის, ნ. ც-ძისა და ლ. ფ-იას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება გაუქმდა და ი. დ-შვილის, ქ. მ-შვილის, ლ. გ-ძის, ლ. შ-შვილის, ი. ხ-იას, ლ. ს-შვილის, თ. მ-ძის, ნ. ც-ძისა და ლ. ფ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა; შპს «... მუდმივმოქმედი არბიტრაჟის» 2007 წლის 25 სექტემბრის 1051-2207 გადაწყვეტილება გაუქმდა; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა შესაბამისი ცვლილების განხორციელება; შპს «... მუდმივმოქმედი არბიტრაჟის» 2007 წლის 25 სექტემბრის 1051-2207 გადაწყვეტილების საფუძველზე მ. ო-ძის, ზ. ხ-ურის, დ. კ-შვილის, თ. ც-ძის, ბ. ჭ-ძისა და მ. მ-შვილის სახელზე ქ.თბილისში, ... ქუჩასა და ... გამზირს შორის ამიერკავკასიის სამხედრო მუზეუმის დასავლეთით მდებარე კორპუსის 112, 113, 119, 120, 121, 123, 124, 126, 128, 129 ბინების საკუთრებად აღრიცხვის შესახებ ჩანაწერი გაუქმდა და აღდგენილ იქნა ამ ჩანაწერის განხორციელებამდე არსებული მდგომარეობა.

2010 წლის 26 თებერვალს ხ. ა-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 4 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ. განმცხადებლის მითითებით, 2007 წლის 4 ოქტომბრიდან იგი წარმოადგენს ქ.თბილისში, ... ქუჩასა და ... გამზირს შორის ამიერკავკასიის სამხედრო მუზეუმის დასავლეთით მდებარე კორპუსის 1123 ბინის მესაკუთრეს და აღნიშნულ ბინასთან დაკავშირებით მიმდინარე დავაზე ხ. ა-შვილი კანონით დადგენილი წესით მიწვეული არ ყოფილა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მაისის განჩინებით ხ. ა-შვილის განცხადება დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება ქ.თბილისში, ... ქუჩასა და ... გამზირს შორის ამიერკავკასიის სამხედრო მუზეუმის დასავლეთით მდებარე კორპუსის 1123 ბინაზე შპს «... მუდმივმოქმედი არბიტრაჟის» 2007 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელებული ჩანაწერის გაუქმების, პირვანდელი (ამ ჩანაწერის განხორციელებამდე არსებული) მდგომარეობის აღდგენისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისათვის შესაბამისი ცვლილების განხორციელების დავალების ნაწილში და ამ ნაწილში სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოება განახლდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლით და მიიჩნია, რომ ხ. ა-შვილისათვის აღნიშნული დავის შესახებ ცნობილი გახდა მ. მ-შვილის 2010 წლის 8 თებერვლის წერილით, ამდენად, მოცემულ შემთხვევაში განცხადების შეტანის კანონით დადგენილი ვადა დაცულია.

სასამართლომ დაადგინა, რომ ქ.თბილისში, ... ქუჩასა და ... გამზირს შორის ამიერკავკასიის სამხედრო მუზეუმის დასავლეთით მდებარე კორპუსის 1123 ბინის მესაკუთრედ 2007 წლის 4 ოქტომბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო რეესტრში აღრიცხულია ხ. ა-შვილი, რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 გადაწყვეტილების მხარედ საქმეში ჩაბმული არ ყოფილა.

სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია ხ. ა-შვილის მითითება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება უშუალოდ ეხება მის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს. აღნიშნული გარემოება განმცხადებელს აქცევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პროცესუალურ სუბიექტებად, რადგან სადავო შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით განიკარგა ხ. ა-შვილის მატერიალურ-სამართლებრივი უფლებები.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარეთა არგუმენტი, რომ ხ. ა-შვილისათვის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველის არსებობა ცნობილი იყო დავის განხილვის პერიოდშიც, ვინაი-

დან საქმის მასალებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრული გარემოება არ დასტურდება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ი. დ-შვილის, ქ. მ-შვილის, ლ. გ-ძის, ლ. შ-შვილის, ი. ხ-იას, ლ. ს-შვილის, თ. მ-ძის, ნ. ც-ძისა და ლ. ფ-იას წარმომადგენელმა მ. ს-ძემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ხ. ა-შვილის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ ხ. ა-შვილისათვის დავის არსებითად მიმდინარეობისას სადავო 1123 ბინასთან დაკავშირებული სასამართლოს საქმის წარმოების თაობაზე ცნობილი არ ყოფილა და დავის არსებობა მხარემ მხოლოდ მ.მ-შვილის 2010 წლის 8 თებერვლის წერილით შეიტყო. სასამართლოს სათანადოდ არ შეუფასებია ის ფაქტი, რომ ხ. ა-შვილმა სადავო ბინა შეიძინა მოცემული არსებითი დავის დაწყების პერიოდში და არ იმსჯელა ნაკლებად დამაჯერებელ გარემოებაზე გამყიდველსა და მყიდველს შორის ინფორმაციის წერილობითი ფორმით მიღების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ხ. ა-შვილმა შეიძინა 1123 და 1124 ბინები და ამჟამად, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, 1123 ბინა გაერთიანდა სხვა ფართთან და დამოუკიდებელი სახით აღარ არსებობს.

განმცხადებელს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნისას არ მიუთითებია იმ გარემოებაზე, რომ საჯარო რეესტრის თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა ხ. ა-შვილს 2007 წლის ოქტომბერშივე უარი უთხრა 1124 ბინაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე, რაც დასტურდება კერძო საჩივრის ავტორის მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის წარდგენილი 2007 წლის 4 ოქტომბრის ხელშეკრულებითა და საჯარო რეესტრის თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით. ამდენად, განმცხადებლისათვის ცნობილი იყო 1124 ბინის საკუთარ სახელზე აღრიცხვის დამაბრკოლებელი გარემოებანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ხ. ა-შვილისათვის ცნობილი იყო 1124 ბინასთან დაკავშირებით მიმდინარე დავის თაობაზე და ასევე უნდა სცოდნოდა 1123 ბინის ირგვლივ არსებული დავის შესახებ, რაზეც შეეძლო მიემართა სასამართლოსათვის დავის განხილვის დროს. მითითებულის საწინააღმდეგოდ ხ. ა-შვილი დაელოდა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას და არახელსაყრელი შედეგის დადგომის შემდეგ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის მეორე ნაწილისათვის უკანონოდ გვერდის ავლით განცხადებით მიმართა სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. დ-შვილის, ქ. მ-შვილის, ლ. გ-ძის, ლ. შ-შვილის, ი. ხ-იას, ლ. ს-შვილის, თ. მ-ძის, ნ. ც-ძისა და ლ. ფ-იას წარმომადგენელ მ. ს-ძის კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დანტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, აღნიშნული საფუძვლებით გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ შეიძლება, თუ მხარეს შეეძლო ამ საფუძვლების წამოყენება საქმის განხილვისას, შესაბამისად, პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვაში არ მონაწილეობდა და კანონით დადგენილი წესით მიწვეული არ იყო პირი, რომლის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებზეც აღნიშნული გადაწყვეტილება ზეგავლენას მოახდენდა.

ამასთან, კანონმდებელი ითვალისწინებს გარკვეულ დათქმას, კერძოდ, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ზემოხსენებული წანამდღვრების არსებობისას ბათილად იქნება ცნობილი, თუ საქმის წარმოების განახლების საფუძველი განმცხადებლისათვის საქმის არსებითად განხილვისას ობიექტურად არ იყო ცნობილი.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების კანონიერებაზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია მითითებული გარემოების სწორად გამოკვლევა-დადგენა, რაც სააპელაციო პალატას სათანადოდ არ განუხორციელებია.

მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილია საჯარო რეესტრის ამონაწერი და ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელთა მიხედვით ხ. ა-შვილმა 2007 წლის 4 ოქტომბერს შეიძინა ქ.თბილისში, ... ქუჩასა და ... გამზირს შორის ამიერკავკასიის სამხედრო მუზეუმის დასავლეთით მდებარე კორპუსის 1123 და 1124 ბინები. ხსენებული 1123 ბინა აღირიცხა ხ. ა-შვილის სახელზე საკუთრების უფლებით, ხოლო საჯარო რეესტროს ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით 1124 ბინის მესაკუთრედ რეგისტრაციაზე ხ. ა-შვილს უარი ეთქვა თბილისის საქალაქო სასამართლოს

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით უძრავ ნივთზე ყადაღის დადების მოტივით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას და ნიშანდობლივად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ხ. ა-შვილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნას აფუძნებს მხოლოდ 1123 ბინასთან მიმართებით თავისი კანონიერი ინტერესების შელახვას, რა დროსაც არც კი ახსენებს მის მიერ შეძენილ 1124 ბინას, რომელზეც საჯარო რეესტრში საკუთრების უფლება სწორედ სასამართლოში მიმდინარე დავის გამო ვერ დაარეგისტრირა.

ზემოხსენებულის შესაბამისად, 2007 წლის 10 ოქტომბრის ხ. ა-შვილისათვის ცნობილი გახდა, რომ სასამართლო განჩინების საფუძველზე 1124 ბინას დაედო ყადაღა და აღნიშნულ უძრავ ნივთთან დაკავშირებით მიმდინარეობდა სასამართლო დავა, რის შედეგად მას სრული უფლება და შესაძლებლობა გააჩნდა, დაუბრკოლებლივ გაერკვია დავის შინაარსი. მითითებული უფლების რეალიზაცია კი ხ. ა-შვილს არ მოუხდენია.

ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სადავო გარემოების მტკიცების ტვირთი გადადის ხ. ა-შვილზე და განმცხადებელი ვალდებულია ამტკიცოს, რომ მისათვის სააპელაციო პალატის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი საქმის არსებითად განხილვის დროს ცნობილი არ ყოფილა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის საფუძველზე უნდა შეაფასოს განჩინების კვლევით ნაწილში მითითებული მტკიცებულებები და იმსჯელოს, სასამართლოში მოცემული საქმის არსებითად განხილვის დროს ხ. ა-შვილისათვის ცნობილი იყო თუ არა სადავო 1123 ბინასთან დაკავშირებით მიმდინარე დავის თაობაზე და შეეძლო თუ არა მას წარმოდგენილი პრეტენზიით სასამართლოსათვის საქმის განხილვის დასრულებამდეც მიემართა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ი. დ-შვილის, ქ. მ-შვილის, ლ. გ-ძის, ლ. შ-შვილის, ი. ხ-იას, ლ. ს-შვილის, თ. მ-ძის, ნ. ც-ძისა და ლ. ფ-იას წარმომადგენელ მ. ს-ძის კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მაისის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

1ას-553-521-2010

9 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

სს «... ბანკმა» სარჩელით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს შპს «ბ-1-ის» მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 572 653,15 აშშ დოლარის დაკისრება შემდეგი საფუძველებით: სარჩელის თანახმად, სს «... ბანკსა» და შპს «ბ-ს» შორის 2002 წლის 28 ივნისს დადებული საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, შპს «ბ-მ» 15 წლის ვადით ... ბანკიდან აიღო კრედიტი 450 000 აშშ დოლარის ოდენობით, წლიური 14%-ის გადახდით. შპს «ბ-ს» ლიკვიდაციის გამო (ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 2 სექტემბრის დადგენილება), შპს «ბ-ს» დავალიანება, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე, გადაკისრებულ იქნა შპს «ბ-1-ისთვის», რომელმაც იკისრა ვალდებულება გადაეხადა სს «... ბანკის» მიმართ საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხები. ვინაიდან მსესხებლის მიერ ხელშეკრულებით

ბით ნაკისრი ვალდებულება არაჯეროვნად შესრულდა, მოსარჩელემ მოითხოვა ძირითადი თანხისა და საპროცენტო სარგებლის, სულ – **572 653,15** ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

მოპასუხე შპს «ბ-1-მა» სარჩელი არ ცნო იმ საფუძვლით, რომ შპს «ბ-1» არ წარმოადგენდა შპს «ბ-ს» უფლებამონაცვლეს და, შესაბამისად, არ იყო მის ვალეზე პასუხისმგებელი.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს **2009** წლის **20** ოქტომბრის გადაწყვეტილებით სს «... ბანკის» სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «ბ-1-მა», მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს **2010** წლის **30** მარტის გადაწყვეტილებით შპს «ბ-1»-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს **2009** წლის **20** ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, სს «... ბანკის» სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2002 წლის **28** ივნისს შპს «ბ-სა» და სს «... ბანკს» შორის დადებული **1350** საკრედიტო ხელშეკრულების შესაბამისად, შპს «ბ-მ» აიღო კრედიტი – **450000** აშშ დოლარი წლიური **14%**-ის დარიცხვით. აღნიშნული ხელშეკრულებით, შპს «ბ-ს» ვალდებულება ნაწილ-ნაწილ, **15** წლის განმავლობაში, დადგენილი გრაფიკის მიხედვით უნდა შეესრულებინა, რაც **2003** წლიდან არ შესრულებულა;

ბათუმის საქალაქო სასამართლოს **2003** წლის **2** სექტემბრის დადგენილებით შპს «ბ.» ლიკვიდირებულ იქნა;

საქმეში არსებული შპს «ბ-1-ის» პარტნიორთა კრების **2003** წლის ივნისის ოქმის შესაბამისად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ პარტნიორთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით (რომელსაც ესწრებოდა **100%** ხმის უფლების მქონე **6** პარტნიორი), შპს «ბ-1-ს» დირექტორ გ. ც-მეს ნება დაერთო შპს «ბ-1»-ის სახელით გაეფორმებინა ხელშეკრულება სს «... ბანკთან» შპს «ბ-ს სახელზე რიცხული საერთო საკრედიტო დავალიანების - **4 104 900** აშშ დოლარის გადაკისრების თაობაზე და აღნიშნულთან დაკავშირებით, საზოგადოების სახელით ხელი მოეწერა ყველა საჭირო დოკუმენტებისათვის.

საქმეში წარმოდგენილი ანგარიშწორების ანგარიშიდან ამონაწერის მიხედვით, სააპელაციო სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ სს «... ბანკის» ანგარიშზე **2003** წლის **30** ივნისამდე ხორციელდებოდა თანხის ჩარიცხვა თვეში **2500** აშშ დოლარის ოდენობით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა მასზე, რომ, მართალია, ვალის გადაკისრების თაობაზე არ არსებობდა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება, მაგრამ, რადგანაც შპს «ბ-1»-ის პარტნიორებმა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით გადაიბარეს შპს «ბ-ს» ვალი, აღნიშნულით დასტურდებოდა, რომ მათ დაიკავეს თავდაპირველი მოვალის ადგილი, სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის **203-ე** და **341-ე** მუხლებზე მითითებით არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ სს «... ბანკის» წინაშე არსებული შპს «ბ-ს» ვალის შპს «ბ-1-ის» გადაკისრებისათვის, აუცილებელი იყო მხარეთა შორის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულების არსებობა, ხოლო საქმეში წარმოდგენილი შპს «ბ-1-ის» პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება შპს «ბ-ს» ვალის გადაკისრების თაობაზე, არ წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის **203-ე** მუხლით განსაზღვრულ ხელშეკრულებას და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **102-ე** მუხლის შესაბამისად გათვალისწინებულ სათანადო მტკიცებულებას.

მოსარჩელის მითითება მასზე, რომ სს «... ბანკის» ანგარიშზე საკრედიტო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების შესრულება და თანხის ჩარიცხვა ხორციელდებოდა შპს «ბ-1-ის» მიერ, რაც დასტურდებოდა ანგარიშწორების ანგარიშიდან ამონაწერით, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ მითითებული ამონაწერის მიხედვით, გადახდები განხორციელებული იყო **2002** წლის ივლისიდან, მაშინ, როდესაც შპს «ბ-1» არ არსებობდა, ვინაიდან იგი დარეგისტრირდა მხოლოდ **2003** წლის **24** აპრილს. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში არ იყო წარმოდგენილი სათანადო მტკიცებულება, რაც გახდებოდა საფუძველი ამონაწერში ბრუნვის დაფიქსირებისა და ისეთ ვითარებაში, როცა სადავო იყო, თუ ვინ განახორციელა **2006** წლის **30** ივნისს **2500** აშშ დოლარის ჩარიცხვა, მოსარჩელის მითითება აღნიშნულთან დაკავშირებით დაუსაბუთებელი იყო.

საქმეში არსებული მასალების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სს «... ბანკსა» და შპს «ბ-1-ს» შორის არ არსებობდა **2002** წლის **28** ივნისის **1350** საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე შპს «ბ-ს» ვალის გადაკისრების თაობაზე ხელშეკრულება, რაც გამორიცხავდა სამოქალაქო კოდექსის **317-ე** და **361-ე** მუხლების შესაბამისად, სესხის დაფარვის თაობაზე ვალდებულების არსებობას და სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სს «... ბანკის» სარჩელი შპს «ბ-1-სთვის» **572 653,15** აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2010** წლის **30** მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს «... ბანკმა», მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

კასატორი არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მითითებას მასზე, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, აუცილებელი იყო მხარეთა შორის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულება, ვინაიდან აღნიშნა, რომ შპს «ბ-1-ის» პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება, სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, წარმოადგენდა მრავალმხრივ გარიგებას, რომელიც მიმართული იყო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, რაც ცხადყოფდა, რომ კრების ოქმის საფუძველზე, შპს «ბ-1»-მა აიღო ვალდებულება სს «... ბანკსა» და შპს «ბ-ს» შორის 2002 წლის 28 ივნისის 1350 საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაბარების თაობაზე. ამასთან, სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას არ შეაფასა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება და არ იმსჯელა აღნიშნული დოკუმენტის სამართლებრივ მნიშვნელობაზე, რითაც უგულვებლყო სამოქალაქო კოდექსის 204-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, თუ ვალის გადაკისრების შესახებ შეთანხმდნენ მესამე პირი და მოვალე, მაშინ გადაკისრების ნამდვილობა დამოკიდებულია მოთხოვნის მფლობელის თანხმობაზე, განსახილველ შემთხვევაში – სს «... ბანკზე».

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მითითება მასზე, რომ ანგარიშსწორების ანგარიშის ამონაწერით არ დგინდებოდა შპს «ბ-1-ის» მიერ თანხების ჩარიცხვა, ვინაიდან საქმეში არ ყოფილა წარმოდგენილი სათანადო მტკიცებულებები (სალაროს შემოსავლის ორდერი, საგადასახადო დავალება), კასატორის მოსაზრებით, არასწორია, რადგან შპს «ბ-1-ს» შპს «ბ-ს» მსგავსად, სს «... ბანკში» გახსნილი ჰქონდა ანგარიში, რომლის შესაბამისადაც უნდა მომხდარიყო თანხების პერიოდული გადმორიცხვა სს «... ბანკის» ანგარიშზე და, ამდენად, ვინაიდან თანხა იჭრებოდა შპს «ბ--1-ის» მიერ ბანკში გახსნილი ანგარიშიდან, სასამართლოს მიერ მითითებული მტკიცებულებების წარდგენა საჭიროებას არ წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითება 2002 წლის ივლისიდან შპს «ბ-1-ის» მიერ თანხის გადახდევინების თაობაზე, კასატორის მოსაზრებით, ასევე არასწორია, ვინაიდან აღნიშნავს, რომ შპს «ბ-ს» ჩანაცვლება მოხდა შპს «ბ-1-ით», რის გამოც ანგარიშსწორების ამონაწერშიც პროგრამულად შპს «ბ.» შეიცვალა შპს «ბ-1-ით» და, შესაბამისად, 2002 წლიდან დაფიქსირებულია შპს «ბ-1». ამასთან, კასატორის მოსაზრებით, სს «... ბანკის» სასარგებლოდ, საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 2003 წლის 2 სექტემბრიდან, ანუ შპს «ბ-ს» ლიკვიდაციის განხორციელებიდან, თანხის გადახდევინებას აწარმოებდა შპს «ბ-1», ვინაიდან ლიკვიდაციის გამო, შპს «ბ.», ბუნებრივია, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას სს «... ბანკში» ვერ შემოიტანდა.

კასატორის აზრით, საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ თვით შპს «ბ-1-ს» რაიმე პრეტენზია წლების განმავლობაში სს «... ბანკის» სასარგებლოდ გადახდილი თანხების თაობაზე, არ გამოუთქვამს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს «... ბანკის» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტი ითვალისწინებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, სააპელაციო სასამართლომ არასრულად გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებანი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 2002 წლის 28 ივნისს შპს «ბ-სა» და სს «... ბანკს» შორის დადებული 1350 საკრედიტო ხელშეკრულების შესაბამისად, შპს «ბ-მ» აიღო 450000 აშშ დოლარის ოდენობით კრედიტი წლიური 14%-ის დარიცხვით. აღნიშნული ხელშეკრულებით, შპს «ბ-ს» ვალდებულება ნაწილ-ნაწილ 15 წლის განმავლობაში, დადგენილი გრაფიკის მიხედვით უნდა შეესრულებინა, რაც 2003 წლიდან არ შესრულებულა;

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 2 სექტემბრის დადგენილებით შპს «ბ.» ლიკვიდირებულ იქნა. სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ შპს «ბ-1» რეგისტრირებული იქნა 2003 წლის 24 აპრილს, ე.ი იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ლიკვიდირებული შპს «ბ.».

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ ფაქტს, რომ შპს «ბ-1-სა» და სს «... ბანკს» შორის არ იყო დადებული საკრედიტო ხელშეკრულება.

აღნიშნულთან მიმართებაში საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე იმის თაობაზე, რომ საქმეში არსებული შპს «ბ-1-ის» პარტნიორთა კრების 2003 წლის ივნისის ოქმის შესაბამისად, პარტნიორთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით (რომელსაც ესწრებოდა 100% ხმის უფლების მქონე 6 პარტნიორი), შპს «ბ-1-ს» დირექტორ გ. ც-ძეს ნება დაერთო შპს «ბ-1-ის» სახელით გაეფორმებინა ხელშეკრულება სს «... ბანკთან» შპს «ბ.ს» სახელზე რიცხული საერთო საკრედიტო დავალიანების – 4 104 900 აშშ დოლარის გადაკისრების თაობაზე და აღნიშნულთან დაკავშირებით, საზოგადოების სახელით ხელი მოეწერა ყველა საჭირო დოკუმენტებისათვის.

აღნიშნულთან მიმართებაში საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლით რეგულირდება ვალის არსებობის აღიარებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, რომელიც წარმოადგენს ცალმხრივ და აბსტრაქტულ ხელშეკრულებას, რომლის დადებას მოეთხოვება წერილობითი ფორმის დაცვა და, შესაბამისად, მეორე მხარის მიერ ამ ნების მიღება. განსახილველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ვალის არსებობა აღიარებულია ანგარიშსწორების (გადახდის) საფუძველზე ან მორიგების გზით, მაშინ ფორმის დაცვა არ არის აუცილებელი.

კონკრეტულ შემთხვევაში დავას იწვევს საკითხი იმის შესახებ შპს «ბ-მ» თუ შპს «ბ-1-მა» ჩარიცხა ბანკის ანგარიშზე გარკვეული თანხები.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი ანგარიშსწორების ანგარიშიდან ამონაწერის მიხედვით, სს «... ბანკის» ანგარიშზე 2003 წლის 30 ივნისამდე ხორციელდებოდა თანხის ჩარიცხვა თვეში 2500 აშშ დოლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ეს თანხები გადარიცხული იყო შპს «ბ-1-ს» მიერ, რადგან საბანკო ამონაწერში მითითებულია გადამხდელად ეს უკანასკნელი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული ამონაწერის მიხედვით, გადახდები განხორციელებული იყო 2002 წლის ივლისიდან, მაშინ, როდესაც შპს «ბ-1» არ არსებობდა, ვინაიდან იგი დაარეგისტრირდა მხოლოდ 2003 წლის 24 აპრილს. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში არ იყო წარმოდგენილი სათანადო მტკიცებულება, რაც გახდებოდა საფუძველი ამონაწერში ბრუნვის დაფიქსირებისა და ისეთ ვითარებაში, როცა სადავო იყო, თუ ვინ განახორციელა 2006 წლის 30 ივნისს 2500 აშშ დოლარის ჩარიცხვა, მოსარჩელის მითითება აღნიშნულთან დაკავშირებით დაუსაბუთებელი იყო.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს, წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები. აღნიშნული დანაწესი ეხმარება სასამართლოს, გაერკვიოს საქმეში არსებული მტკიცებულებებში. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ის, რომ დამატებითი მტკიცებულებები უნდა გააჩნდეთ მხარეებს.

კონკრეტულ შემთხვევაში, თუ საქმეში არსებული თანხების გადარიცხვის თაობაზე მტკიცებულებებიდან არ ირკვევა, თუ ვის მიერ იქნა გადარიცხული ეს თანხები. სასამართლოს შეეძლო, შეეთავაზებინა სს «... ბანკის» წარმომადგენლისაგან გადარიცხვებთან დაკავშირებული დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა. სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმიდან არ ირკვევა აღნიშნული მტკიცებულებების კვლევის პროცესი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, თუ ვისი ანგარიშიდან ხდებოდა გადარიცხვა (შპს «ბ-ს» თუ შპს «ბ-1-იდან»).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხოლოდ ამის შედეგადაა შესაძლებელი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სადავო ფაქტობრივ გარემოებებზე ყოველმხრივი, სრული და ობიექტური წარმოდგენა შეიქმნას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

სს «... ბანკის» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

1ას-747-700-2010

28 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: კრების ოქმის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ბ-ია-რ-ივამ სარჩელი აღძრა სასამართლოში საბინაო ამხანაგობა «... 17-ის» მიმართ ამხანაგობა «... 17-ის» 2003 წლის 15 თებერვლის კრების ოქმის ბათილად ცნობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: საბინაო ამხანაგობა «... 17-ის» 2003 წლის 15 თებერვლის საერთო კრების გადაწყვეტილებით მოსარჩელეს, როგორც ამხანაგობის წევრს, მიეკუთვნა ქ.თბილისში, ... ქ.17-ში მდებარე სახლის მე-9 სართულზე მდებარე 57,18 კვ.მ 123 ბინა. მოსარჩელე ზემოხსენებულ კრებაზე მიწვეული არ ყოფილა, რითაც დაირღვა მისი უფლებები. ამხანაგობაში ნ.ბ-ია-რ-ივა გაწევრიანდა ოთხოთახიანი ბინის აშენების მიზნით და გადაიხადა შესაბამისი ბინის ღირებულება, კრების ოქმში კი არ აისახა, რა საფუძვლით გამოეყო მხოლოდ 57,18 კვ.მ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ამხანაგობის სადავო კრება ჩატარდა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით. მის შესახებ ეცნობა ამხანაგობის ყველა წევრს, მათ შორის, მოსარჩელესაც, ხოლო ბინები გადანაწილდა ამხანაგობის წევრთა მიერ გადახდილი თანხების შესაბამისად.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. ბ-ია-რ-ივას სარჩელი 2003 წლის 15 თებერვლის ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «... 17-ის» საერთო კრების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ნ. ბ-ია-რ-ივამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ნოემბრის განჩინებით ლ. წ-ძის უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაბმულ იქნა ლ. შ-ძე, თ. ჩ-ძის უფლებამონაცვლედ – ქ. ფ-ავა, თ. კ-ძის უფლებამონაცვლედ – მ. მ-ძე, მ. ს-ავას უფლებამონაცვლედ – ქ. ლ-ავა, ლ. მ-შვილის უფლებამონაცვლედ – ნ. ს-ძე, მ. ს-ავას უფლებამონაცვლედ – გ. ს-შვილი, თ. ს-ძის უფლებამონაცვლედ – ე. ჩ-შვილი, ლ. მ-შვილის უფლებამონაცვლედ – გ. მ-შვილი, თ. კ-ძის უფლებამონაცვლედ – ნ. ც-ძე, კ. კ-ძის უფლებამონაცვლედ – ნ. ხ-იანი, ლ. ნ-უას უფლებამონაცვლედ – ს. ზ-ძე, ხოლო მ. ჯ-ძის უფლებამონაცვლედ – რ. ჩ. უმცროსი. ამავე სასამართლოს 2010 წლის 10 მაისის განჩინებით ნ. ბ-ია-რ-ივას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1989 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით ვაკის რაიონში ჩამოყალიბდა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «... 17». თბილისის მერიის საქალაქო მმართველობის ვაკის რაიონის გამგეობის 1993 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით მიღებულ იქნა საბინაო საკითხთა კომისიის წინადადება და, ამხანაგობის მიერ წარდგენილი ოქმის თანახმად, ნ.ბ-ია-რ-ივა დამტკიცდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 17-ის» წევრად ოთხოთახიან ბინაზე (3 სული: თვითონ და ორი შვილი). საქმეში წარმოდგენილი ხელწერილის შესაბამისად, 1989 წლის 15 მაისის ბინათმშენებლობის საპაიო შენატანის დასაფარავად ნ. ბ-ია-რ-ივამ გადაიხადა 35 000 მანეთი, ასევე ამხანაგობა «... 17-ის» მშენებლობის საჭიროებისათვის 2340 აშშ დოლარად შეისყიდა 380 კვ.მ პარკეტი. 1993 წლის 30 აგვისტოს ნ.ბ-ია-რ-ივამ ბინათმშენებლობისათვის გადაიხადა 20 მილიონი კუპონი. 2003 წლის 15 თებერვალს მოწვეულ იქნა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «... 17-ის» წევრთა საერთო კრება, რომელზეც გადაწყდა ამხანაგობის წევრებისათვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფის საკითხი. აღნიშნული კრების გადაწყვეტილებით ნ.ბ-ია-რ-ივას მეცხრე სართულზე გამოეყო 57,81 კვ.მ 123 ბინა.

სასამართლოს მითითებით, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1998 წლის 8 სექტემბრის 1582 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობები იქმნებოდნენ საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით და რეგისტრირდებოდნენ შესაბამისი რაიონის გამგეობაში. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1506-ე მუხლით და აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «... 17-ის» წევრთა შორის ურთიერთობა გრძელდებოდა 1997 წლის 25 ნოემბრის შემდეგაც (ახალი სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ). აღნიშნული ურთიერთობა თავისი არსით წარმოადგენს ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებას, რომელსაც აწესრიგებს სამოქალაქო კოდექსის 25-ე თავი, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის თანახმად, საერთო საქმიანობის გაძღოლის მიზნით, პირთა გაერთიანება (ამხანაგობა) წარმოადგენს ორგანიზაციულ წარმონაქმნს, რომლის უფლება-ვალდებულებები განისაზღვრება ხელშეკრულებით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1988 წლის 8 სექტემბრის 1582 გადაწყვეტილებით დამტკიცებული «თბილისში, ინდივიდუალური მენაშენეების ამხანაგობების მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ» დებულების მე-20 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული დებულებით განისაზღვრა შენატანის განხორციელება ფულადი სახით. პალატამ იხელმძღვანელა ამხანაგობის შექმნის მომენტში მოქმედი საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი აბზაცი, მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 აგვისტოს დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის სანიმუშო წესდების 27-ე პუნქტის პირველი წინადადებით, 36-ე პუნქტის «გ» ქვეპუნქტით, ამავე წესდების 28-ე პუნქტით და მიიჩნია, რომ, ამხანაგობის შექმნის მომენტში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, ამხანაგობის წევრი ვალდებული იყო, გადაეხადა ასაშენებელი ბინის ღირებულება.

სამოქალაქო კოდექსის 935-ე მუხლისა და საქმის მასალების საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ ნ.ბ-ია-რ-ივას მიერ 1989-93 წლებში ბინათმშენებლობისათვის გადახდილ იქნა 20 მილიონი კუპონი, 35 000

მანეთი და 2340 აშშ დოლარი. მოსარჩელე 2003 წლის 15 თებერვლის კრების ოქმის ბათილად ცნობას ითხოვს იმ მოტივით, რომ ის გაწევრიანებული იყო ამხანაგობაში ოთხოთახიანი ბინის მიღების უფლებით, ხოლო საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით მას უკანონოდ მიეკუთვნა 57,81 კვ.მ ბინა. პალატამ განმარტა, რომ ამხანაგობაში გაწევრიანებით ნ. ბ-ია-რ-ივას წარმოეშვა ასაშენებელი ოთხოთახიანი ბინის ღირებულების გადახდის ვალდებულება. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ მის მიერ განხორციელებული შენატანი ოთხოთახიანი ბინის მშენებლობას უზრუნველყოფდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, პალატამ ჩათვალა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ზემოაღნიშნული საფუძველით დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება, რომ ის არ ყოფილა მიწვეული საერთო კრებაზე, ვინაიდან აღნიშნული არ დასტურდება საქმის მასალებით, თუმცა აღნიშნული კრების ოქმის ბათილობის საფუძველი ვერ გახდება, რაკი საერთო კრებაზე განისაზღვრა ამხანაგობის წევრების წილი საერთო საქმიანობის შედეგად მიღებულ შემოსავალში, ხოლო ნ. ნ.ბ-ია-რ-ივამ ვერ დაადასტურა, რომ მისთვის გამოყოფილი ფართი ამხანაგობაში განხორციელებული შენატანის პროპორციული არ არის.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ნ. რ-ივა-ბ-იამ გაასაჩივრა საკასაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო პალატამ ნ.ბ-ია-რ-ივას მოთხოვნა არ გაიზიარა იმ მოტივით, რომ მხარემ ვერ დაადასტურა, უზრუნველყოფდა თუ არა მის მიერ ამხანაგობაში განხორციელებული შენატანი ოთხოთახიანი ბინის მშენებლობას, თუმცა გასაჩივრებული განჩინებით არ არის დასაბუთებული, როდის და რა ოდენობის თანხა უნდა შეეტანა კასატორს სადავო ბინის მისაღებად. სასამართლოს ასევე არ გამოურკვევია, თუ რა საფუძველით მიიღეს ბინები ამხანაგობის სხვა წევრებმა. პალატამ არ გაითვალისწინა, რომ კასატორი ამხანაგობის წევრად დამტკიცდა ვაკის რაიონის გამგეობის 1993 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით და წარმოადგენს მის სრულუფლებიან, ერთ-ერთ ძირითად წევრს და მან იმ დროისათვის საკმაოდ სოლიდური თანხა შეიტანა. კრების ოქმით, გარდა კასატორისათვის გადაემტკიცებული ბინისა, 57,81 კვ.მ სხვა ბინა არ ფიქსირდება. ამ ფართის ბინა არის ერთოთახიანი და სასამართლომ არასწორად დაადგინა რ-ივასთვის ოროთახიანი ბინის გადაცემა. სასამართლოს არ უმსჯელია იმ გარემოებაზეც, რომ მხარის მიერ შენატანის სრულად განუხორციელებლობის შემთხვევაში იგი გაირიცხებოდა ამხანაგობიდან. სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა 1988 წლის 8 სექტემბრის '582 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულება და მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 აგვისტოს დადგენილებით დამტკიცებული სანიმუშო წესდება, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს ამხანაგობის წევრობიდან ნ.ბ-ია-რ-ივას გარიცხვა არ წარმოადგენდა. სააპელაციო პალატას განსახილველი დავა უნდა გადაეწყვიტა სამოქალაქო კოდექსის 931-ე და 934-ე მუხლების მოთხოვნათა საფუძველზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ნოემბრის განჩინება ლ. წ-ძის უფლებამონაცვლედ ლ. შ-ძის ჩართვის თაობაზე კერძო საჩივრით გაასაჩივრა ლ. შ-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით: სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის შესაბამისად, მხარეთა საპროცესო უფლებამონაცვლეობის შემოწმებამდე უნდა შეეფასებინა სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა და მხოლოდ აღნიშნულის შედეგად დაედგინა, წარმოადგენდა თუ არა ლ.შ-ძე ლ.წ-ძის უფლებამონაცვლეს. მოცემული დავა გამომდინარეობს ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან და ვალდებულებით ურთიერთობას ეხება, რომლის შინაარსი მოიცავს ამხანაგობის წევრთა ისეთ უფლება-მოვალეობებს, როგორცაა წილის შესატყვისი შენატანის განხორციელების ვალდებულება და ერთობლივი საქმიანობით შექმნილი სიკეთის ნაწილის მიღების უფლება. ამხანაგობის თითოეული მონაწილე აღჭურვილია, სამოქალაქო კოდექსის 933-ე მუხლის პირობებით, ერთობლივ საქმიანობაში თავისი წილის მესამე პირზე გასხვისების უფლებით. ასეთ შემთხვევაში მატერიალურ-სამართლებრივი უფლებამონაცვლეობა დასაშვებია, კერძოდ, ამხანაგობის ახალ მონაწილეზე გადავა ძველი მონაწილის უფლება-მოვალეობები. განსახილველი საქმის მასალებით კი ირკვევა, რომ ლ. წ-ძესა და ლ. შ-ძეს შორის 2003 წლის 21 ოქტომბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საგანია არა ერთობლივი საქმიანობის წილი, არამედ უძრავი ქონება. ამდენად, ზემოხსენებული ხელშეკრულებით ლ. შ-ძე გახდა არა ერთობლივი საქმიანობის, ანუ ვალდებულებითი ურთიერთობის, არამედ საკუთრებითი, სანივთო სამართალურ-თიერთობის მონაწილე. უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნით ახალი მესაკუთრე არ ხდება იმ ვალდებულებითი ურთიერთობის უფლებამონაცვლე, რომლის შედეგად გამსხვისებელმა ნივთი შეიძინა. ამასთან, ერთობლივი საქმიანობის საფუძველზე შექმნილი უძრავი ქონების გასხვისება ერთობლივ საქმიანობაში წილის გასხვისებას არ ნიშნავს.

მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება ლ. შ-ძისათვის არ წარმოშობს შედეგს, ვინაიდან მისი საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველს სადავო ამხანაგობის კრების ოქმი არ წარმოადგენს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლ. შ-ძე არ წარმოადგენს ლ. წ-ძის უფლებამონაცვლეს სადავო მატერიალურ-სამართალურ-თიერთობაში და ვერც მის საპროცესო უფლებამონაცვლედ მიიჩნევა. «საჯარო რეესტრის შესახებ» კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის, სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლების თანახმად, მოცემულ საქმეზე სარჩელის დაკმაყოფილება ლ.შ-ძის უფლებებზე გავლენას ვერ მოახდენს, რადგან იგი სადავო ბინის კეთილსინდისიერი შემძენია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ბ-ია-რ-ივას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 მაისის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად, ასევე უნდა დაკმაყოფილდეს ლ. შ-ძის კერძო საჩივარი და გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ნოემბრის განჩინება ლ. წ-ძის უფლებამონაცვლედ ლ. შ-ძის ჩართვის თაობაზე შემდეგი საფუძვლებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ დავაზე გადაწყვეტილების გამოტანისას დარღვეულია კანონი, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით დადგინილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1989 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით ვაკის რაიონში ჩამოყალიბდა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «... 17», ხოლო, ვაკის რაიონის გამგეობის 1993 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით ამხანაგობის მიერ წარდგენილი ოქმის თანახმად, ნ.ბ-ია-რ-ივა დამტკიცდა ამხანაგობა «... 17-ის» წევრად ოთხოთახიან ბინაზე. 1989 წლის 15 მაისის ბინათმშენებლობის საპაიო შენატანის დასაფარავად ნ.ბ-ია-რ-ივამ გადაიხადა 35 000 მანეთი, ასევე, ამხანაგობა «... 17-ის» მშენებლობის საჭიროებისათვის 2340 აშშ დოლარად შეისყიდა 380 კვ.მ პარკეტი. 1993 წლის 30 აგვისტოს ნ.ბ-ია-რ-ივამ ბინათმშენებლობისათვის გადაიხადა 20 მილიონი კუპონი. 2003 წლის 15 თებერვალს მოწვეულ იქნა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «... 17-ის» წევრთა საერთო კრება, რომელზეც გადაწყდა ამხანაგობის წევრებისათვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფის საკითხი და ნ.ბ-ია-რ-ივას მეცხრე სართულზე გამოეყო 57,81 კვ.მ 123 ბინა.

სააპელაციო სასამართლომ დადგინილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ ამხანაგობაში გაწევრიანებით ნ. ბ-ია-რ-ივას წარმოეშვა ასაშენებელი ოთხოთახიანი ბინის ღირებულების გადახდის ვალდებულება, მაგრამ, ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ მის მიერ განხორციელებული შენატანი ოთხოთახიანი ბინის მშენებლობას უზრუნველყოფდა, მისი მოთხოვნა ზემოაღნიშნული საფუძვლით დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო პალატის ზემოხსენებულ დასკვნას დაუსაბუთებლობის გამო, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში, მხარემ მის მიერ სარჩელში მითითებული გარემოების – ოთხოთახიანი ბინის მშენებლობისათვის განხორციელებული შენატანის: 35 000 მანეთისა და 20 მილიონი კუპონის გადახდის, მშენებლობის საჭიროებისათვის 2340 აშშ დოლარად 380 კვ.მ პარკეტის შესყიდვის თაობაზე და აღნიშნულის დასადასტურებლად წარმოადგინა კონკრეტული მტკიცებულებები, რომლებიც სასამართლომ მიიღო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად შეაფასა და დადგინილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება ამ მტკიცებულებებში მითითებულ მოქმედებათა რეალურად განხორციელების შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების დანაწესით მოწინააღმდეგე მხარე, თუკი სარჩელში მითითებულ გარემოებას არ დაეთანხმებოდა, ვალდებული იყო, დაემტკიცებინა აღნიშნულის საწინააღმდეგო, ხოლო სასამართლოს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორად განაწილებისა და ამავდროულად, ამ ტვირთის კანონით გათვალისწინებული წესით მხარეთა მიერ სრულყოფილად რეალიზების შედეგად შეემლო, დაედგინა მოთხოვნის საფუძვლიანობა.

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ სასამართლომ დაასკვნა, რომ ნ. რ-ივა-ბ-იას მიერ განხორციელებული შენატანი ოთხოთახიანი ბინის მშენებლობისათვის საკმარისი იყო, საქმის მასალებით არ დასტურდება. სასამართლოს დასკვნა დაუსაბუთებელია, ვინაიდან:

სასამართლოს არ მიუთითებია, თუ რომელი მტკიცებულებებით დგინდება განხორციელებული შენატანის არასაკმარისობა;

რა ოდენობის თანხა უნდა გადაეხადა მოსარჩელეს ოთხოთახიანი ბინის მშენებლობისათვის;

რა ვალდებულება ეკისრებოდა მოსარჩელეს და რა მოქმედება განახორციელა მოპასუხემ ნ.ბ-ია-რ-ივას მიმართ ვალდებულების შესრულების მიზნით;

კანონიერია თუ არა ნ.ბ-ია-რ-ივას უფლების შეზღუდვა სადავო კრების გადაწყვეტილებით;

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მოცემული დავის საგანს წარმოადგენს კრების ოქმის ბათილად ცნობა, ანუ განსახილველია აღიარებითი სარჩელი, თუმცა არ არის დადგენილი და განსაზღვრული მხარის იურიდიული ინტერესი. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მოცემული სარჩელის სასამართლოს მიერ წარმოებაში მიღების დროს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით აღიარებითი სარჩელის წარდგენისას იურიდიული ინტერესის მითითება სავალდებულო არ იყო, მაგრამ,

პროცესის ეკონომიურობისა და ეფექტურობის პრინციპებიდან გამომდინარე, იურიდიული ინტერესის გარკვევა ასეთ სარჩელებზე სასამართლო პრაქტიკით (საქართველოს უზენაესი სასამართლო განჩინება 13კ/1478-02 8 მაისი, 2003 წ) დამკვიდრებული იყო.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ მხოლოდ ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამოკვლევისა და დადგენის შემდეგ უნდა მისცეს სამართლებრივი შეფასება და გადაწყვიტოს მოსარჩელის მოთხოვნის კანონიერება.

რაც შეეხება ლ. შ-ძის კერძო საჩივარს, იგი უნდა დაკმაყოფილდეს და გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ნოემბრის განჩინება ლ. შ-ძის უფლებამონაცვლედ ლ. შ-ძის ჩართვის თაობაზე შემდეგი საფუძვლებით:

უდავოა, რომ ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «... 17-ის» წევრს წარმოადგენდა ლ. წ-ძე, რომელსაც 2003 წლის 15 თებერვალს ამხანაგობის საერთო კრების გადაწყვეტილებით მიეკუთვნა 156.1 კვ.მ 16 ბინა. აღნიშნული ბინა ლ.წ-ძემ 2003 წლის 21 ოქტომბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრებაში გადასცა ლ. შ-ძეს, რის საფუძველზეც ეს უკანასკნელი საჯარო რეესტრში მესაკუთრედ აღირიცხა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა დასაშვებია პროცესის ყველა სტადიაზე.

აღნიშნული ნორმის ანალიზით, საპროცესო უფლებამონაცვლეობისას მხარე ამა თუ იმ საფუძვლით გადის სადავო ურთიერთობიდან და მისი უფლებები და მოვალეობები გადადის უფლებამონაცვლეზე. ამდენად, ამ შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტთა შეცვლა ხდება, როგორც პროცესუალური ასევე მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავდროულად, საპროცესო უფლებამონაცვლეობა უალტერნატივოდ ეფუძნება სასამართლო წესით სადავო უფლებაზე პრეტენდენტის უფლებამოსილებას, ხოლო მოვალე პირის უფლებამონაცვლის დადგენისას – ამ პირის მიერ ვალდებულების უტყუარად შექმნის ფაქტს. ამდენად, საპროცესო უფლებამონაცვლეობის საკითხი მჭიდროდ უკავშირდება მატერიალურ სამართალს, ანუ საპროცესო უფლებამონაცვლეობა დაიშვება იმ შემთხვევაში, თუკი მატერიალური სამართალი უშვებს უფლებამონაცვლეობას.

საპროცესო უფლებამონაცვლეობა გარკვეულწილად დაკავშირებულია და ემსგავსება სათანადო მხარის ინსტიტუტს, რაც მოწესრიგებულია სსკ-ის 84-85-ე მუხლებით. ამ საკითხთან დაკავშირებით საპროცესო კოდექსს საფუძვლად უდევს პრინციპული გაგება, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით სწორი მატერიალურ – სამართლებრივი შედეგი მიიღება იმ შემთხვევაში, როდესაც დავა გადაწყდება «სწორად» ჩართულ მხარეებს შორის, თუმცა ამ ორ ინსტიტუტს შორის არსებითი განსხვავებაა: საპროცესო უფლებამონაცვლეობისას მხარე ამა თუ იმ საფუძვლით გადის სადავო ურთიერთობიდან და მისი უფლებები და მოვალეობები გადადის უფლებამონაცვლეზე, ხოლო მხარის არასათანადოობა მაშინ დგინდება, როდესაც მხარეს სადავო მატერიალურ – სამართლებრივ ურთიერთობა უშუალოდ არ ეხება და მას ეს უფლებები არც გააჩნია. ამასთან, უდავოა, რომ სასამართლომ პირის უფლებამონაცვლედ ჩართვის, მისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლებებისა და ვალდებულების შექმნის კანონიერებაც უნდა შეამოწმოს, რომ პროცესი მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით „სწორად» განსაზღვრულმა მხარეებმა მართონ.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს რა კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, აღნიშნავს შემდეგს:

ნ.ბ-ია-რ-ივას სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობა იმ საფუძვლით, რომე საბინაო ამხანაგობის საერთო კრების გადაწყვეტილებით მოსარჩელის, როგორც ამხანაგობის წევრის, წილი დანარჩენი ამხანაგობის წევრთა მიერ არასწორად განისაზღვრა. სარჩელი დაფუძნებულია მოდავე მხარეთა შორის არსებულ ამხანაგობის ხელშეკრულებაზე.

ამდენად, მოსარჩელის მიერ სადავოდ მიჩნეული უფლება ემყარება ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას – ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებას და ამ ურთიერთობის ფარგლებში მოსარჩელე მოპასუხეებისაგან ითხოვს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას. ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარე, სუბიექტებს მოთხოვნის უფლება მხოლოდ ერთმანეთის მიმართ და ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში გააჩნიათ.

საგულისხმოა, რომ მატერიალური სამართალი ითვალისწინებს უფლებამონაცვლეობას (უნივერსალური ანუ ზოგადი უფლებამონაცვლეობა, როდესაც უფლებამონაცვლეზე გადადის მისი წინამორბედის ყველა უფლება-მოვალეობა: მემკვიდრეობა, იურიდიული პირის რეორგანიზაცია და სხვა) და სინგულარული(კერძო) უფლებამონაცვლეობა, როდესაც უფლებამონაცვლეზე გადადის მხოლოდ ცალკეული უფლება(მოთხოვნის დათმობა). ამასთან, უფლებამონაცვლეობა არსებობს, როდესაც პირს წინამორბედისაგან რომელიმე სამართლებრივი (მემკვიდრეობითი, საოჯახო, ვალდებულებითი) საფუძვლით შექმნილი აქვს უფლება-მოვალეობანი.

ასეთი ვითარება მოცემულ შემთხვევაში არ დგინდება, ვინაიდან ლ.შ-ძემ ნასყიდობის ხელშეკრულებით შეიძინა უძრავი ნივთი, რომლის უფლებრივი ნაკლი (მასზე სხვა პირის უფლება) კანონით გათვალისწინე-

ბული წესით (სამოქალაქო კოდექსითა და საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონით) არ დასტურდება. ლ.შ-მე ამხანაგობის ხელშეკრულებო ურთიერთობაში არ ჩართულა, იგი ნასყიდობის ხელშეკრულების სუბიექტია და, შესაბამისად, ამ ხელშეკრულების ფარგლებში შეიძლება, დაეკისროს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, ამხანაგობის ხელშეკრულების უფლება-მოვალეობანი მხოლოდ კონტრაქტებს შორის წარმოიშობა და არსებობს. ვალდებულება ხელშეკრულების შედეგად მიღებულ მატერიალურ სიკეთეს, მოცემულ შემთხვევაში ნივთს კი არ მიყვება, არამედ ვალდებულების შესრულება კონკრეტული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს აკისრია და მან უნდა შეასრულოს ვალდებულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ლ. შ-მის კერძო საჩივარი საფუძვლიანია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ნ. ბ-ია-რ-ივას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

ლ. შ-მის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ნოემბრის განჩინება ლ. წ-მის უფლებამონაცვლედ ლ. შ-მის ჩართვის თაობაზე.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

1ას-940-886-2010

13 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონოდ დარიცხული დავალიანების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. გ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში სს «თელასის» მიმართ უკანონოდ დარიცხული ელექტროენერჯის უკანონოდ ცნობის, 2008 წლის 10 ივლისის 1175578 აქტისა და 2008 წლის 13 აგვისტოს 108-6400778 ქვითრის ბათილობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2008 წლის ივლისში გ. გ-შვილის საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში შეიკვალა ელექტრომრიცხველები, რაზეც შედგა აქტი და გ. გ-შვილის მრიცხველის ანათვალად მიეთითა 19931 კვ. აღნიშნულის შესაბამისად მოპასუხემ მას დაარიცხა 1410,53 ლარის დავალიანების გადახდა, რაც უკანონოა და მოსარჩელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ოდენობას მნიშვნელოვნად აღემატება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ გ. გ-შვილს სადავო დავალიანება დაერიცხა კანონიერად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეჯის 2010 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. გ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 2 აგვისტოს განჩინებით გ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: 2008 წლის 10 ივლისს სს «თელასის» თანამშრომლების მიერ შესდგა ელექტროაღრიცხვიანობის შემოწმების 1175578 აქტი, რომელშიც დაფიქსირდა აბონენტ გ-შვილის 1190972 მრიცხველის მოხსნის ფაქტი.

სს «თელასის» 108-6400778 ქვითრის მიხედვით, აბონენტ გ-შვილის დავალიანება მრიცხველის ჩვენების მიხედვით შეადგენს 1410 ლარსა და 53 თეთრს. მრიცხველის მოხსნის დროისათვის მრიცხველზე 1008772 დაფიქსირდა ჩვენება – 19930,9 კვ.მ. აღნიშნული გარემოება დადგენილია 2008 წლის 10 ივლისის ელექტროაღრიცხვიანობის შემოწმების აქტითა და დასკვნით მრიცხველის ლაბორატორიული შემოწმების შესახებ.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა და განმარტავს, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო შეზოჟილია არა მარტო მხარეთა სასარჩელო

მოთხოვნისა თუ შესაგებლის ფარგლებით, არამედ მხარეთა მითითებით, რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია ლაბორატორიის დასკვნა, თუმცა მიუხედავად იმის, რომ ეთანხმება დასკვნაში არსებულ მითითებას მრიცხველის გამართულად მუშაობის თაობაზე, იგივე დასკვნაში მრიცხველის ჩვენება არასწორად მიაჩნია. აპელანტს მრიცხველი ალტერნატიულად არ შეუმოწმებია. ლაბორატორიის დასკვნის თანახმად კი დადასტურებულია, რომ ვიზუალური შემოწმებით მრიცხველი და ბრჯენი წესრიგში იყო.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ აპელანტის მიერ ერთი კვირით ადრე გადახდილი იყო ელექტროენერჯის გადასახადი და ქვითარში მითითებული იყო აზონენტის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯი, რაც შეუსაბამოა შემოწმების აქტში მითითებულ ჩვენებასთან, პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსარჩეები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. შესაბამისად, თავად მოსარჩელე იყო ვალდებული, სასამართლოსათვის წარმოედგინა სარჩელში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რაც სადავო დავალიანების გადასახადისაგან გათავისუფლების საფუძველი გახდებოდა.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა გასაჩივრებული ქვითრის და აქტის მიმართ მოსარჩელის იურიდიულ ინტერესთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტში ასახულია მრიცხველის მოხსნის ფაქტი, ხოლო სს «თელასის» ქვითარში დაფიქსირებულია მიმდინარე დავალიანება და მისი გადახდის ვადა. სადავო აქტი და ქვითარი არ წარმოადგენს მისთვის თანხის დარიცხვის საფუძველს, შესაბამისად, მათი ბათილობის შედეგად, მოსარჩელე სადავო დავალიანების გადახდისაგან ვერ გათავისუფლდება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება გ. გ-შვილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით: გასაჩივრებული განჩინებით აპელანტის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძველად მიეთითა იმ გარემოებაზე, რომ გ. გ-შვილს მრიცხველის ლაბორატორიულად შემოწმების დასკვნა სადავოდ არ გაუხდია. აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე ვალდებული იყო, დაენიშნა ექსპერტიზა მრიცხველის შესამოწმებლად.

ზემოხსენებული ლაბორატორიული დასკვნა ეფუძნება სადავო მრიცხველის მხოლოდ ვიზუალურ დათვალიერებას, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკმარისი არ არის. აღსანიშნავია, რომ კასატორმა სცადა ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში მრიცხველის შემოწმება, თუმცა სს «თელასის» წერილის თანახმად მრიცხველი ამჟამად განადგურებულია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძველებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მართლზომიერადაა მიიჩნეული სს «თელასის» მიერ გ-შვილისათვის 1410,53 ლარის დარიცხვის ფაქტი. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ამ მოსაზრებას და თვლის, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია მტკიცებულებათა არასწორი შეფასების შედეგად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა არსებობის ან არსებობის შესახებ.

მტკიცებულებათა შეფასება მეტად რთული პროცესია. ამ დროს ხდება როგორც ფსიქოლოგიური, ასევე, ლოგიკისა და სამართლებრივი კრიტერიუმების მეშვეობით მოსამართლის (მოსამართლეთა) მიერ აღქმული ინფორმაციის გადამუშავება, გაანალიზება. სწორედ ამ პროცესის შედეგად სასამართლოს გამოაქვს მნიშვნელოვანი დასკვნები მტკიცებულებებში ფიქსირებული ინფორმაციის სხვა მტკიცებულებებთან, აგრეთვე, არსებულ რეალობასთან შესაბამისობის თაობაზე. დასკვნები კი უშუალოდ აისახება იმ დადგენილ ფაქტობრივი გარემოებების სახით, რომლებიც საფუძვლად ედება გადაწყვეტილების მიღებას.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სასამართლოს მიერ გაკეთებული ნებისმიერი დასკვნა ყალიბდება არა მხოლოდ მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერებით, არამედ, შეჯერებული ინფორმაციის შეფასებით არსებულ რეალობასთან მიმართებით. აღნიშნულის გარეშე სასამართლოს დასკვნა იქნება არალოგიკური, არსებულ რეალობას მოკლებული და არაადეკვატური.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ ისე მიიჩნია მართლზომიერად გ. გ-შვილისათვის თანხის დარიცხვა, რომ საერთოდ არ გამოუკვლევიან, თუ რამდენად შეესაბამება დარიცხული თანხის ოდენობა რეალობას.

საქმეში არსად არის მითითება იმის თაობაზე, რომ კასატორი არ იხდოდა, თავს არიდებდა საფასურის გადახდას და გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუგროვდა გადასახადი. არც იმის მტკიცებულება არსებობს, რომ მოსარჩელე ფლობს დანადგარებს, რომელთაც ფუნქციონირებისათვის დიდი რაოდენობის ელექტროენერგია ესაჭიროებათ ან მას გააჩნია იმხელა ფართი, რომ მისი განათება ასეთი დიდი ოდენობის ელექტროენერგიის გარეშე შეუძლებელია. მითუმეტეს, რომ დარიცხვა ხდება ზაფხულის პერიოდისათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არავითარ მტკიცებულებას სასამართლოსათვის წინასწარ დადგენილი ძალა არ აქვს. მრიცხველის მუშაობის გამართულობის თაობაზე ლაბორატორიული დასკვნაც კი უნდა შემოწმდეს არსებულ მტკიცებულებებთან მიმართებაში. შეუძლებელია, მრიცხველის გამართულ მდგომარეობაში მუშაობის ან აღრიცხვის სისწორის დადგენილად მიჩნევა, როდესაც სახეზეა არსებული რეალობის უგულვებელმყოფი გარემოებები. ზაფხულში, ერთი თვის განმავლობაში სინათლის ასეთი დიდი ღირებულების დაკისრების ასახსნელად უნდა არსებობდეს რეალური, ლოგიკური მიზეზი, რაც სასამართლოს გამოკვლეული და შეფასებული არ აქვს. ხოლო მტკიცებულებათა ცალმხრივი და არასრული ანალიზით მივდივართ არალოგიკურ, არარეალურ დასკვნებამდე.

პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება, ზემოთ მითითებულ გარემოებათა გამო, იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემულ შემთხვევაში ესაა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა იქნეს განხილული სასამართლოს მიერ. საქმის ხელახალი განხილვისას არსებული მტკიცებულებების შეფასებით უნდა დადგინდეს გარემოება იმის თაობაზე, მოიხმარდა თუ არა მოსარჩელე მასზე დაკისრებული თანხის შესაბამის ელექტროენერგიას სადავო პერიოდისათვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

გ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 2 აგვისტოს განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.